საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (374)
7 - 13 დეკემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



2 ფოტოგრაფების საქმეზე კონტრადაზვერვის თბილისის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დააკავეს



## დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს 6

CSSF-ს სკანდალური დოკუმენტი გავლენის აგენტებსა და ძირგამომთხრელ საქმიანობაზე საქართველოში

# რატომ გვატყუებს ევროკავშირი? 5

## ლარმაგედონი 11



„იმის ნაცვლად, რომ მაღალ ეშელონებში ქამრების შემოჭერაზე იფიქრონ, პრემიას პრემიაზე იწერენ, მილიონებს „ლუნავენ“, სანამ სათავეში არიან, რაც შეიძლება მეტი რომ იშოვონ“

## «მეოცნებე» მინისტრის დასავლური სენტიმენტები 3

„საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ თანამედროვე ევროპა, არც კულტურულად და არც მენტალურად, ჩვენი არჩევანი არ არის“



«ქვეყნის ორ მთავარ ინსტიტუტს, რომლებსაც ევალება ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ამჟამად ხელს არ აძლევს ლარის გამყარება» 10

«თუკი «რაშა თუდეის» სულ უფრო მეტი ამერიკელი და ევროპელი მაყურებელი ენდობა, ხოლო «სი-ენ-ენის» მიმართ ნდობა იკლებს, ქართულ რეალობაში უფრო მეტი ადამიანი ენდობა რუსეთის ტელევიზიებს და ნაკლებად — «რუსთავი 2»-ს» 13

«თუ არც დაპირება გქონდათ და არც გეგმა, რას მოეთრეოდით მთავრობაში, თქვე აბდლებო?!»



14

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმეზე, ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტების გამო დაკავებულ იქნა საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორის — ალექსანდრე მუხაძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ.**



# ნოდარ ხადური კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ დანიშნეს

**ყოფილი ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ დანიშნეს. შესაბამისი ბრძანება მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

ბრძანებას ხელს აწერს საქართველოს პრემიერმინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი.**

მთავრობის ახალ შემადგენლობაში ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ნოდარ ხადური ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა** შეცვალა. ნოდარ ხადურის დანიშვნამდე, კონკურენციის სააგენტოს **გიორგი ბარაბაძე** ხელმძღვანელობდა.



# შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის ორი მოადგილის თანამდებობა გაუქმდა

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილს ორი მოადგილე აღარ ეყოლება — სამინისტროში 2 მოადგილის საშტატო ერთეული გაუქმდა.**

აღნიშნული გადაწყვეტილება გიორგი მღებრიშვილის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 524 დადგენილების საფუძველზე იქნა მიღებული. შს მინისტრის მოადგილის პოსტებს **არჩილ თალაკვაძე** და **ზურაბ გამეზარდაშვილი** იკავებდნენ. ზურაბ გამეზარდაშვილი თანამდებობიდან 21 ნოემბერს გადადგა, ხოლო არჩილ თალაკვაძე „ქართული ოცნებიდან" დეპუტატი გახდა.



# სასაზღვრო პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს

**შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა — დათო ნიკოლეიშვილი.**

სასაზღვრო პოლიციის ახალმა უფროსმა შს მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. „სახელმწიფო საზღვრის დაცვა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ თანამდებობის დაკავება ჩემთვის უაღრესად საპასუხისმგებლოა. მთელ ჩემს პროფესიულ გამოცდილებასა და ენერგიას იმისკენ მივმართავ, რომ განხორციელდეს დაგეგმილი რეფორმები და სასაზღვრო პოლიცია ჩამოყალიბდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, წარმატებულ სტრუქტურად", — აღნიშნა დათო ნიკოლეიშვილმა.

# მთავარი პროკურატურა: ე.წ. ფოტოგრაფების საქმეზე გაგრძელდება გამოძიება ამ დანაშაულში ჩართული სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების გამოსავლენად

**პროკურორ კოკა კაციტაძის განცხადებით, მთავარი პროკურატურა განაგრძობს გამოძიებას ე.წ. ფოტოგრაფების საქმეზე ამ დანაშაულში ჩართული სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების გამოსავლენად.**



ე.წ. ფოტოგრაფების საქმეზე პროკურატურამ ხელახალი გამოძიება ჩაატარა, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რომელთა საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, შემდეგ კი გამოვლენილ იქნენ ამ დანაშაულში ჩართული საჯარო მოხელეები და თავის მხრივ დადასტურდა ფოტორეპორტიორების უდანაშაულობა მათთვის წარდგენილ ბრალდებაში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმეზე, ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტების გამო დაკავებულ იქნა საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე **დავით დევნოზაშვილი**, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორის — **ალექსანდრე მუხაძის** მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ. პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება ფოტორეპორტიორების — **გიორგი აბდალაძის, ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი** და **ნათელა გედენიძეების** მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის თაობაზე და მათ მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების დადგომას მოითხოვს.

კონტრდაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი დაკავებულია საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, ხოლო მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

# სააკაშვილის ახალი ინიციატივა სასაცილოდ არ ჰყოფნით

**ოდესის ყოფილი გუბერნატორი ახალი პარტიის დასაფინანსებლად წყაროებს ეძებს. მიხეილ სააკაშვილი უკრაინელებს შემოწირულობების გაღებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ პარტიის ანგარიშზე ფულის გადასარიცხად სპეციალური საიტი შეიქმნა. „ჩვენ გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია. ჩვენ ნულიდან ვიწყებთ და გვსურს, უკრაინა ზესახელმწიფოდ ვაქციოთ. ვისაც ჩვენი სჯერა და ჩვენთან ერთად სურს ბრძოლა, შემოგვიერთდით და მხარი დაგვიჭირეთ", — წერს სააკაშვილი.**



ოდესის ყოფილი გუბერნატორის განცხადებამ რუსი დეპუტატები ხუმრობის განწყობაზე დააყენა. ისინი სააკაშვილის განცხადების იმ ნაწილმა გაახალისა, რომელშიაც ექსგუბერნატორი აცხადებს, რომ ახალი პოლიტიკური ძალა უკრაინას ზესახელმწიფოდ აქცევს. ერთ-ერთი პირველი, ვინც სააკაშვილის ფეისბუკმოწოდებას გამოეხმაურა, დუმის დსთ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ლეონიდ კალაშნიკოვი იყო. „თუ მისი ცხოვრების გზას გადავხედავთ, მიხვდებით, რომ მისი ერთადერთი მიზანი ფულის შეგროვებაა. როგორც ჩანს, მას ფული შემოაკლდა. ამერიკელები აღარ ეხმარებიან, ცოლთანაც ვეღარ აქვს საქმე კარგად, ამიტომ კაპიკკაპიკ დაიწყო ფულის შეგროვება. შეიძლება ვინმემ მისცეს კიდეც უკრაინული ფული, მაგრამ მას ფული არა უკრაინის ზესახელმწიფოდ ქცევისთვის, არამედ ნიუ იორკში ფუფუნებაში ცხოვრებისთვის სჭირდება", — აღნიშნა კალაშნიკოვმა.

# რუსთავი-თბილისის მიმართულებით მგზავრობა 20 თეთრით გაძვირდა




**რუსთავი-თბილისის მიმართულებით სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა 20 თეთრით გაძვირდა და 1,5 ლარი გახდა. მოქალაქეებმა ამის შესახებ 6 დეკემბერს სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას შეიტყვეს. ინფორმაციას ადასტურებენ კომპანია „ინტერტრანსში" და ამას ეროვნული ვალუტის გაუფასურებით ხსნიან.**



მათი განცხადებით, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების 9 ხაზიდან 7-ზე მგზავრობა გაძვირდა. ტარიფის მომატება არ შეეხო მხოლოდ ლილოს ბაზრობისა და უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებებს, თუმცა კომპანიაში არ გამორიცხავენ, რომ ფასები ამ მიმართულებებზეც გადაიხედოს. „ფასის შემადგენელი ყველა ნაწილი გაძვირებულია. ეს შეეხება როგორც საწვავსაპოხ მასალას, ისე სათადარიგო ნაწილებს და სხვა კომპონენტებს; გარდა ამისა, ბანკის გადასახადს, რომელიც უცხოურ ვალუტაში გვაქვს აღებული. ყველაფერ ამის შედეგად, კომპანია თავის მძღოლებთან ერთად იძულებული გახდა, მიეღო საკმაოდ არაპოპულარული გადაწყვეტილება", — განუცხადა „რუსთავი 2"-ს კომპანია „ინტერტრანსის" დირექტორმა **ირაკლი ჩილვინაძემ.**

**ის, რასაც ცხრაგრანტსგადამხტარი „ენჯეოელი“ დღეს პროგრესს ეძახის, სინამდვილეში რეგრესის გზაა. ეს გზა კი სახელმწიფოს არა ტაძრისკენ, არამედ უფსკრულისა და ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს. აი, ამიტომ გაიზარდა რეალურად ქართველებში ანტიდასავლური განწყობა და არა იმიტომ, რომ თურმე ევროპის ქვეყნებს 37 მანეთად ვერ ვსტუმრობთ.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მეოცნებე» მინისტრის დასავლური სენტიმენტები

## გადადებული უვიზო მიმოსვლა და გადაგდებული საქართველო

**საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის კიდევ ერთი წლით გადადებამ, რაც, პრაქტიკულად, ამ საქმის გადაგდებას და მედასავლეთე ლიბერალებისთვის პირში ჩალის გამოვლებას ნიშნავდა, ზოგიერთი გაწბილებული „მეოცნებე“ ისტერიკაში ჩააგდო.**



საგარეო საქმეთა მინისტრმა **მიხეილ ჯანელიძემ** ევროპარლამენტში ლამის ცრემლები აღვარღვარა, ევროკომისრებს ტერფები უკოცნა და ბოლოს ასეთი „რეჩი“ დაჰკრა: „მოდი, იმედს ნუ გავუცრუებთ ჩვენს ხალხს; მოდი, შევინარჩუნოთ მათი მოტივაცია, გააგრძელონ ურთულესი რეფორმები და მოდი, განვაგრძოთ ერთად სვლა თავისუფალი, უსაფრთხო და მშვიდობიანი ევროპისკენ“. იმავე გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა, რომ ქართველები კვლავ იხსენებენ საბჭოთა პერიოდს, როცა 37 მანეთად დაფრინავდნენ მოსკოვში. მისი თქმით, ევროკავშირმა არ უნდა გააღვივოს ქართველებში საბჭოეთის ნოსტალგია და ამიტომ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში ჩასვლა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.

ამ განცხადების შემდეგ ბევრს, ალბათ, ლოგიკურად გაუჩნდებოდა შეკითხვა: რას ნიშნავს საბჭოეთის ნოსტალგია ან რაში ხედავს ჯანელიძე ამ ნოსტალგიის საფრთხეს, როცა მედიასივრცის უდიდეს ნაწილს დასავლური გრანტებით ნაკვები „ლიბერალები“ კრუხებივით ასხედან და საბჭოთა წარსულის კრიტიკითა თუ ლანძღვა-გინებით ლამისაა ტყავიდან ამოძვრნენ? როგორც ჩანს, საქმე სხვა რამაა: **ჯანელიძესა და მისნაირ მედასავლეთე „შესტიორკებს“ ერთი ადგილი იმიტომ ეწვით, რომ დღეს საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ თანამედროვე ევროპა, არც კულტურულად და არც მენტალურად, ჩვენი არჩევანი არ არის და, რომც გვეპატიჟებოდნენ ევროკავშირში, ქართველ კაცს იქ არაფერი ესაქმება. ამ განწყობებთან რუსულ პროპაგანდას და მეტადრე მოსკოვში 37 მანეთად გადაფრენის სურვილს საერთო არაფერი აქვს, ამ ყველაფრის მიზეზი ევროინტეგრაციის ტრუბადურებმა ისევ ევროპასა და თანამედროვე ევროპულ ნეოლიბერალურ ფაშიზმში უნდა ეძებონ.**

ევროპა, რომლისკენაც საქართველო ისტორიულად მიილტვოდა და ხან სპარსეთისგან დაცვას სთხოვდა, ხან ოსმალეთის გავეშებული იმპერიისგან, მენტალურად ქრისტიანულ კულტურაზე იდგა. იმ ევროპაში ჯვაროსნული დროშა ფრიალებდა და ევროპელ მეომრებს, რომლებიც ქრისტიანობის ჭეშმარიტი მეციხოვნეები იყვნენ, მთელი მსოფლიო ჯვაროსნებად მოიხსენიებდა. დღევანდელი ევროპა „ელჯიბიტიების“ სოდომურ დროშას აფრიალებს და ქრისტიანული სწავლებით ყველაზე მძიმე, მომაკვდინებელ ცოდვას — პედარასტიას ნორმად აცხადებს. მეტიც, მილიონებს ხარჯავს, რათა ეს ცოდვა დანარჩენ მსოფლიოს, მათ შორის, საქართველოსაც, მოახვიოს თავს. აი, რა არის განსხვავება ძველ და თანამედროვე ევროპას შორის. ძველ ევროპასთან სამეგობროდ და სათანამშრომლოდ ერთადერთი წინაპირობა არსებობდა — ქრისტიანობა და ქრისტიანული მორალი. დღევანდელი ევროკავშირი კი პირდაპირ გეუბნება: თუ გინდა, მიგიღო, ქრისტეს ძვლის მკვნეტელი უნდა გახდე, პედარასტია ოფიციალურად დააკანონო და კაცი კაცზე დააქორწინო, ქალი — ქალზეო. ცხადია, ასეთ გეოპოლიტიკურ ერთობაში შესვლას არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ისურვებს, რადგან ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, ეს რას მოიტანს. ეგეც არ იყოს, ევროკავშირი, კარგა ხანია, აღარ არის უსაფრთხო თავშესაფარი, ევროპა უკვე თავის მოქალაქეებს ვერ იცავს საფრთხისგან, დაწყებული ტერორიზმით და დამთავრებული მიგრანტების უკონტროლო შედინებით.

აქ ახლა, ალბათ, ზოგიერთი პირწავარდნილი მედასავლეთე სხაპასხუპით მოგვახლის გაცვეთილ „ნეოლიბერალურ“ არგუმენტს — ევროკავშირი არავის აიძულებს კანონების მიღებასო. ეს რომ ბლეფია და თავის დროზე ამ ტყუილებით შეაკოწიწეს ეს მკვრადშობილი გაერთიანება, ამიტომ ინგრევა და იშლება ის დღეს ხუხულასავით, ამიტომ ყვავის რიგ ევროპულ სახელმწიფოში ნაციონალიზმი და სადაცაა, საბოლოოდ წირვას გამოუყვანენ მიწის მისაყრელად გამზადებულ „კულტურულ მარქსიზმს“.

რაც შეეხება სხვა მიზეზებს, რომელთა გამოც ქართველებში ანტიდასავლური განწყობა იზრდება და „მეოცნებეთა“ ისტებლიშმენტს, რომ იტყვიან, ერთი ადგილის ჟიმჟიმი აქვს, გავიხსენოთ, რას ითხოვდა და რას ითხოვს დღეს ჩვენგან ევროკავშირი. თავის დროზე, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებები მოხდა და გაჩნდა მოლოდინი, რომ **სააკაშვილს**, თავის კრიმინალურ სექტასთან ერთად, „ვირის აბანოში“ გაისტუმრებდნენ, ევროკავშირიდან ლამის განგაშის ზარები დაარისხეს — „ოპოზიციას“ პოლიტიკური ნიშნით ნუ დევნითო. მერე ყბადაღებული კოაბიტაცია შემოგვაპარეს და ქოცები ნაცებზე დააქორწინეს. ეს კიდევ არაფერი: საქართველოდან გაქცეული ყოფილი ჯალათები — **მეგის ქარდავა, ერეკლე კოდუა, დათა ახალაია, ზურაბ ადეიშვილი თუ დავით კეზერაშვილი**, გულში ჩაიკრეს. მერე კი, იმის ნაცვლად, რომ ქართულ მართლმსაჯულებასთან ეთანამშრომლათ, ეს ჯალათები მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე გაამწესეს. პარალელურად აქ ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტი რესპუბლიკური პარტიის ქორებს ჩააბარეს: პარლამენტის თავმჯდომარის — **უსუფაშვილს**, თავდაცვის მინისტრის — **ხიდაშელს**, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის — **გვენეტაძეს** (ყოფილი რესპუბლიკელი), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის — **ზაქარეიშვილს** და ა.შ. შემდეგ წამოვიდა დირექტივებიც — პარლამენტმა გრიალ-გრიალით დაამტკიცა ანტიდისკრიმინაციული კანონი, მოიხსნა შეზღუდვა უცხოელებზე მიწის გასხვისებაზე, სხვადასხვა რელიგიური კონფესია იურიდიული სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს და დაიწყო საუბარი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე. ლაპარაკი დაიწყო რეფორმებზე, რომლებმაც თანამედროვე დასავლეთი, დიდი ხანია, კულტურულ და იდეოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა. ამ ცვლილებებმა მათ წაართვა მთავარი — ეროვნული იდენტობა და საბოლოოდ რაღაც ერთფეროვან სოციალურ მასად, უსუსურ და უუნარო ბრბოდ აქცია.

...მიუხედავად იმისა, რომ ნაც-ქოცური პროპაგანდა ამ ყველაფერს საკმაოდ ოსტატურად ნიღბავდა, ქართველმა საზოგადოებამ ძირითადი საფრთხეები დაინახა. ყველა მიხვდა, რომ **ის, რასაც ცხრაგრანტსგადამხტარი „ენჯეოელი“ დღეს პროგრესს ეძახის, სინამდვილეში რეგრესის გზაა. ეს გზა კი სახელმწიფოს არა ტაძრისკენ, არამედ უფსკრულისა და ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს.** აი, ამიტომ გაიზარდა რეალურად ქართველებში ანტიდასავლური განწყობა და არა იმიტომ, რომ თურმე ევროპის ქვეყნებს 37 მანეთად ვერ ვსტუმრობთ. ეს რომ შეგვეძლოს, ალბათ, კიდევ უფრო მწვავე ანტიდასავლურ განწყობებს მივიღებდით, რადგან თავისუფალი მიმოსვლა კიდევ უფრო მეტ ქართველს მისცემდა საშუალებას, საკუთარი თვალით ეხილა იქ არსებული მარაზმი...

რაც შეეხება ჯანელიძეს და მის სენტიმენტალურ გამოსვლას ევროპარლამენტში, რაც უნდა სასოწარკვეთილი იყოს, მას უნდა ახსოვდეს ერთი საყოველთაოდ ცნობილი შეგონება: „გადადებული საქმე გადაგდებული საქმეა“. ევროკავშირის მხრიდან უვიზო მიმოსვლის გაფორმება უკვე მერამდენედ გადაიდო. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები, ამ საქმის გადაგდებას და ჩაფარცხვას ნიშნავს. ასეთია „მწარე “ რეალობა და ვერანაირი ხვეწნამუდარა, ვერანაირი სენტიმენტი ამას ვერ შეცვლის. არ სჭირდებით და ნუ „ეტენებით“! ნათქვამია, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო...“

**ჯაბა ჟვანია**

**ჯანელიძესა და მისნაირ მედასავლეთე «შესტიორკებს» ერთი ადგილი იმიტომ ეწვით, რომ დღეს საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ თანამედროვე ევროპა, არც კულტურულად და არც მენტალურად, ჩვენი არჩევანი არ არის და, რომც გვეპატიჟებოდნენ ევროკავშირში, ქართველ კაცს იქ არაფერი ესაქმება**



# პუტინმა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია დაამტკიცა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალური შეკრება გამართა. მან თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი სოციალურ საკითხებს დაუთმო. კრემლის ლიდერმა საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე ისაუბრა.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციითაც არის დაინტერესებული. კონცეფციაში ასევე ნათქვამია, რომ მოსკოვი მზად არის ნატოსთან პარტნიორობისთვის, ოღონდ თანასწორუფლებიანობის პრინციპით. პუტინი უკმაყოფილებას გამოთქვამს ნატოს გაფართოებისა და რუსეთის საზღვრებთან ახლოს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის განთავსების გამო და იტოვებს უფლებას, ალიანსისგან მომდინარე საფრთხეებზე ადეკვატურად იმოქმედოს. შეკრებაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მტრებს არ ეძებს, მაგრამ სხვა სახელმწიფოების მხრიდან ზეწოლას წინ აღუდგება. „ჩვენ მზად ვართ, 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ, თუმცა დასანანია, რომ ცივი ომის შემდეგ მიღებული გამოცდილება და მიღწევები წყალში ჩაიყარა. ჩვენ გვსურს მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ ბოლო წლებში სხვა სახელმწიფოების მხრიდან სერიოზული ზეწოლა ხორციელდება, რასაც, რა თქმა უნდა, შევეწინააღმდეგებით“, — განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

მსოფლიო

# ავსტრიის საპრეზიდენტო არჩევნებში მწვანეთა ლიდერმა გაიმარჯვა

**ავსტრიის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთმანეთს მწვანეთა პარტიის ლიდერი ალექსანდრ ვან დერ ბელენი და მემარჯვენე თავისუფლების პარტიის კანდიდატი ნორბერტ ჰოფერი უპირისპირდებოდნენ. არჩევნებში ისევ მწვანეთა პარტიის ლიდერმა ალექსანდრ ვან დერ ბელენმა გაიმარჯვა.**

პირველადი შედეგების გამოცხადებისთანავე პარტია თავისუფლების ლიდერმა ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და დამარცხება აღიარა. ელექტორატის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: 53 პროცენტი **ვან დერ ბელენს** ერგო, **ნორბერტ ჰოფერმა** კი 46 პროცენტი დააგროვა. საპრეზიდენტო არჩევნები ავსტრიაში 6 თვის წინაც ჩატარდა, თუმცა მწვანეთა პარტიის ლიდერის გამარჯვებით უკმაყოფილო ნორბერტ ჰოფერმა არჩევნების შედეგები გაასაჩივრა, საკონსტიტუციო სასამართლომ კი არჩევნების შედეგები გააუქმა და ქვეყანაში განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა.



საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2016 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასები 1 პროცენტით გაიზარდა, ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე — 0,4 პროცენტით შემცირდა, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე — 1,5 პროცენტით გაიზარდა, მომსახურების ფასები კი 0,2 პროცენტით შემცირდა.**

# წყალწაღებული ლარს ეჭიდებოდა

**საქართველოს მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი და საკამათო გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე, გასული კვირის მთავარ თემად იქცა. ლარის კონვულსიები გრძელდებოდა, მოსახლეობის გაღიზიანება კი სწრაფად იზრდებოდა.**



**ონლაინსესხებზე რეზონანსულმა განცხადებამ გადაფარა აქციზის თემა, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია. ზოგიერთ კომენტატორს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ გზით მთავრობა ცდილობს, შეავსოს ის დანაკარგი, რომელიც მოგების გადასახადის გაუქმების (და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრის) შედეგად წარმოიქმნება, მაგრამ ეს არ არის შესაკრებთა მექანიკური გადანაცვლება, საწვავის გაძვირება მთელ ეკონომიკაზე იმოქმედებს, მას შორსმიმავალი შედეგები ექნება. ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ მთავრობა საზოგადოებასთან პირდაპირ და პატიოსან დიალოგს გამართავს, თუნდაც საუბარი მდგომარეობის გაუარესებას ეხებოდეს, არ შეალამაზებს სიტუაციას და არ შეეცდება, ჩვენი ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაიტანოს**

## ვის აძლევს ხელს „ლარიზაცია“?

პრემიერმინისტრის განცხადებით, „გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის 1 იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით. ერთ კლიენტზე ერთ ბანკში 100 ათას ლარამდე ნარჩენი თანხის სუბსიდიაა გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. მაგალითად, თუ კურსია 2,5, მოხდება ლარში კონვერტაცია კურსით 2,3. ამ სესხებზე გაუქმდება წინასწარ დაფარვის საკომისიო. ბანკები ვალდებულნი იქნებიან, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღეში შეტყობინება გაუგზავნონ ყველა კლიენტს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება პოტენციურად შეეხება, რაც საგრძნობლად შეამცირებას ზეწოლას ლარის კურსზე. 400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, რომლებიც არსებული სესხის გამო ყიდულობდა დოლარს“ („ინტერპრესნიუსი“). საინტერესოა, რომ **გიორგი კვირიკაშვილმა** წარმოაჩინა ეს გადაწყვეტილება, როგორც „სოციალური აქცია“, თითქმის ქველმოქმედება, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

საზოგადოდ, დედოლარიზაცია მისასალმებელია და აქ მთავრობას შეიძლება მხოლოდ იმის გამო ვუსაყვედუროთ, რომ მოქმედება მაშინ დაიწყო, როდესაც სიტუაცია უკიდურესად გართულდა. მსგავსი გადაწყვეტილება უნგრეთში 2011 წელს მიიღეს და მან ასე თუ ისე დადებითი როლი შეასრულა. იგულისხმება, რომ დაახლოებით 33 ათასი ადამიანი (უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტი უცხოურ ვალუტაში აღებული აქვს 75 ათასამდე მოქალაქეს) ყოველთვიურად კრედიტის დასაფარავად საჭირო უცხოური ვალუტის შეძენას შეწყვეტს. შესაბამისად, შემცირდება ზეწოლა ეროვნულ ვალუტაზე, რომლის კურსი დოლარის მიმართ ბოლო პერიოდში შეუჩერებლად ეცემა.

იმ ოჯახების მდგომარეობა, რომელთაც შემოსავალი ლარში აქვთ, ხოლო კრედიტი — დოლარში, საგრძნობლად გართულდა და ისინი გარკვეულ შვებას იგრძნობენ (თუ კრედიტი 2015 წლამდე აიღეს), მაგრამ პრობლემა არის ის, რომ სუბსიდირება მოხდება ბიუჯეტიდან, შესაბამისად მოაკლდება სხვა პროგრამებს და ეს, ამა თუ იმ ფორმით, სხვა კატეგორიის მოქალაქეებზე აისახება. მარტივად რომ ვთქვათ, მთავრობა ამოიღებს ამ ფულს გადამხდელთა ჯიბიდან და ბანკირების ჯიბეში ჩადებს. ფინანსთა მინისტრის თქმით, 2017 წლის ბიუჯეტში კრედიტების „ლარიზაციის“ სუბსიდირებისთვის 65 მილიონი დოლარი ჩაიდება. ერთი შეხედვით, ეს არც ისე ბევრია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია პრინციპი. ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარი „სოციალურ აქციაზე“ ასეთ შემთხვევაში ერთობ უადგილო ჩანს.

ვინაიდან მთავრობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამატებითი შემოსავლების მოზიდვა, მან თამბაქოზე, ნავთობპროდუქტებსა და იმპორტირებულ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთის გაზრდა გადაწყვიტა. იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიც. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „დაგეგმილი ცვლილებები გაზიარებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ და მათი განხორციელების შემდეგ საერთაშორისო ფონდებიდან ქვეყანაში დამატებით რამდენიმე მილიარდი დოლარის მოზიდვის შესაძლებლობა გვიჩნდება. აღნიშნული ღონისძიებები ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაში“, მაგრამ ამ მედალს, ისევე, როგორც ყველაფერს ეკონომიკაში, ორი მხარე აქვს: ეს ცვლილებები გარდაუვალს ხდის საწვავის ფასის მომატებას, რომელიც, როგორც ცნობილია, „რიკოშეტით“ მთელ ეკონომიკაზე აისახება და ფასების ზრდას გამოიწვევს. მართალია, ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** მიიჩნევს, რომ ის ერთ პროცენტზე მაღალი არ იქნება, მაგრამ მოსახლეობის გამოცდილება გაცილებით დიდი ზრდის შესაძლებლობაზე მიუთითებს. საზოგადოების დამშვიდება პრემიერმა სცადა. მან თქვა, რომ ნავთობპროდუქტებზე აქციზის ზრდა მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის ფასზე არ აისახება, თუმცა აშკარაა, რომ პრობლემა მხოლოდ ავტობუსებით არ შემოიფარგლება.

## როდის გაძვირდება სურსათი?

მთავრობა, სავარაუდოდ, მალე დაკარგავს არგუმენტს, რომელსაც ბოლო თვეების განმავლობაში იყენებდა, როდესაც ამბობდა, რომ ინფლაცია დაბალია და მათ, ვისაც შემოსავალი ლარში აქვს (და დოლარში კრედიტი არ აუღიათ), შეუძლიათ, იმავე რაოდენობის პროდუქცია იყიდონ, რაც წინა თვეებში, მიუხედავად იმისა, რომ ლარის მდგომარეობა დოლარის მიმართ გაუარესდა. ეს თითქოს ლოგიკურია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, როგორ იცვლება ფასები არა ზოგადად, არამედ პირველადი მოხმარების საქონლის მიმართ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გაჭირვების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა სხვა საქონლის შეძენა და ბიზნესმენები იძულებულნი არიან, მასზე ფასი დაწიონ, თორემ კვების პროდუქტების და ნაწილობრივ მედიკამენტების ფასი იზრდება და ამას, ალბათ, საქართველოს თითოეული მოქალაქე ამჩნევს. ოფიციალური სტატისტიკის, ეროვნული ბანკის „თვის ანგარიშის“ მიხედვით, 2016 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასები 1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე — 0,4 პროცენტით შემცირდა, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე — 1,5 პროცენტით გაიზარდა, მომსახურების ფასები კი 0,2 პროცენტით შემცირდა.

ასეა თუ ისე, მალე მთავრობა ამ არგუმენტაციის გამოყენების შესაძლებლობას, სავარაუდოდ, დაკარგავს. „პალიტრანიუსის“ ეთერში დიმიტრი ქუმსიშვილმა ინფლაციის 2%-მდე გაზრდა არ გამორიცხა. ერთი შეხედვით, ამაში კატასტროფული არაფერია და მთავრობას ნეგატიური ეფექტის განეიტრალების შესაძლებლობა აქვს, მაგრამ პრობლემაა ის, რომ საქართველოში ეკონომიკურ პროცესებში უდიდესი მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ენიჭება და იმ მოქალაქეთა უმრავლესობა, რომლებიც მსგავს განცხადებებს უსმენენ, დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება მოწადინებულია, რეალობა შეალამაზოს და მინისტრის მიერ ნათქვამ ციფრებს ორზე ან სამზე ამრავლებს. მძიმე მოლოდინის ფონზე, რომელსაც ლარის კურსის ყოველდღიური ცვლილება, საწვავის, ხოლო შემდგომ სურსათისა და სხვა საქონლის გარდაუვალი გაძვირება ქმნის, შეიძლება განვითარდეს ზვავისებური პროცესები, რომელთა საფუძველი გახდება არა ობიექტური ეკონომიკური მოცემულობა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური პანიკა.

გაჭირვებული ფენების მდგომარეობის ბოლოდროინდელ გაუარესებაში დიდ როლს ასრულებს ვალები, რომლებიც მოსახლეობას „ონლაინმევახშეების“ მიმართ დაუგროვდათ, ამიტომ განსაკუთრებული რეზონანსი პრემიერმინისტრის შემდეგ განცხადებას მოჰყვა: „ ეროვნულ ბანკთან ერთად ჩვენ ვამზადებთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის პაკეტს, რომლის მიხედვითაც აიკრძალება ონლაინსესხების გაცემა, რაც ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ჩვენი საზოგადოების მხრიდან“. თუმცა მოგვიანებით, დიმიტრი ქუმსიშვილის თანმდევი განცხადებიდან გაირკვა, რომ საუბარია არა აკრძალვაზე, არამედ გარკვეულ რეგულირებაზე: „განვმარტავ, რომ არავინ აპირებს, აკრძალოს სესხის შეთავაზება ინტერნეტში. ჩვენ ონლაინსესხები დავარქვით ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 200-დან 1000%-მდე... ასეთი ბიზნესმოდელი ქვეყანაში არ ქმნის იმდენ დამატებით ღირებულებას, რამდენიც მოაქვს უარყოფითი ჩვენი მოსახლეობისთვის“ („პალიტრანიუსი“). საინტერესოა, რომ ამ ტერმინოლოგიური გაუგებრობის ფონზე სოცქსელებში მყისვე გავრცელდა მოწოდებები ვალების არგადახდის თაობაზე და გამორიცხული არ არის, მალე დაძაბულობამ „ონლაინმევახშეებისა“ და მათი კლიენტების ურთიერთობაში მკვეთრად მოიმატოს. ცხადია, ამაზრზენი, თანამემამულეების ფაქტობრივ ძარცვაზე დაფუძნებული „ბიზნესი“ უნდა აღიკვეთოს, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლებს მსგავს შემთხვევებში მკაფიო და არაორაზროვანი ფორმულირებების გამოყენება მართებთ.

კიდევ ერთ ფართოდ გავრცელებულ სოციალურ პრობლემაზე — ონლაინკაზინოებზე, რომლებმაც უამრავი მოზარდი და მათი ოჯახები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, დიმიტრი ქუმსიშვილმა ახალი, გამკაცრებული რეგულაციების შემოღების შესაძლებლობაზე ისაუბრა. თუმცა, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ივანიშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ თემაზე რამდენიმე წლის განმავლობაში მსჯელობენ, შედეგი კი არ ჩანს.

## რამდენად შეამცირებენ ხარჯებს?

დამატებითი შემოსავლების მოზიდვის გარდა, მთავრობის სხდომაზე ხარჯების შემცირებაზეც ისაუბრეს. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების უმრავლესობაში 10%-ით შევამცირეთ შრომის ანაზღაურების ფონდი და ასევე 10%-ით შევამცირეთ ადმინისტრაციული ხარჯები“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. განსაკუთრებული რეზონანსი ამ განცხადებას არ მოჰყოლია, შესაძლოა იმიტომ, რომ, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, შესაძლებელია გაცილებით რადიკალური ოპტიმიზაცია, მეტიც, ის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ამდენი სამინისტრო და საშტატო ერთეული ესოდენ ღარიბი ქვეყნისთვის ზედმეტი ფუფუნებაა.

ივანიშვილის ხელისუფლება გარკვეულწილად ჩიხში აღმოჩნდა – მასშტაბური საარჩევნო დაპირებები, რომლებიც ჯერ კიდევ 2012-ში გასცა და 2016-ში დაადასტურა, აიძულებს, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო შექმნას, მაგრამ ამის გაკეთება კომაში მყოფი ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია. ამასთანავე, ხელისუფლება ცდილობს, არ გადაიმტეროს მაღალჩინოსნები და ვერ ბედავს მასშტაბურ შემცირებებზე წასვლას ან თუნდაც იმ აღვირახსნილობის შეზღუდვას, რომელიც პრემია-დანამატების მიმართ ხდება. მთავრობის წარმომადგენლები თითოეულ ნაბიჯს მოსახლეობაზე ზრუნვის აქტად წარმოაჩენენ, ისე, როგორც ეს კრედიტების „ლარიზაციის“ შემთხვევაში მოხდა, ხოლო ნეგატივს, მაგალითად, ფასების მოსალოდნელ ზრდას, ნაკლებად ეხებიან, მაგრამ ეს მხოლოდ მოკლევადიან პროპაგანდისტულ ეფექტს თუ მოიტანს.

ონლაინსესხებზე რეზონანსულმა განცხადებამ გადაფარა აქციზის თემა, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია. ზოგიერთ კომეტატორს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ გზით მთავრობა ცდილობს, შეავსოს ის დანაკარგი, რომელიც მოგების გადასახადის გაუქმების (და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრის) შედეგად წარმოიქმნება, მაგრამ ეს არ არის შესაკრებთა მექანიკური გადანაცვლება და საწვავის გაძვირება მთელ ეკონომიკაზე იმოქმედებს, მას შორსმიმავალი შედეგები ექნება. ნებისმიერ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ მთავრობა საზოგადოებასთან პირდაპირ და პატიოსან დიალოგს გამართავს, თუნდაც საუბარი მდგომარეობის გაუარესებას ეხებოდეს, არ შეალამაზებს სიტუაციას და არ შეეცდება, ჩვენი ყურადღება მეორეხარისხოვან საკითხებზე გადაიტანოს.

**ლუკა ნემსაძე**

**ძალიან სწრაფად უარესდება ევროკავშირის ურთიერთობა თურქეთთან, რაც უდავოდ აისახება საქართველოზეც. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სიტუაციის ადეკვატური შეფასება და, ილუზიებში ცხოვრების ნაცვლად, რეალობისთვის თვალის გასწორება, მიუხედავად იმისა, ცალკე აღებულ ვიზალიბერალიზაციას ეხება ეს თუ ზოგადად საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ გვატყუებს ევროკავშირი?



**ივნისში გერმანიამ, საფრანგეთისა და იტალიის მხადაჭერით, უვიზო რეჟიმის შემოღება მისი სწრაფი შეჩერების მექანიზმის შექმნას დაუკავშირა. ამის შემდეგ პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ევროკომისიამ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა წარადგინა, შეფერხდა. საკითხის მორიგი განხილვა ევროპარლამენტში 18 იანვარს იგეგმება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას არც იქ მიიღებენ**

**სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გაჭიანურების გამო საქართველოში შეიძლება ევროსკეპტიკური განწყობები გაღვივდეს, — განაცხადა გასულ კვირას საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ. რატომ ვერ ხერხდება გადაწყვეტილების მიღება და რა პოლიტიკური ეფექტი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ევროსკეპტიციზმმა, რომელსაც, როგორც ჩანს, „ოქროს ხანა“ დაუდგა.**

## მიზეზი არ ელევათ

ჩვენი ხელისუფლება, საზოგადოდ, ბევრ შეცდომას უშვებს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მან პირნათლად, დათქმულ ვადებში შეასრულა ევროპელი მაღალჩინოსნების ყველა მოთხოვნა და მას, საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადგენლის **კრისტიან ურსეს** თქმის არ იყოს, „ვიზალიბერალიზაციის გაჭიანურებაში არანაირი ბრალი არ მიუძღვის“, — ურსემ ეს განცხადება ჯერ კიდევ ივნისში გააკეთა, როდესაც ყველა თვლიდა, რომ საკითხი ძალიან მალე, დიდი-დიდი, ოქტომბერში, გადაწყდებოდა. თუმცა, როგორც ცნობილია, სწორედ ივნისში გერმანიამ, საფრანგეთისა და იტალიის მხადაჭერით, უვიზო რეჟიმის შემოღება მისი სწრაფი შეჩერების მექანიზმის შექმნას დაუკავშირა. ამის შემდეგ პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ევროკომისიამ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა წარადგინა, შეფერხდა. საკითხის მორიგი განხილვა ევროპარლამენტში 18 იანვარს იგეგმება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას არც იქ მიიღებენ.

„არ ვარ დარწმუნებული, რომ თანხმობას უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის თაობაზე 2016-ში მიაღწევენ. შესაძლოა, მოგვიწევს დალოდება საფრანგეთის არჩევნებამდე, რომელიც აპრილსა და მაისში (იგულისხმება პირველი და მეორე ტური) ჩატარდება“, — წერს „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი ბრიუსელში — **რიკარდ იოზევიაკი**. პესიმისტური და ჯანელიძის განცხადებასთან შედარებით საკმაოდ მკვეთრი პოზიცია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოხატა. მინისტრის მოადგილის — **ელენე ზერკალის** თქმით, რომელიც უკრაინის ევროინტეგრაციის საკითხებს კურატორობს, „ეს ხდება იმის გამო, რომ არ შეუძლიათ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება, რათა არ მოახდინონ გავლენა არჩევნებზე საფრანგეთსა და გერმანიაში... ჩვენ, ფაქტობრივად, გერმანიისა და საფრანგეთის შიდაპოლიტიკური პრობლემების მძევლები გავხდით“. როგორც ცნობილია, არჩევნები გერმანიაში მომავალი წლის აგვისტოში ან სექტემბერში გაიმართება.

ჯერ კიდევ 24 ნოემბერს უკრაინა-ევროკავშირის სამიტზე ევროკომისიის ხელმძღვანელმა **ჟან-კლოდ იუნკერმა** განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაცია რამდენიმე კვირაში მოხდება, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ევროკომისარმა **იოჰანეს ჰანმა** ეს განცხადება შეაფასა, როგორც „ზედმეტად ამბიციური“. მან, აგრეთვე, თქვა, რომ „ევროპას ექნება პრობლემები ნდობასთან დაკავშირებით, თუ დაპირებას არ შევასრულებთ და უვიზო რეჟიმს არ შემოვიღებთ“.

ჩიხშია შესული ევროკავშირისა და თურქეთის მოლაპარაკებაც; პრეზიდენტი **ერდოღანი** იმუქრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი წლის ბოლომდე უვიზო რეჟიმს არ მიიღებს, უარს იტყვის მიგრანტების შესახებ შეთანხმების შესრულებაზე და მათ ევროპისკენ მიმავალ გზას გაუხსნის. ეს პრობლემა, აგრეთვე, ახდენს ნეგატიურ გავლენას უკრაინისა და საქართველოს საკითხის გადაწყვეტაზე, თუმცა ევროპელი მაღალჩინოსნები ამ თემაზე ღია საუბარს ერიდებიან, რადგან ეს მეტისმეტად ცინიკური იქნებოდა.

უბრალო ქართველები და უკრაინელები უყურებენ ყოველივე ამას და ევროკავშირის წარმომადგენელთა მოქმედებაზე კარგს, სავარაუდოდ, არაფერს ფიქრობენ, რადგან აშკარაა წინასწარი შეთანხმების დარღვევა, ხოლო ევროპელი მაღალჩინოსნების დაბნეული განცხადებები სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს. სკეპტიკური განწყობებისა და გაღიზიანების ზრდა ამ ნიადაგზე არათუ მოსალოდნელი, არამედ სავსებით ლოგიკურიცაა.

## ნაციონალისტური რენესანსი

რაოდენ საწყენიც უნდა იყოს უკრაინელებისა და ქართველებისთვის, მათთვის სავიზო რეჟიმის შერბილება ევროკავშირისთვის მეათეხარისხოვანი პრობლემაა. ევროპა ჯერ კიდევ ვერ მოეგო გონს ბრიტანული რეფერენდუმის შოკისმომგვრელი შედეგების შემდეგ და ახლა ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთაც დღის წესრიგში ევროსკეპტიკური, ნაციონალისტური ძალების მკვეთრი გაძლიერება აყენებს.

როდესაც საქართველოში ამ თემას ეხებიან, როგორც წესი, ერთმანეთისგან არ მიჯნავენ „ხისტ“ და „რბილ“ ევროსკეპტიციზმს — პირველი მათგანი ევროკავშირიდან ამა თუ იმ ქვეყნის გასვლის იდეას ეფუძნება და შედარებით ნაკლები მიმდევარი ჰყავს; მეორის მიდგომის ფარგლებში ხდება არა ევროკავშირში წევრობის, არამედ ცალკეული წესებისა თუ რეგულაციების უარყოფა, თუმცა კრიტიკულ მომენტებში (ისე, როგორც ეს დიდ ბრიტანეთში მოხდა), „რბილებმა“ და „ხისტებმა“ შეიძლება ერთი პოზიცია დაიკავონ და ევროპული ინტეგრაციის პროცესს სასიკვდილო საფრთხე შეუქმნან.

ამა წლის ივნისში ამერიკულმა „პიუ რისერჩ ცენტრმა“ ევროკავშირის 10 ქვეყანაში მასშტაბური სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ ფრანგების მხოლოდ 38% მიიჩნევს, რომ მათი ქვეყნის წევრობა ევროკავშირში სასარგებლოა, ესპანეთში ეს აზრი გამოკითხულთა 47%-მა გაიზიარა, გერმანიაში კი 50%-მა. „ევროოპტიმისტები“, როგორც აღმოჩნდა, პოლონეთსა (72%) და უნგრეთში (61%) ცხოვრობენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ 2015 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, ევროსკეპტიკოსების რაოდენობამ საფრანგეთში 17%-ით მოიმატა, ესპანეთში — 16%-ით, ხოლო გერმანიაში — 8%-ით. ცხადია, მათი დიდი ნაწილი „რბილი“ ევროსკეპტიკოსია, თუმცა გარკვეულ პირობებში, შეიძლება რადიკალური პოზიციაც გამოხატოს. ამასთანავე, ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ აშშ-ის არჩევნებში **დონალდ ტრამპის** გამარჯვება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპის ქვეყნებში ნაციონალიზმისა და ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების ზრდას და ხელისუფლებაში შეიძლება ის პოლიტიკოსები მოვიდნენ, რომლებიც ევროპულ ერთობას ბოლოს მოუღებენ. არც ისაა გამორიცხული, რომ რეალობად იქცეს ცნობილი ხუმრობა: „საქართველო და უკრაინა ევროკავშირში მაშინ შევლენ, როდესაც იქ აღარავინ დარჩება“.

მიუხედავად იმისა, რა შედეგს მიაღწევს **მარინ ლე პენი** საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში და პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ — ბუნდესტაგის არჩევნებში, რევოლუციური ხასიათის გარდატეხა უკვე მოხდა. ლიბერალები ათწლეულების განმავლობაში ცდილობდნენ, ევროპელი ნაციონალისტები მარგინალებად წარმოეჩინათ, მაგრამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათ პოლიტიკურ სპექტრში სავსებით ლეგიტიმური ადგილის დამკვიდრება მოახერხეს და ეს, უპირველეს ყოვლისა, ევროსკეპტიციზმის, აგრეთვე, ულტრალიბერალური წესების დამკვიდრებზე კონსერვატორების თავდაცვითი რეაქციის გამო მოხდა. „საფრანგეთის ეროვნული ფრონტი“, „ალტერნატივა გერმანიისთვის“, „შვედი დემოკრატები“, „დანიის სახალხო პარტია“, „უკეთესი უნგრეთისთვის“ (იობიკი), „ჭეშმარიტი ფინელები“ (ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „ევროსკეპტიკური პარტია“) და ა. შ. დღეს განიხილებიან, როგორც სავსებით რეალური პრეტენდენტები გამარჯვებაზე, მაშინ, როდესაც ათიოდე წლის წინათ მსგავსი იდეოლოგიის მქონე პარტიები უიმედო აუტსაიდერებად ითვლებოდნენ. ორ მათგანზე, იტალიურ „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობასა“ და „ავსტრიის თავისუფლების პარტიაზე“, სჯობს, ცალკე ვისაუბროთ, რადგან გასულ კვირას ორივე მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

## მატჩის ანგარიშია 1:1

რვა წლის წინათ შექმნილმა „ხუთი ვარსკვალავის მოძრაობამ“ სენსაცია იტალიის პარლამენტის 2013 წლის არჩევნებზე მოახდინა, როდესაც ყველასათვის მოულოდნელად ამომრჩეველთა ხმების 25% მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მის შიგნით განხეთქილება მოხდა, ის მმართველი „დემოკრატიული პარტიის“ მთავარ ალტერნატივად ჩამოყალიბდა. მნიშვნელოვან წარმატებას მან, აგრეთვე, ამა წლის ივნისში გამართულ ადგილობრივ არჩევნებზე მიაღწია. გასულ კვირას გამართულ რეფერენდუმის შესახებ ის მოსახელობას მოუწოდებდა, უარი ეთქვა საკონსტიტუციო რეფორმისთვის, რომლის ინიციატივით პრემიერმინისტრი **მატეო რენცი** და „დემოკრატიული პარტია“ გამოვიდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ დღევანდელი სისტემა, როდესაც კანონპროექტს სჭირდება დამტკიცება პარლამენტის ორივე პალატაში, ქვეყნის მართვას ართულებს, ამიტომ გამოვიდნენ წინადადებით, ეს მხოლოდ ქვედა პალატას გაეკეთებინა, რაც, თავის მხრივ, შექმნიდა წინაპირობას საარჩევნო სისტემის რეფორმისთვის. რენციმ წინასწარ განაცხადა, რომ რეფერენდუმზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გადადგებოდა, რაც პრაქტიკულად გარდაუვალს გახდიდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გამართვას. როდესაც კვირას, გვიან საღამოს ცხადი შეიქნა, რომ რეფერენდუმი „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობის“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა, პრემიერმინისტრმა მატეო რენციმ მარცხი აღიარა და განაცხადა პოსტიდან წასვლის შესახებ. ევროპული ერთიანობის მოწინააღმდეგეები იტალიაში თავიანთ მიზნებს კიდევ ერთი ნაბიჯით მოუახლოვდნენ.

ავსტრიაში დასრულდა საპრეზიდენტო მარათონი, რომელიც ექვს თვეს გაგრძელდა. მაისში მეორე ტურში „მწვანეთა პარტიის“ ყოფილმა თავმჯდომარემ (ფორმალურად ის მონაწილეობდა არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი) **ალექსანდრე ვან დერ ბელენმა** გაიმარჯვა (51,9%), მაგრამ მისმა ოპონენტმა ნაციონალისტური და ევროსკეპტიკური „ავსტრიის თავისუფლების პარტიიდან“ — **ნორბერტ ჰოფერმა** (48,1%) არჩევნების შედეგები გააპროტესტა და უხეშ დარღვევებზე მიუთითა. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ 78 ათასი ბიულეტენი საეჭვოა და არჩევნების ხელახალი ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ის სექტემბერში უნდა გამართულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიულეტენების ნაწილი (ის, რომელიც ფოსტით ხმის მიცემისთვის გამოიყენება) უვარგისია და არჩევნები 4 დეკემბისთვის გადაიტანეს. ასეთი მანიპულაციები საქართველოში რომ მომხდარიყო, ევროკავშირი, ალბათ, სანქციებს დაგვიწესებდა, მაგრამ ავსტრიელებს, როგორც ჩანს, ეპატიებათ.

გასულ კვირას ისევ ვან დერ ბელენმა გაიმარჯვა (53,6%), თუმცა ის, რომ ნაციონალისტების კანდიდატს გაპრეზიდენტებამდე ძალიან ცოტა დააკლდა, მიუთითებს იმაზე, რომ ავსტრიამ ევროკავშირის სტაბილურობასა და ერთიანობასაც კი მომავალში შეიძლება არაერთი საფრთხე შეუქმნას.

ასეა თუ ისე, წინააღმდეგობები ევროკავშირში ღრმავდება და მას სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა რჩება, სამეზობლოში გავლენის ზონა აქტიურად გააფართოვოს. ამასთანავე, ძალიან სწრაფად უარესდება ევროკავშირის ურთიერთობა თურქეთთან, რაც უდავოდ აისახება საქართველოზეც. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სიტუაციის ადეკვატური შეფასება და, ილუზიებში ცხოვრების ნაცვლად, რეალობისთვის თვალის გასწორება, მიუხედავად იმისა, ცალკე აღებულ ვიზალიბერალიზაციას ეხება ეს თუ ზოგადად საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივას.

**ლუკა ნემსაძე**

სტრატეგიული პატრონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საინტერესოა, რომელი 5 ქვეყნის საელჩოსთან ერთად აპირებს ამას დიდი ბრიტანეთი და რომელი 5 ქვეყნის „დიპლომატები“ ჰყავს ბრიტანეთს ჩართული ამ პროგრამაში? რას ჰგავს ეს — დიპლომატიურ საქმიანობას თუ ეშელონირებული რეზიდენტურის ძირგამომთხრელ ქმედებას?**

# დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს

**საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა (აღადგინა) დამოუკიდებლობა. მას შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა რეალურად დამოუკიდებელი არასოდეს ყოფილა, თუ არ ჩავთვლით მოკლე პერიოდს 90-იანების დასაწყისში, რომელიც ზუსტად 25 წლის წინათ პუტჩითა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით დასრულდა. მას შემდეგ საქართველოს ყველა ხელისუფლება უცხო ძალების მიერ იმართება და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც ის ძალები იღებენ, ხელისუფლების სათავეში კი არიან მარიონეტები, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებენ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ბრძანებებსა და მითითებებს.**

საქართველოს თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასოდეს აკლდა მსტოვარი, მაგრამ ისეთი ვითარება, როგორიც დღეს არის, ალბათ, არასოდეს ყოფილა — არავინ იცის, რამდენი ჯაშუში ჰყავს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ჩანერგილი ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ხომ უცხო ქვეყნების ინტერესების დამცველები და გამტარებლები არიან?!

საქართველოს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიზანი თავიანთი ინტერესების დაცვაა ამ მსტოვრების მეშვეობით. ეს ინტერესები კი რუსეთთან ბრძოლაში საქართველოს გამოყენებაა. რა თქმა უნდა, რუსეთსაც ექნება სადაზვერვო აქტივობა საქართველოში, მაგრამ მას არც კი დაესიზმრება, იმდენი მოქმედი და სარეზერვო აგენტი ჰყავს დასავლეთს, კერძოდ, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამ სახელმწიფოების ძალისხმევით ღვრიდა ქართველთა სისხლს 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ჯალათი ხელისუფლება, სწორედ მათი ძალისხმევით მიმდინარეობს ქვეყანაში განათლების, კულტურისა და ეკონომიკის ნგრევა, მათი დაფინანსებითა და ხელშეწყობით ცდილობენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ქართული ფასეულობების რღვევასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე შეტევას. საქართველოს „სტრატეგიული მეგობრების“ მიზანია, არ დაუშვან საქართველოში თავიანთი გავლენის შესუსტება და საქართველოს სვლა სწორი მიმართულებით — საკუთარი ინტერესების დაცვისა და მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, რუსეთთან, ურთიერთობის აღდგენისკენ. და, თუ საქართველომ სწორი გეზი აიღო, ჩვენი „სტრატეგიული მეგობრები“ აამოქმედებენ თავიანთ მსტოვრებს, აგენტებს, რომლებითაც გაძეძგილია საქართველოს ხელისუფლების ყველა სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ჩვენს სპეცსამსახურებს კი ღრმა ძილით ძინავთ, თუმცა იქაც ხომ უცხოეთის ბევრი აგენტია მივლინებული და, როგორც ირკვევა, — უცხოეთიდან პირდაპირ კურატორად დანიშნული. საქართველო გაძეძგილი რომ არის უცხო ქვეყნის აგენტებით, ამაზე ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს, ამას, აგრეთვე, მოწმობს კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF) 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტი, რომლის შექმნაში, სავარაუდოდ, მონაწილეობდა საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი და ზემოაღნიშნული ფონდის მრჩეველი კავკასიაში რეგიონული კონფლიქტების საკითხებში **კრისტოფერ ჯოისი**, დიდი ალბათობით, ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენელი. სწორედ ამ დოკუმენტით იკვეთება ის, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები უცხო ქვეყნების აგენტურითაა სავსე; იკვეთება ისიც, თუ რატომ მიჰყავთ ქართველები უცხოეთის, ძირითადად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის, სასწავლებლებში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“...

**გთავაზობთ ამონარიდებს კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF) 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტიდან, რომელიც საინფორმაციო სააგენტო საქინფორმმა გამოაქვეყნა:**


CSSF Caucasus & Moldova Programme Document 2016-17

***„ამ საპროგრამო დოკუმენტში მოცემულია CSSF-ის მოღვაწეობის გეგმა კავკასიასა და მოლდოვაში. ძირითადი ამოცანა კი არის კავკასიის ქვეყნებისა და მოლდოვასთვის დახმარების გაწევა მათზე რუსეთის გავლენის შესასუსტებლად იმ მოწყვლადი მხარეების შემცირების გზით, რომლებზეც რუსეთს შეუძლია ზემოქმედება თავისი მიზნების განსახორციელებლად.**

**საქართველოსა და მოლდოვასთვის CSSF პროგრამა კოორდინირებულია შედეგიანი მართვის ფონდის (GGF) უკვე არსებულ პროექტებთან ამ ქვეყნებში დიდი ბრიტანეთის გავლენის ზრდის მიზნით.**

**CSSF-ის პროგრამა შეიცავს ინფორმაციას ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის პერსპექტივაზე საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში (და თურქეთში), რუსეთსა (ჩრდილოეთი კავკასია) და მოლდოვაში 2016-2017 წლებში. CSSF-ს გაერთიანებულმა სამდივნომ მიმდინარე წელს 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოყო ამ პროგრამის სარეალიზაციოდ ზემოაღნიშნულ რეგიონებში 2020 წლის მარტამდე. აქედან გამომდინარე, შემდეგ საფინანსო წელს ჩვენ დავიწყებთ გრძელვადიან პროექტებს“.**

ბრიტანეთის ხელისუფლება არ მალავს, რომ მისი მთავარი მიზანი საქართველოში რუსეთის გავლენის შესუსტება და ამიერკავკასიიდან მისი გაძევებაა, ამისთვის უკვე გამოყო 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ არ ამბობს, რას გამოიწვევს ეს „გრძელვადიანი პროექტები“ საქართველოში და ფეხებზე ჰკიდია, ამის გამო კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი თუ სამიზნეში ამოიღებს ჩვენს ქვეყანას, რომელიც ამერიკა-ბრიტანეთისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად იქცევა.

დიდი ბრიტანეთი არც მალავს, რომ მისი მიზანი, რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირება და ქართველებზე კეთილშობილური ზრუნვა კი არა, აქ ლონდონის გავლენის ზრდა და ბრიტანეთის „საუკეთესო ტრადიციებში“ რეგიონის სრული კოლონიზაციაა, რათა შემდგომში კავკასიის ქვეყნები (მათ შორის — საქართველო) გამოყენებულ იქნას ინსტრუმენტად რუსეთის წინააღმდეგ, რასაც მოწმობს ხსენებულ დოკუმენტში შეფარვის გარეშე მოცემული პუნქტი — „საქართველოსა და მოლდოვასთვის CSSF პროგრამა კოორდინირებულია შედეგიანი მართვის ფონდის (GGF) უკვე არსებულ პროექტებთან ამ ქვეყნებში დიდი ბრიტანეთის გავლენის ზრდის მიზნით“.

მიაქციეთ ყურადღება: პროექტი ხორციელდება არა საქართველოს ფორმალური სუვერენიტეტის ხარისხის ასამაღლებლად, არამედ „დიდი ბრიტანეთის გავლენის ზრდის მიზნით“.

*** „მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების განხორციელება მოცემული პროგრამის რეალიზაციის ჩარჩოებში ხელს შეუწყობს ვითარების სტაბილიზაციას ზემოაღნიშნულ რეგიონებში, მისცემს მათ შესაძლებლობას ეფექტურად გაუწიონ წინააღმდეგობა საგარეო მადესტაბილიზებელ გავლენას. ამ პროგრამების რეალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ მიზნებთან, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის აწყობის სტრატეგიასთან, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში რადიკალურ ექსტრემიზმთან ბრძოლასთან.**

**ზემოაღნიშნულ პროგრამას განახორციელებს კავკასიაში რეგიონული კონფლიქტების მრჩეველი 5 საელჩოს თანამშრომლებთან ერთად ბრიტანელი სპეციალისტების მოწვევით, საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ.), აგრეთვე, საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო) ჩართვით, რომლებსაც აქვთ მსგავსი პროექტების რეალიზაციის მდიდარი გამოცდილება რეგიონში“.**

რა თქმა უნდა, ეს პროგრამა „მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრიტანეთის პოლიტიკურ მიზნებთან“ და არა — საქართველოს. ბრიტანეთის მიზანი რუსეთთან დაპირისპირებაა, ხოლო, რაც მოუტანა საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებამ, 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ. რუსეთთან დაპირისპირება ხელს ვერ შეუწყობს საქართველოში ვითარების სტაბილიზაციას, უფრო პირიქით. ამონარიდიდან ჩანს მასშტაბები სამუშაოსი, რომელსაც დასავლეთი ეწევა საქართველოში (და არამხოლოდ); ბრიტანული პროგრამის განხორციელებაში ბრიტანელ „მრჩეველთან“ ერთად ჩართულნი არიან სხვა 5 საელჩოს თანამშრომლები, გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, „წითელი ჯვრის“ და, რაც მთავარია, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც „მსგავსი პროექტის რეალიზაციის მდიდარი გამოცდილება აქვთ“. „მდიდარ გამოცდილებაში“ კი, ალბათ, იგულისხმება „ვარდების რევოლუცია“, ბრძოლა ქართული ტრადიციებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, დასავლეთის უმთავრესი დემოკრატიული ღირებულების — ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება, ე.წ. გენდერული თანასწორობის დაკანონება, მარიხუანის მოყვანისა და მოწევის ლეგალიზება და ა.შ., ანუ დიდ ბრიტანეთს განზრახული აქვს, სრულიად მოშალოს საქართველოს სახელმწიფოს საფუძვლები.

ისე, საინტერესოა, რომელი 5 ქვეყნის საელჩოსთან ერთად აპირებს ამას დიდი ბრიტანეთი და რომელი 5 ქვეყნის „დიპლომატები“ ჰყავს ბრიტანეთს ჩართული ამ პროგრამაში? რას ჰგავს ეს — დიპლომატიურ საქმიანობას თუ ეშელონირებული რეზიდენტურის ძირგამომთხრელ ქმედებას?

*** „ჩვენ ვგეგმავთ რამდენიმე პროექტის შემუშავებას, რომლებიც მიმართული იქნება პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტის, აგრეთვე, შორეული პერსპექტივის შესაძლებლობების შექმნისკენ.**

**მოცემული რეგიონების საინფორმაციო სივრცეში ვგეგმავთ ალტერნატიული ინფორმაციის გასავრცელებლად საინფორმაციო რესურსების შექმნას 5 ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ).**

**საინფორმაციო დაპირისპირების ჩარჩოებში მუშაობისას მსგავსი მოღვაწეობა არანაკლებ მნიშვნელოვანი დამატება იქნება GGF-ის პროექტისთვის მსგავსი მედიასაშუალებების შესაქმნელად საქართველოში, აგრეთვე, რუსულენოვანი მედიასაშუალებების შესაქმნელად ახალი კამპანიისთვის, რომელიც გაშლილია დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის მიერ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საინფორმაციო დაპირისპირების ჩარჩოებში.**

**GGF-ის პროექტები მიმართულია ადგილებზე ალტერნატიული მედიასაშუალებების შექმნის შესაძლებლობების გასავითარებლად.**

**GSSF-ის პროექტების მიზანია სახელმწიფო მედიასაშუალებებისგან განსხვავებული აქტუალური ინფორმაციის მიწოდება, GGF-ის პროექტებიც ხელს შეუწყობს მოცემული მიზნის მიღწევას.**

**რუსულენოვანი მედიასაშუალებების შექმნის ახალი საერთოევროპული პროექტის — EECAD-ის რეალიზება CSSF-ის უკვე არსებული პროგრამების გამოყენებით მიმდინარე წელს მოხდება.**

**ზემოაღნიშნული პროექტის მიზანია, მოცემულ რეგიონებში ვითარებაზე დიდი ბრიტანეთის გავლენის გავრცელება.**

**ამრიგად, CSSF-ის მოღვაწეობა ორგანიზებულია ისე, რომ ენის უცოდინარობის გამო გამოირიცხოს ზემოაღნიშნული რეგიონების მოსახლეობის არც ერთი ჯგუფის ჩაურთველობა ალტერნატიული მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის მოწოდების პროცესში, ამიტომ ზემოაღნიშნული მედიასაშუალებები მუშაობისას იყენებენ 5 ენას, რათა მოიცვან რაც შეიძლება დიდი აუდიტორია, მათ შორის ის პირებიც, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის (UKVNC) მუდმივად ყოფნა არის დიდი ბრიტანეთის მიერ შეტანილი წვლილი ნატოსა და საქართველოს ურთიერთობის პროცესში, რომელიც რეგულირდება ნატოს უელსის სამიტზე მიღწეული შეთანხმებებით.**

**ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე, სამთავრობოთაშორისი ინფორმაციის გაცვლის სისტემის გამართვაში. ის მჭი-**

▶

# ლონდონი აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ „განსხვავებული“, „ალტერნატიული“ ინფორმაციის მიწოდებას, ანუ, გასაგებ ენაზე, რომ ვთქვათ, დეზინფორმაციის ტირაჟირებას. თანაც, ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა მოედინებოდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში მოსახლეობის არც ერთ სეგმენტს არ მოაკლდეს „მზრუნველი ხელი“.

სტრატეგიული პატრონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀დროდ თანამშრომლობს სტრატეგიული განვითარების საკითხების ჩვენს მრჩეველთან (SDA), აგრეთვე, GGF-ის საინფორმაციო დაპირისპირების ჯგუფებთან და ლონდონში განლაგებულ EECAD-ის საკომუნიკაციო განყოფილებასთან (რეალიზება ხდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პროექტში ჩართული პარტნიორების მეშვეობით, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირის წევრებთან და საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის ევროპის სამსახურთან)“.**

ბრიტანეთი არ მალავს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც საინფორმაციო დაპირისპირების, ანუ საინფორმაციო ომის პოლიგონს, თანაც ყოველგვარი უხერხულობის გარეშე აცხადებს, რომ ამ საინფორმაციო სივრცეში (საქართველოში — ავტ.) ლონდონი აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ „განსხვავებული“, „ალტერნატიული“ ინფორმაციის მიწოდებას, ანუ, გასაგებ ენაზე, რომ ვთქვათ, დეზინფორმაციის ტირაჟირებას. თანაც, ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა მოედინებოდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში მოსახლეობის არც ერთ სეგმენტს არ მოაკლდეს „მზრუნველი ხელი“.

რომელ „ალტერნატიულ“ ინფორმაციაზეა აქ ლაპარაკი — იმაზე ხომ არა, რომ, დასავლური მედიის მსგავსად, შავზე თეთრიაო, — თქვან?! სწორედ ამის გამო უწოდა აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რამდენიმე დღის წინათ გამართულ შეხვედრაზე ამერიკის წამყვანი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს „მატყუარების ბრბო“.

თუმცა დოკუმენტის ამ ნაწილში ყველაზე შეურაცხმყოფელი მაინც ის პუნქტია, რომელშიც საუბარია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მუდმივად ყოფნაზე. როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროს სწორედ ეს წარმომადგენელი მართავს და არა თინა ხიდაშელი თუ ლევან იზორია. როგორც ჩანს, საქართველოს სუვერენიტეტი ნომინალურიც აღარ არის — ვატარებთ არჩევნებს, ვქმნით სახელმწიფო ატრიბუტების ილუზიას, მაგრამ სინამდვილეში, როგორც ჩანს, დიდი ხანია, გადასული ვართ „გარედან მართვის“ რეჟიმზე. სამწუხაროდ, ეს არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს, როგორც დოკუმენტი იუწყება, „ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე, სამთავრობოთაშორისი ინფორმაციის გაცვლის სისტემის გამართვაში“. კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია — მეტასტაზები მთელ მთავრობაზეა მოდებული.

*** „უშიშროების ორგანოების რეფორმირებით შესაძლებელი იქნება უარის თქმა საბჭოთა კავშირის ეპოქაში მიღებული მუშაობის გამოცდილებაზე, რომელიც მანიპულაციის საგანია რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ის, აგრეთვე, აამაღლებს მათი მუშაობის ეფექტურობასა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობას.**

**ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველი აქტიურად მოქმედი და კომპეტენტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომელიც გარედან ნებისმიერ ჩარევას საკადრის პასუხს გასცემს.**

**შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ურთიერთქმედებამ მოცემულ მომენტში უკვე იქონია დადებითი გავლენა სამომავლო თანამშრომლობის მდგრადი პლატფორმის შექმნაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ სფეროში ჩვენი მონაწილეობის გაფართოების მიზნით.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მივლინებულია სტრატეგიული განვითარების საკითხების ბრიტანელი მრჩეველი, რომელიც სომხეთის თავდაცვის სამინისტროსაც ეხმარება კონსულტაციებით. მის მოღვაწეობაში, აგრეთვე, შედის ორივე სახელმწიფოსთვის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საკითხების ანალიტიკური მიმოხილვის მომზადება (რეალიზება ხდება დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მათ შორის — გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ა.შ. მოღვაწეობა ხორციელდება ქვეყნის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ურთიერთთანამშრომლობით)“.**

სწორედ უშიშროების სამსახურის რეფორმირებისა და საქართველოს სპეცსამსახურებში თავიანთი აგენტების ჩანერგვით (თუმცა, რაღა ჩანერგვით — ოფიციალურად არის თურმე იქ მიწვეული ბრიტანეთის მრჩეველი სტრატეგიული განვითარების საკითხებში, რომელიც კონსულტაციებს უწევს და ანალიტიკურ მიმოხილვებს უმზადებს საქართველოსა და სომხეთის ძალოვან უწყებებს) სურს დიდ ბრიტანეთს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოო მოშლა. მართლაც, ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველი აქტიურად მოქმედი კომპეტენტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომლებიც საკადრის პასუხს გასცემენ გარედან ნებისმიერ ჩარევას, მაგრამ როგორი დამოუკიდებელია საქართველო, თუ მის ყველა ძალოვან უწყებაში დიდი ბრიტანეთისა და კიდევ, ვინ იცის, რამდენი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან მივლინებულნი?! რაც მთავარია, თვალშისაცემია ცინიზმი, როდესაც დოკუმენტში, რომელშიც გაწერილია საქართველოს, როგორც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სუვერენიტეტის სრული ნიველირების გეგმა, მისი თავდაცვისა და უშიშროების სამსახურებზე სრული კონტროლის მოპოვების მეთოდიკა და ინსტრუქციები, ბრიტანელი სპეციალისტი აღნიშნავს — **„ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველი აქტიურად მოქმედი და კომპეტენტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომლებიც გარედან ნებისმიერ ჩარევას საკადრის პასუხს გასცემენ“...** ცინიზმის მიუხედავად, ეს სრული სიმართლეა და საქართველო თუნდაც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ იყოს, მისი კომპეტენტური სპეცსამსახურები“ დიდი ხნის წინათ გაანეიტრალებდნენ ღიად მოქმედ დესტრუქციულ ორგანიზაციებს, რეზიდენტებს, რომლებიც ისე გათავხედდნენ, რომ კონსპირაციას ზრდილობის გამოც აღარ მიმართავენ და ამ დოკუმენტის ავტორსაც დიპლომატისთვის შეუფერებელი საქციელისთვის კინწისკვრით მიაბრძანებდნენ ქვეყნიდან... მაგრამ საქართველო, როგორც ნეოკოლონიალიზმის თვალსაჩინო პროდუქტი — ტერიტორია, ამის უფლებას საკუთარ თავს, როგორც ჩანს, ვერ მისცემს.

*** „დიდი ბრიტანეთის აზრით, მოცემული რეგიონის ქვეყნები რომ იყოს ძლიერი, აყვავებული, სტაბილური და დემოკრატიული, რაც პასუხობს ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურის ხანგრძლივვადიან მიზნებს, აუცილებელია შემდეგი შედეგების მიღწევა:**

**— რეგიონის მოწყვლადობის დონის შემცირება რუსეთის ფედერაციის ზემოქმედების მიმართ (ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურის სტრატეგია, პუნქტი „მედეგობა“);**

**— რუსული მედიასაშუალებების მიერ ვითარების დესტაბილიზაციისთვის გავრცელებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა;**

**— თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში დიდ ბრიტანეთთან მუდმივ ურთიერთქმედებას, თუმცა ნელ, მაგრამ ღრმა ცვლილებებთან მივყავართ, რომლებიც ამაღლებს უშიშროების ორგანოს მუშაობის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლებლობების შემცირებას;**

**— ხელისუფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაფართოება უშიშროების ორგანოების გამჭვირვალე მუშაობისა და ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად. ეს გამოიწვევს ხელისუფლებებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთნდობის გაძლიერებას, აგრეთვე, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის მუშაობას და ამით გაანადგურებს გარედან წამოსული დეზინფორმაციისა და მანიპულაციებისთვის სასიკეთო ნიადაგს;**

**— ახალი ამბების, აგრეთვე, ანალიტიკური პროგრამებისა და ჟურნალისტური გამოძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება 5 ენაზე.**

**აქტუალურ თემებზე გამოქვეყნება სტატიებისა, რომლებშიც ურთიერთგაგების გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპეციფიკურ საკითხებს, კონკრეტულ ჯგუფებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელს, აგრეთვე, სხვადასხვა ეთნიკურ და გენდერულ ჯგუფსა და ეროვნულ უმცირესობას შორის კავშირების განსამტკიცებლად;**

**— რეგიონის ქვეყნების თავდაცვის სამინისტროებში სტრატეგიული განვითარების საკითხებში მრჩევლის (SDA) მუდმივად ყოფნა ხელს შეუწყობს სამომავლო ცვლილებებს.**

**კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების შერჩევა დიდ ბრიტანეთში სწავლების გავლის მიზნით ხელს შეუწყობს მათი მსოფლმხედველობისა და ყოფაქცევის მოდელის შეცვლას, აგრეთვე, დიდ ბრიტანეთთან ხანგრძლივი კავშირების დამყარებას.**

**— უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა სწავლების კურსები ხელს შეუწყობს მოთხოვნების უკეთ გაგებას და გამჭვირვალობის უპირატესობას მათ მუშაობაში“.**

აქ ისევ რუსეთის „დეზინფორმაციასთან“ ბრძოლაზეა ლაპარაკი, მაგრამ რა ვუყოთ ბრიტანულ დეზინფორმაციას, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ კვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების შერჩევა დიდ ბრიტანეთში სწავლების გავლის მიზნით ხელს შეუწყობს მათი მსოფლმხედველობისა და ყოფაქცევის მოდელის შეცვლას, აგრეთვე, დიდ ბრიტანეთთან ხანგრძლივი კავშირის დამყარებას. აი, რატომ უნდათ ქართველი სპეციალისტის წაყვანა „სასწავლებლად“ დიდ ბრიტანეთში.

ან იმას რა ვუყოთ, რომ უშიშროების სისტემის რეფორმირებაში, ამ დოკუმენტის თანახმად, ძირითადად ბრიტანეთის სპეცსამსახურებისადმი ლოიალურობა და სრული გამჭვირვალეობა იგულისხმება? როგორია უცხო ქვეყნისადმი სრულიად ლოიალური და გამჭვირვალე უსაფრთხოების სისტემა? — ეს ხომ ყველა სუვერენული სახელმწიფოს „ოცნებაა“ — იყოს სხვა ქვეყნის ყურმოჭრილი მონა და ნებაყოფლობით თქვას უარი იმუნიტეტზე გარე გავლენებისგან.

**„CSSF, ცდილობს რა, იპოვოს ადეკვატური პასუხი ნებისმიერ მწვავე სიტუაციაში, აწარმოებს სამუშაოებს რეალურ დროში გავრცელებული დეზინფორმაციის წინააღმდეგ.**

**საქართველოში, მაგალითად, ყალიბდება თავისუფალი სივრცე, რომლის ჩარჩოებშიც GGF აწარმოებს საინფორმაციო ბრძოლას, რათა აამაღლოს საქართველოს უნარი, დაუპირისპირდეს რუსეთის დეზინფორმაციას. ამ სამუშაოებს უკვე მოაქვს კარგი შედეგები ადგილობრივ დონეზე; განზრახული გვაქვს, ჩვენი გამოცდილება სხვა რეგიონებსაც გავუზიაროთ, ამასთანავე, უფრო განვავითაროთ თანამშრომლობა და გავცვალოთ არსებული რესურსები ჩვენი გავლენის გასაძლიერებლად“.**

კიდევ ერთხელ: ბრიტანეთის მიზანი საქართველოში თავისუფალი მედიისთვის ხელის შეწყობა კი არ არის, არამედ საინფორმაციო (არამხოლოდ) ომი რუსეთის წინააღმდეგ და ქართული მედიის მეშვეობით „ალტერნატიული“, ანუ დეზინფორმაციის ნაკადის გავრცელება ხუთ სხვადასხვა ენაზე.

*** „საინფორმაციო სივრცეში ჩვენი მუშაობა გაგრძელდება ყველა ახალი გენდერული საკითხის გათვალისწინებით და ეს დაგვეხმარება, ეჭვქვეშ დავაყენოთ ზოგიერთი ტრადიციული პატრიარქალური მიდგომა საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ და მოცემულ რეგიონში მშვიდობის გამტკიცების პროცესში. რეგიონში ჩვენი ჟურნალისტური გაერთიანება ძირითადად შედგება ქალებისგან, რომლებსაც კარგად ესმით ის საკვანძო ამოცანები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი მოუგვარებელი კონფლიქტების გამო.**

**უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ჩვენი მუშაობა, აგრეთვე, წარმოების გენდერული საკითხების გათვალისწინებით, მათ შორის ამას ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივა სექსუალური ძალადობის თავიდან აცილებაზე (PSVI) ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ბევრი კურსი, აგრეთვე, მოიცავს გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ამ კურსებში მონაწილეობას სულ უფრო ხშირად ვთავაზობთ უშიშროების ორგანოებში მომუშავე ქართველ და სომეხ ქალებს.**

**ეს მოცემული ასპექტები პასუხობს ქალთა უფლებების დაცვისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების ნაციონალურ პროგრამებს (დიდი ბრიტანეთი), იძლევა შესაძლებლობას, რიგითმა ქალებმა მიიღონ მონაწილეობა უთანხმოების მოგვარების შესახებ ლექციებში და ხელს უწყობს გენდერული საკითხების უკეთესად გაგებას როგორც მა-**

გაგრძელება მე-8 გვ.



სტრატეგიული პატრონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომელ ქართულ-აფხაზურ ნახევრადფორმატიან დიალოგზეა აქ ლაპარაკი ან რომელ საკვანძო მოთამაშეებთან დაამყარეს ბრიტანელებმა კონტაქტი, რომლებსაც როტაციის შემდეგ შეეძლებათ გავლენიანი მდგომარეობის დაკავება? რა გამოდის: როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის მთავრობა გაძეძგილია ბრიტანელთა აგენტებით?**

# დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს

გაგრძელება
მე-7 გვერდიდან

**მაკაცების, ასევე ქალების მხრიდან“.**

უფლებების დაცვა, სექსუალური ძალადობის აღკვეთა — სწორედ ამ „გენდერულ საკითხებს“ ამოფარებული ცდილობს დიდი ბრიტანეთი, „ტრადიციული პატრიარქალური მიდგომის“ დანგრევას ქართველ საზოგადოებაში. მათი აქტიური მუშაობის კვალი უკვე ეტყობა ქართულ „ენჯეოებს“ — ამ ორგანიზაციების ყველაზე ოდიოზური ლიდერები სწორედ გენდერულ თემებზე სპეკულირებით იწყებდნენ კარიერას და სტატისტიკურადაც მათ ლიდერებს შორის გენდერული ერთფეროვნებისკენ მიდრეკილი კაპასი დედაკაცები ჭარბობენ. არადა, სირცხვილიც კია, ბრიტანელებმა და ამერიკელებმა ასწავლონ ქართველებს ქალის პატივისცემა და ოჯახური ტრადიციების დაცვა. ისე, ამას წინათ, **ტრამპის** არჩევის შემდეგ, ამერიკაში გაიმართა აქციები, რომლებზეც გამოიტანეს პლაკატები წარწერით: „გავაუპატიუროთ მელანია“ (დონალდ ტრამპის მეუღლე). ლაპარაკია აშშ-ის პრეზიდენტის ცოლზე... და ეს საზოგადოება ასწავლის ქართველებს, როგორ მოიქცეს ქალთან?!

ან ეს როგორ მოგწონთ: „ამ კურსებში მონაწილეობას სულ უფრო ხშირად ვთავაზობთ უშიშროების ორგანოებში მომუშავე ქართველ და სომეხ ქალებს“ — ცხადია, რომ ბაზა სომხეთში სათანადო ქსელის შესაქმნელად მათთან კომუნიკაციისა და მათი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად სწორედ საქართველოს უშიშროების ორგანოებში მომუშავე „სომეხი ქალებისგან იქმნება“ — და თუ ასე გაგრძელდა, მალე ერევანში მორიგ ანტისახელისუფლო მიტინგზე CSSF-ის მიერ მომზადებულ „26 ამორძალსაც“ ვიხილავთ. ისე, ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ დესტრუქციისა და „ფერადი რევოლუციების“ ექსპორტიორებად, დიდი ხანია, საქართველოს განიხილავენ. ამის დასტურად ხან ყირგიზეთში, ხან ბელარუსში, ხანაც უკრაინაში გამართულ ანტისახელისუფლო მიტინგებზე მოშლიგინე **გივი თარგამაძეც** იკმარებს.

*** „რადგან დიდი ბრიტანეთი (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების სახით) დიდი ხნის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ქართულ-აფხაზური ნახევარფორმატიანი დიალოგის (Track 1.5) აგების პროცესში, ჩვენ შევძელით კონტაქტის დამყარება საკვანძო მოთამაშეებთან, რომელთაგან ბევრს მაღალჩინოსნების მორიგი როტაციის შემდეგ შეეძლებათ საკმაოდ გავლენიანი მდგომარეობის დაკავება.**

**ჩვენ ვგზავნით წარმომადგენლებს ევროკავშირისა და ეუთოს სპეციალურ სადამკვირვებლო მისიებში და ამით ვამაღლებთ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლობის როლსა და მნიშვნელობას. ამას გარდა, ეს მოქმედებები გარანტიას იძლევა ამ რეგიონზე დიდი ბრიტანეთის გავლენის შესანარჩუნებლად და დაუფარავად აჩვენებს რუსეთსა და რეგიონულ მთავრობებს პროცესების მშვიდობიანი რეგულირებისკენ ჩვენს მისწრაფებას.**

**ჩვენ განვაგრძობთ გენდერულ საკითხებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ბრიტანელი მრჩევლის დაფინანსებას, რადგან გვინდა, რომ ამ მისიამ ჩაატაროს სამუშაოები არა მხოლოდ ამ ორგანიზაციის შიგნით, არამედ ურთიერთქმედების ჩარჩოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წარმომადგენლებთან, რომლებიც საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრის ახლოს ცხოვრობენ. დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერს არაკომერციულ ორგანიზაცია HALO Trust-ს, რომლის მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება არის მთიანი ყარაბახის ტერიტორიის გაწმენდა ნაღმებისგან, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვექმნა გამნაღმველთა ჯგუფი მხოლოდ ქალებისგან. ეს ფაქტი ნათელი მაგალითია სქესთა თანასწორობისა მამაკაცების საქმიანობის სფეროში.**

**სომხეთში ჩვენ განვაგრძობთ ქალთა უფლებების დაცვისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების ნაციონალური გეგმის მხარდაჭერას“.**

რომელ ქართულ-აფხაზურ ნახევრადფორმატიან დიალოგზეა აქ ლაპარაკი ან რომელ საკვანძო მოთამაშეებთან დაამყარეს ბრიტანელებმა კონტაქტი, რომლებსაც როტაციის შემდეგ შეეძლებათ გავლენიანი მდგომარეობის დაკავება? რა გამოდის: როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის მთავრობა გაძეძგილია ბრიტანელთა აგენტებით?

ამ მოლაპარაკების გამო ხომ არ განაცხადა საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა **პაატა ზაქარეიშვილმა**, აგრეთვე, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **თინა ხიდაშელმა**, აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს ყოფილაო?

ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე პიროვნება სწორედ დასავლეთისგან გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები იყვნენ.

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დიალოგში ჩართვამდე პატივცემულ ბრიტანელებს იქნებ გაეზიარებინათ გამოცდილება და განემარტათ ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც, როგორ, რა გზით ჩაერთნენ და მოაგვარეს ირლანდიის, შოტლანდიის, უელსის პრობლემები; ან ეს ნახევარფორმატიანი დიალოგი რას ნიშნავს? ან ეს ორგანიზაცია HALO Trust-ი რას წარმოადგენს და რა იციან მისი მოღვაწეობის შესახებ ყარაბაღსა და ერევანში?

*** „მუშაობის თითოეულ ეტაპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება დიდი ბრიტანეთის მთავრობის ინტერესების სარეალიზაციოდ მოცემულ რეგიონში. ინფორმაცია, კონტაქტები ადგილობრივი სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, აგრეთვე, ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ფენებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში ჩვენი გავლენის გასაძლიერებლად. ეს ცნობები დიდი ბრიტანეთის მთავრობის მომზადებული პოლიტიკური მოხსენებების საფუძველში იდება, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციებში იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან“.**

აბა, რა — საქართველოს სპეცსამსახურებში „მივლინებული“ ბრიტანელები ინფორმაციას, რომელსაც მოიპოვებენ, დაუყოვნებლივ გადასცემენ თავიანთ მთავრობას. მთავარი კი ამ ინფორმაციაში, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, უნდა იყოს კონტაქტები ადგილობრივი სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან და ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ფენებთან, რაც თურმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში ბრიტანეთის გავლენის გასაძლიერებლად. რა შეიძლება ამაზე ითქვას — ეს ხომ კომპრომატისა და მოსყიდვის გზით გადაბირების კლასიკური სქემაა. ამას ბრიტანელები არც მალავენ, ისინი დაუფარავად ამბობენ, რომ საქართველოს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით მათთვის საინტერესო პერსონებზე, უნდა დაწესდეს სრული კონტროლი. აკი წერენ კიდეც, რომ საქართველოს მოქალაქეებზე ღიად და ჯაშუშური გზით მოპოვებული ინფორმაცია უნდა აისახოს „დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციებში იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან“, ამის ფონზე ჯორჯ ორუელის სიუჟეტები საბავშვო ხუმრობად მოგეჩვენებათ.

*** „ადგილობრივი არასამთავრობოების გამოყენების სტრატეგია ხშირად გაცილებით ეფექტურია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოყენების სტრატეგია, ამასთანავე, ამცირებს საერთო ხარჯებს. ადგილობრივ არასამთავრობოებთან მუშაობისას ეკონომიკური ეფექტურობისკენ ჩვენი სწრაფვის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმას, რომ არ დავუშვათ მიღებული შედეგების ხარისხის გაუარესება, აგრეთვე, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დონის დაცემა, კერძოდ, CSSF-ის ჩარჩო ხელშეკრულების მონაწილეებთან.**

**CSSF-ის მუშაობის პროგრამა საქართველოსა და მოლდოვაში ითვალისწინებს ყოველწლიურად 4,5 მლნ გირვანქა სტერლინგის ბიუჯეტის გამოყოფას 2020 წლის მარტამდე“.**

ამ ამონარიდის წაკითხვის შემდეგ აღარავის გაუკვირდება, რატომ იკლავენ თავს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პედერასტების უფლებების დასაცავად, რატომ უტევენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რატომ ცდილობენ მარიხუანის მოყვანისა და მოწევის ლეგალიზებას და სხვ. მათ ხომ ამისთვის 2020 წლამდე ყოველწლიურად 4,5 მლნ გირვანქა სტერლინგი უნდა მიიღონ? ამას დაუმატეთ შარშან ამერიკის ინტერესების პროპაგანდისთვის გამოყოფილი მილიონობით დოლარი და სულგაყიდული გრანტიჭამიების მერკანტილური ზრახვები აშკარა იქნება. თანაც ბრიტანეთი მიზანშეწონილად მიიჩნევს, თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს ადგილობრივი და არა საერთაშორისო ორგანიზაციები — **„ადგილობრივი არასამთავრობოების გამოყენების სტრატეგია ხშირად გაცილებით ეფექტურა, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოყენების სტრატეგია, ამასთანავე, ამცირებს საერთო ხარჯებს“**, — გულწრფელად აღიარებენ ისინი. როგორც ჩანს, ადგილობრივი „მეხუთე კოლონა“ სამშობლოს უფრო იაფად ყიდის, ყოველ შემთხვევაში, ბრიტანელებისავე აღიარებით, რენეგატების მოსყიდვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე სპეციალისტების დაქირავება.

*** „ბრძოლა რუსეთის მხრიდან წამოსულ მადესტაბილიზებელ დეზინფორმაციასთან — ამ შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ჟურნალისტური კავშირები ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის, მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ აუღიარებელ სახელმწიფოებში. რაც შეეხება პარტნიორებს, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ ჩვენთან, მოცემული პროექტის ფარგლებში განზრახული გვაქვს, განვაგრძოთ თანამშრომლობა და ველოდებით მათი მუშაობის დადებით შედეგებს ჩვენ მიერ ჩადებული სახსრების მოცულობის შესაბამისად. დარწმუნებული ვართ, რომ მათთან მუშაობის შეწყვეტა ძალიან ადრეა.**

**ჩვენი თანამშრომლობის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მათი მუშაობის შეფასება მოხდება, როგორც მიმდინარე საფინანსო წლის მიმდინარეობისას, ისე მის ბოლოს.**

**ჩვენი პარტნიორები, რომლებიც იღებენ 105 000 გირვანქა სტერლინგზე მეტ დაფინანსებას, მხოლოდ ერთი წყაროდან დაფინანსდებიან.**

**ყველა კონტრაქტი, რომლებიც აღემატება 80 ათას გირვანქა სტერლინგს, მოწონებული უნდა იქნას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მიერ. უფრო ნაკლებთანხიანი კონტრაქტები მოწონებული უნდა იქნას პროგრამის რეგიონული საბჭოების მიერ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით ხელმოწერილ კონტრაქტებში, პროგრამის რეალიზაციის შეფასების მიზნით, უნდა იყოს პუნქტი კონტრაქტის შეწყვეტის პირობების, აგრეთვე, ანგარიშის წარდგენის შესახებ.**

**ეტაპობრივი გადახდის სისტემის მუშაობა დამოკიდებული იქნება უშუალოდ პროგრამის პროცესის რეალიზაციაზე“.**

რა თქმა უნდა, ბრიტანელების, ისევე, როგორც ამერიკელების საყრდენი ძალა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომელთა მუშაობის დადებით შედეგებს სულმოუთქმელად ელოდებიან.

რუსეთის საინფორმაციო გავლენაზე ლაპარაკი კი სასაცილოა, როცა ქართული საინფორმაციო საშუალებების 99% დასავლეთის ინტერესებზე გაჰკივის და გაშმაგებით ლანძღავს რუსეთს.

ან, საერთოდ, რა შუაშია რუსული პროპაგანდა იმასთან, რომ საქართველოს მოსახლეობის ნდობა საგრძნობლად შემცირდა დასავლეთის მიმართ, იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც უვიზო მიმოსვლაზე უარს გვეუბნებიან, მათი მოქალაქეები კი საქართველოში თავისუფლად დასეირნობენ?! იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით გვემუქრება?! ამასაც თავი რომ დავანებოთ, ბრიტანელები არ მალავენ, რომ აქამდეც იყენებდნენ და მომავალშიც აპირებენ ჟურნალისტების გამოყენებას შავბნელ საქმეებში. **„ამ შემთხვევაში ჩვენ დავეყრდნობით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ჟურნალისტური კავშირები ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის, მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ აუღიარებელ სახელმწიფოებში. რაც შეეხება პარტნიორებს, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ ჩვენთან, მოცემული პროექტის ფარგლებში, განზრახული გვაქვს, განვაგრძოთ თანამშრომლობა და ველოდებით მათი მუშაობის დადებით შედეგებს, ჩვენ მიერ ჩადებული სახსრების მოცულობის შესაბამისად“**, — დეკლარირებს ხსენებული დოკუმენტი, როგორც იტყვიან, გირვანქა სტერლინგი ჯოჯოხეთს ანათებს.

ისე, ნამუსიც კარგი საქონელია და იქნებ პატივცემულმა ბრიტანელებმა გაგვცენ პასუხი: ევროკავშირიდან პირველი სწორედ დიდი ბრიტანეთი გავიდა. ეს გადაწყვეტილება ლონდონმა რეფერენდუმის გზით მიიღო. დავიჯეროთ, ბრიტანელების უმრავლესობის ნება — ბრექსიტი — რუსული პროპაგანდის შედეგია თუ, მათი დიადი თანამემამულის არ იყოს, რაღაც დალპა ამ სამეფოში?

*** „პროგრამას უხელმძღვანელებენ შემდეგი თანამშრომლები, რომლებიც ფინანსდებიან CSSF-ისგან:**

**— მრჩეველი რეგიონული კონფლიქტების საკითხებში (RCA) (კატეგორია D6) ტერიტორიულად არის თბილისში, პასუხისმგებელია პროგრამის რეალიზაციაზე კავკასიის რეგიონსა და მოლდოვაში (შენიშვნა: რეგიონული კონფლიქტების საკითხებში მრჩეველი პასუხს აგებს პროგრამის შედგენაზე მოლდოვისთვის, მაგრამ შესაბამისი ღონისძიებების რეალიზაციასა და კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმ-** ►

**ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დიალოგში ჩართვამდე პატივცემულ ბრიტანელებს იქნებ გაეზიარებინათ გამოცდილება და განემარტათ ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც, როგორ, რა გზით ჩაერთნენ და მოაგვარეს ირლანდიის, შოტლანდიის, უელსის პრობლემები; ან ეს ნახევარფორმატიანი დიალოგი რას ნიშნავს? ან ეს ორგანიზაცია HALO Trust-ი რას წარმოადგენს და რა იციან მისი მოღვაწეობის შესახებ ყარაბაღსა და ერევანში?**

## საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის, სამრეწველო პოტენციალის აღდგენისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ბრიტანეთის მიერ გაღებულ ხარჯებზე სენდლერს არაფერი უთქვამს ან რას იტყოდა — ვის რაში აინტერესებს ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა?! მთავარია არასამთავრობოებისა და შტატიანი თუ გავლენის აგენტების დაფინანსება.

სტრატეგიული პატრონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გებელია რეგიონული კონფლიქტების საკითხებში მრჩეველი უკრაინაში. უფლებამოსილების ასეთი დაყოფა მიღებულია EECAD-დან ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურებთან შეთანხმებით;

— პროგრამის რეალიზაციის სპეციალისტი (კატეგორია C6) იმყოფება თბილისში. მის მუშაობას აფინანსებს GGF, მაგრამ სამუშაო დრო თანაბრად ნაწილდება GGF-ისა და CSSF-ის პროექტებს შორის. 2016 წლის მაისში იგეგმება ამ ვაკანსიის გადაყვანა სრული დატვირთვის პირობებში. ანგარიში წარედგინება მრჩეველს რეგიონული კონფლიქტების საკითხებში;

— რეგიონული საინფორმაციო დაპირისპირების სპეციალისტი (კატეგორია B3 — დაქირავებული ადგილობრივი თანამშრომლების რიცხვიდან) — იმყოფება თბილისში. ანგარიშს წარუდგენს მრჩეველს რეგიონული კონფლიქტების საკითხებში;

— მრჩეველი სტრატეგიული განვითარების საკითხებში (SDA) (კატეგორია D6, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში — კატეგორია B2) მივლინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, აგრეთვე, მუშაობს სომხეთის თავდაცვის სამინისტროსთან. ანგარიშს წარუდგენს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს;

— VNC (დიდი ბრიტანეთი) — სტრატეგიული ურთიერთქმედების საკითხების სპეციალისტი (ნატო) — (მივლინებული თანამშრომელი — გათანაბრებულია კატეგორია D7-თან, თავდაცვის სამინისტროში — კატეგორია B1) — მიმაგრებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე. ანგარიშს აბარებს რეგიონულ სამხედრო ატაშეს, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ნატოსა და ევროპის პოლიტიკის განყოფილებასა და ნატოს შტაბ-ბინას".

ნიშანდობლივია, რომ ყველა საკვანძო თანამშრომელი, რომლეთაც CSSF-ი აფინანსებს, იმყოფება თბილისში და ეს „თანამშრომლები" ანგარიშს აბარებენ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ნატოსა და ევროპის პოლიტიკის განყოფილებას.

* „სამოქალაქო საზოგადოების შევიწროება აზერბაიჯანსა და რუსეთში. ადგილობრივი დამოუკიდებელი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის შესაზღუდავად რიგი ზომების შემოღებამ ზოგიერთი ორგანიზაციის დახურვა გამოიწვია. ამჟამად ჩვენ უკვე შევწყვიტეთ ჩვენი მოღვაწეობის გარკვეული სეგმენტები აზერბაიჯანში, და მოქმედი რეჟიმის მხრიდან სამომავლო ზომები მოთხოვნების გამკაცრების თაობაზე ვერ იქონიებს დიდ გავლენას ჩვენს საპროექტო სამუშაოებზე.

ახლა ვცდილობთ, მოვაგვაროთ ურთიერთობა აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან და ავამუშაოთ პროექტები, რომლებიც, ასე თუ ისე, თავისუფალი მოქმედების საშუალებას მოგვცემს.

არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემები: აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის მკაცრმა პოლიტიკამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გავლენა იქონია ამ ორგანიზაციების მუშაობაზე ქვეყანაში.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეჩერდა ან სულაც გაუქმდა, როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე შიგა სახელმწიფოებრივი პროექტები.

4 პროექტიდან, რომლებიც მომზადებული იყო სარეალიზაციოდ აზერბაიჯანის (ან სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად) არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის 2015—2016 წლებში, მხოლოდ ერთია აქტიურ სტადიაში, რადგან მხოლოდ ცოტა ხნის წინათ შექმნეს მისი განხორციელებისთვის საჭირო პირობები.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთთან, არასამთავრობო ორგანიზაციებს აღეკვეთოს შესაძლებლობა, გაშალონ თავიანთი მუშაობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამის გამო წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ოფიციალურად შეწყვიტეს არსებობა.

არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები განუწყვეტლივ განიცდიან ზემოქმედებას სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურის მხრიდან.

ჩვენ ძალიან შეზღუდული შესაძლებლობა გვაქვს, გავლენა მოვახდინოთ სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაზე, ამის გამო ჩვენს მუშაობას პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში, პრაქტიკულად, შედეგი არ მოაქვს.

ამ მიმართულებით მუშაობის გასაგრძელებლად აუცილებელია, შემუშავდეს ახალი მეთოდები.

აფხაზეთშიც მკაცრდება პოლიტიკა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, თუმცა აფხაზეთის ხელმძღვანელობის ასეთ ინიციატივებს წინააღმდეგობა ხვდება ზოგიერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სტრუქტურის არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან".

ყველა ნორმალური სახელმწიფოს ხელისუფლება შეზღუდავდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საქმეებით არის დაკავებული.

არათუ აზერბაიჯანელები და რუსები, ოსები და აფხაზებიც კი მიხვდნენ, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები კარგს არაფერს მოუტანენ.

თუმცა საინტერესოა, რატომ თვლემენ სომხეთისა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები.

**აზერბაიჯანს, როგორც ჩანს, გარკვეული ქმედითი ზომები მიღებული აქვს და ამაზე წუხან კიდეც ბრიტანელები, — ვერ ვაწარმოებთ აზერბაიჯანში დესტრუქციულ საქმიანობას, არ გვაძლევენ ამის გასაქანსო. მაგრამ ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთის პოზიცია — როგორც ირკვევა, ბრიტანელი კურატორი, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ზის, მჭიდროდ თანამშრომლობს და «კონსულტაციებს» უწევს სომხეთის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებსაც...**

აზერბაიჯანს, როგორც ჩანს, გარკვეული ქმედითი ზომები მიღებული აქვს და ამაზე წუხან კიდეც ბრიტანელები, — ვერ ვაწარმოებთ აზერბაიჯანში დესტრუქციულ საქმიანობას, არ გვაძლევენ ამის გასაქანსო. მაგრამ ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა სომხეთის პოზიცია — როგორც ირკვევა, ბრიტანელი კურატორი, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ზის, მჭიდროდ თანამშრომლობს და „კონსულტაციებს" უწევს სომხეთის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებსაც... სომხები საკუთთარ თავს თვითონ მოუვლიან, ჩვენთვის მთავარია, რა ხდება საქართველოში. ანტიეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან ზოგი პარლამენტშია მოკალათებული, **თამარ ჩუგოშვილის** მეთაურობით; ზოგიც — სამთავრობო სტრუქტურებში (**ნინო ლომჯარია**). და ეს „ქართულმა ოცნებამ" საქართველოს საკეთილდღეოდ გააკეთა?

ზემოთქმულიდან ნათელია, როგორ აპირებს საქართველოს კიდევ ერთი „სტრატეგიული პარტნიორი" საქართველოს დახმარებას. რისთვის სურს 4,5 მლნ გირვანქა სტერლინგის გამოყოფა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და 30 ვერცხლად გაყიდული პირებისთვის, რომლებიც მისი (და არა საქართველოს) ინტერესების გატარებას შეეცდებიან.

და ეს ხდება იმ ფონზე, როცა ქვეყნის ეკონომიკა დანგრეულია, ლარი — კატასტროფულად გაუფასურებული, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა — სიღარიბის ზღვარზე.

შემთხვევითი, ალბათ, არც ის უნდა იყოს, რომ დიდი ბრიტანეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა **ტიფანი სენდლერმა** წლეულს, ზაფხულში, ბრექსიტისა და მისი შედეგების კომენტირებისას საჭიროდ ჩათვალა, კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის ფონდზე და საქართველოსთვის ამ ფონდის საქმიანობის მნიშვნელობაზე ესაუბრა. „ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. 2015—2016 წლებში კავკასიის კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდიდან (CSSF) ჩვენ დავაფინანსეთ 34 პროექტი საერთო ღირებულებით 3 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი, რომელთა ძირითადი ფოკუსი რეგიონში მშვიდობის განმტკიცებაა", — განაცხადა სენდლერმა. საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის, სამრეწველო პოტენციალის აღდგენისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ბრიტანეთის მიერ გაღებულ ხარჯებზე სენდლერს არაფერი უთქვამს ან რას იტყოდა — ვის რაში აინტერესებს ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა?! მთავარია არასამთავრობოებისა და შტატიანი თუ გავლენის აგენტების დაფინანსება.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა 5 დეკემბერს საქართველოში ჩამოსულ, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელ **ჯონათან ჯანოღლისთან** შეხვედრის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სპიკერ **ირაკლი კობახიძის** განცხადება: „ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას დიდ ბრიტანეთთან და დიდი სურვილი გვაქვს, კიდევ უფრო გაღრმავდეს ეს პარტნიორობა, როგორც ქვეყნებს შორის, ზოგადად, ასევე, პარლამენტთაშორის დონეზე. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი პარლამენტის მიერ".

როგორც ხედავთ, ზემოხსენებული დოკუმენტის შექმნა, კოლოსალური თანხების გამოყოფა, რომელიც თურმე საქართველოში დესტრუქციულ საქმიანობაზე იხარჯება, აგრეთვე, ამ დოკუმენტში ნახსენები მიმართულებებით გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება და საქართველოს პარლამენტის ახალარჩეული თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება — „ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი პარლამენტის მიერ"-ო, ერთმანეთს დროში ლოგიკურად დაემთხვა, ამიტომ გასაკვირი არც უნდა იყოს სოროსის ფონდის ყოფილი თანამშრომლის, ამჟამად საქართველოს პარლამენტის ახალი თავმჯდომარის — **ირაკლი კობახიძის** მიერ ბრიტანელი კურატორებისავის მწვანე შუქის ანთება.

ამაზეა ნათქვამი: ხელი ხელს ბანს და ორივე — პირსო...

არასამთავრობო სექტორსა და მედიაში კი გირვანქა სტერლინგით განათებული გნიასი უკვე დაიწყო. ოპერატიულად იქმნება ახალი მედიარესურსები, რომლებიც პოლიტპროპაგანდის ისეთი ვეტერანების კვალდაკვალ, როგორიცაა „რადიო თავისუფლება" და „ამერიკის ხმა", უშუბლისძარღვოდ და გაკაპასებით ამტკიცებენ, რომ თეთრი შავია. მაგალითად, ინტერნეტრესურსი eurocommunicator.ge, რომლის მიზანიც თურმე მითების მსხვრევაა, თავგადაკლული ამტკიცებს, რომ აშშ-სა და ნატოს მიერ იუგოსლავიაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აზიაში, აღმოსავლეთ ევროპაში სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, მათ ტერიტორიაზე გაეროს სათანადო მანდატის გარეშე სამხედრო მოქმედებების ჩატარება, ევროპული ქვეყნების ლიდერების ფარული მიყურადება და თვალთვალი არა მწარე რეალობა, არამედ რუსული პროპაგანდის მიერ მოგონილი მითია და ა. შ. ანალოგიური საქმიანობით სასწრაფოდ დაკავდა mdfgeorgia.ge, ოპერატიულად გამოიჩეკა media-checker.ge, მეტიც 17 არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარმა პლატფორმამ „დაიცავი თავისუფლება", revolution messaging-ის (ულტრალიბერალური იდეების ლობისტი კომპანია, რომელიც აშშ დემოკრატიული პარტიის პიარით, მათი ლიდერების მათ შორის ბარაქ ობამას პოლიტიკური კონსალტინგით, აგრეთვე მარიხუანას ლეგალიზაციის პოპულარიზაციით არის დაკავებული) დახმარებით შექმნა ორგანიზაცია „ლიბერთი ჯორჯია", რომლის მიზნებიც ერთი-ერთში იმეორებს იმ დოკუმენტის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებსაც წინამდებარე წერილი ეძღვნება. როგორც ჩანს, CSSF-ის დაფინანსების ადრესატები ჯერ სრულად არ არის გამოვლენილი. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 80 ათას გირვანქამდე დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას ადგილობრივი კურატორი იღებს, ამ თანხის ზევით დაფინანსებაზე გადაწყვეტილება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა მიიღოს — ეს კი მაღალ კონკურენციას გულისხმობს და ამიტომაც იჩეკებიან ყოველდღიურად ახალ-ახალი „მედიარესურსები" და არასამთავრობოები ნანატრი გრანტის მისაღებად. და ეს შემართება გარანტიაა იმისა, რომ ოღონდ ფუნტი იყოს და სახელმწიფოს ინტერესებით მოვაჭრეთა რიგი კიდევ დიდხანს იდგება CSSF-ის რეზიდენტთა ზღურბლზე.

ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი დღეს კი არიან საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები, მაგრამ მსოფლიოში ძალთა ბალანსი იცვლება, შესაბამისად, საქართველო და მისი ამჟამინდელი „სტრატეგიული პარტნიორები" შეიძლება სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდნენ. ასეთ შემთხვევაში დასავლეთი თავის მსტოვრებს აამოქმედებს არა საქართველოს ხელისუფლების (თავიანთ ძაღლისშვილებს ხომ არ დასჯიან?!), არამედ ქვეყნის წინააღმდეგ.

**ცნობისთვის: კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის ფონდი (CSSF) 2015 წელს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა. ფონდის სტრუქტურაში გაერთიანდნენ ზემონახსენებ სამინისტროებთან არსებული რიგი უწინ მოქმედი ფონდებისა. CSSF-ის ძირეულ განსხვავებას მასში შერწყმული წინამორბედი ფონდებისგან წარმოადგენს მისი მუშაობის კოორდინაცია უშუალოდ დიდი ბრიტანეთის ნაცონალური უსაფრთხოების საბჭოს მიერ ქვეყნის პრემიერმინისტრის თავმჯდომარეობით. ამ ორგანიზაციის შექმნით განხორციელდა ყველა სამთავრობო ფონდის ცენტრალიზაცია, რამაც მათი საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დონეზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისთვის კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების საშუალება მისცა.**

**ფონდის წლიური ბიუჯეტი 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგს აჭარბებს. ამჟამად არსებობს ფონდის ორი წარმომადგენლობა: საქართველოში — ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის საკითხებში და ბიშკეკში — ცენტრალური აზიის საკითხებში, ხოლო ფონდის მუშაობას აღმოსავლეთ ევროპაში კოორდინაციას უწევს დიდი ბრიტანეთის საელჩო უკრაინაში.**

მოამზადა
**ჯაბა ჟვანია**

**ამიტომაც იჩეკებიან ყოველდღიურად ახალ-ახალი «მედიარესურსები» და არასამთავრობოები ნანატრი გრანტის მისაღებად. და ეს შემართება გარანტიაა იმისა, რომ ოღონდ ფუნტი იყოს და სახელმწიფოს ინტერესებით მოვაჭრეთა რიგი კიდევ დიდხანს იდგება CSSF-ის რეზიდენტთა ზღურბლზე**

**P.S. 1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში გაიმართა ერთა ლიგის (გაეროს მსგავსი ორგანიზაცია) პირველი კრება, რომელსაც ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრების საკითხიც უნდა განეხილა. ერთა ლიგაში გაწევრება საქართველოს ბოლშევიზმის შემოჭრისგან იხსნიდა, მაგრამ ამის მომხრე მხოლოდ 10 სახელმწიფო აღმოჩნდა, წინააღმდეგი კი — 14. მოწინააღმდეგეთა შორის იყო ჩვენი ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირე" დიდი ბრიტანეთი.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს გარკვეული ვადა, რათა კრიზისიდან გამოსავალი მოძებნოს, საზოგადოებას აქვს თმენის ვალდებულება, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ, თუ დადებითად არაფერი გადაწყდა, მთელი ძალით იფეთქებს დაგროვილი უარყოფითი მუხტი“.**

# გამოუცხადებელი დევალვაციის ქრონიკა



## იოსებ არჩვაძე: ქვეყნის ორ მთავარ ინსტიტუტს, რომლებსაც ევალება ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ამჟამად ხელს არ აძლევს ლარის გამყარება

## «სახელმწიფოს ყველანაირი რესურსი ამოეწურა»

**ორ წელიწადზე მეტია, ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება დაიწყო, როდესაც ეს შესამჩნევი გახდა და მოსახლეობაც შეაწუხა გაძვირებული პროდუქტების ფასებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაშინვე დაიწყეს ექსპერტთა მოსაზრებების გაკრიტიკება: „ზოგიერთი ექსპერტი უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს“; „მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ“; „გარე ფაქტორებმა ლარზე უარყოფილთად იმოქმედა“; „პატარა შოკუნიებია“ და ა.შ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ კი ლარმა კატასტროფულად დაიწყო გაუფასურება და ნოემბრის ბოლოს ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ეს „შოკუნია“ არ იყო და თვითონ ჩავარდა „შოკში“, რის შემდეგაც პრემიერმა რამდენიმეპუნქტიანი გეგმა წარმოადგინა ლარის გადასარჩენად. ამ გეგმაში შედის ავტომობილებზე აქციზის ფასის მომატება და ნავთობის გაძვირება, იქვე დაამატეს, რომ ხელს შეუწყობენ ელექტრომობილების ბაზარზე შემოსვლას.**

პრემიერის ეს გადაწყვეტილება არ მოსწონთ ეკონომიკის ექსპერტებს, ამბობენ, რომ ის ყველა რეკომენდაციას ბანკების მმართველებისა და მსხვილი ბიზნესმენებისგან იღებს, რაც მცდარი და სახელმწიფოსთვის დამღუპველია, და რომ საქართველოს ხელისუფლება, უკვე 25 წელიწადია, ბიზნესის მძევალია. ამ ყველაფრის შემხედვარე ხალხი კი სოციალურ ქსელში გაზაფხულზე ცარიელი ქვაბებით ქუჩაში გამოსვლას გეგმავს, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ეს გაზაფხულამდეც მოხდეს.

რამდენიმე დღეში ახალი წელი დადგება და პროდუქტებზე ფასები კატასტროფულად გაიზრდება. „ახლა მარხვაა, ძირითადად, თევზს ყიდულობს ხალხი, მაგრამ ისიც ძალიან გაძვირდა. მაგალითად, ორაგული 19 ლარი ღირდა და ახლა 40 ლარი ღირს“, — გვითხრა ერთ-ერთი სუპერმარკეტის მენეჯერმა.

„ნავთობის ფასის გაზრდა ნებისმიერ სულელს შეუძლია“, — ეს ბელარუსის პრეზიდენტ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** სიტყვებია.

მიიღო თუ არა გონივრული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერმა კვირიკაშვილმა და შესაძლებელია თუ არა, არსებულ ვითარებაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების შეჩერება — ამ საკითხებზე **გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი იოსებ არჩვაძე:**

— (დო)ლარი ჩვენი მღელვარებისა... საქართველოს მოსახლეობა დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს ლარის „დრეიფს“ და ყველაზე ტევადი სიტყვა, რომელიც აღნიშნული პროცესისადმი მის დამოკიდებულებას გამოხატავს, არის „სადამდე?!“. შეშფოთება გასაგებია, რადგან მხოლოდ ოქტომბერში ლარი აშშ დოლარის მიმართ 7.92 პუნქტით (2.3297-დან 2.4089-მდე) დაეცა, ნოემბრის პირველ ნახევარში კი — კიდევ 8.10 პუნქტით (2.4899-მდე). ლარის დევალვაციით სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დისკომფორტი, მიუხედავად ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების ოპტიმისტური და დამამშვიდებელი განცხადებებისა, ნამდვილად არსებობს და ამიტომ საჭიროებს ადეკვატურ რეაგირებას, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივ მიზანმიმართულ ძალისხმევას.

ამასთანავე, ლარის დევალვაციის პრობლემატიკაში, სულ ცოტა, ორი ასპექტი მაინც უნდა გამოიყოს — ლარის გაუფასურების მიზეზები და ლარის გაუფასურების გავლენა მოსახლეობის მყიდველობით უნარიანობაზე.

**ლარის გაუფასურების ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, ექსპორტისა და საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შემცირება, ფულადი გზავნილების არასაკმარისი დონე, აშშ დოლარის პოზიციების გამყარება საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე...**

**— რა სუბიექტური მიზეზით ეცემა ლარის კურსი და რატომ ვერ ხდება ამის თავიდან აცილება?**

— სუბიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების მოკლევადიანი სესხების კომერციული ბანკებისთვის მიწოდება და მიმოქცევაში ლარის მასის მნიშვნელოვანი ზრდა — წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 12.1%-ით, რაც იმავე პერიოდში ეკონომიკურ ზრდას 4-ჯერ და მეტად აღემატება.

ცალკე უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ **საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის საკონტროლო პაკეტი, ერთის გამოკლებით, უცხოელი რეზიდენტების ხელშია და საბანკო სექტორის წლიდან წლამდე მზარდი მოგება, ბუნებრივია, მათ ხელში ხვდება და დაუბრკოლებლად გადის საქართველოდან.** იმავეს თქმა შეიძლება საბანკო სექტორის გამსხვილების პროცესში ერთი ბანკის მიერ მეორის შთანთქმისა და ამ უკანასკნელის საქართველოს საკრედიტო ბაზრის დატოვების გამო საქართველოდან მრავალი ათეული მილიონი აშშ დოლარის გატანის შესახებ.

**საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა, მოქმედი კანონმდებლობით, ფასების სტაბილურობაა და არა ვალუტის კურსის.** პარლამენტის დამტკიცებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თანახმად, საქართველოში 2016 წლის მიზნობრივ ინფლაციად 5%-ია განსაზღვრული. წლის ბოლომდე რამდენიმე დღე რჩება და ხუთპროცენტიანი ინფლაციის ნაცვლად 0.2-პროცენტიანი დეფლაცია გვაქვს, ამიტომაც ეროვნულ ბანკს არავითარი ინსტიტუციური ინტერესი არ აქვს, რომ დევალვაციას, როგორც სამომხმარებლო ფასების პოტენციური მუხტის მატარებელ პროცესს, ხელი შეუშალოს.

მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი 2,40-ითაა განსაზღვრული. ეს კურსი რომ მართლაც 2,40-ზე „დაჯდეს“, წლის ბოლომდე დარჩენილი რამდენიმე დღის განმავლობაში ლარი/დოლარის თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით 2,92 უნდა შეადგინოს, ამიტომ **აღმასრულებელ ხელისუფლებასაც ხელს აძლევს ლარის გაუფასურება, რადგან ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში ბიუჯეტში უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ხდება ქვეყნის შიდა ვალდებულებების გასტუმრებისთვის ესოდენ საჭირო სახსრების მობილიზება. გამოდის, რომ ქვეყნის ორ მთავარ ინსტიტუტს, რომლებსაც ევალებათ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ამჟამინდელ პირობებში ინსტიტუციურად ხელს არ აძლევს ლარის გამყარება, მოკლედ, „გამოუცხადებელი დევალვაციის ქრონიკაა“.**

> **«2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი 2,40-ითაა განსაზღვრული. ეს კურსი რომ მართლაც 2.40-ზე «დაჯდეს», წლის ბოლომდე დარჩენილი რამდენიმე დღის განმავლობაში ლარი/დოლარის თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით 2.92 უნდა შეადგინოს»**

განსხვავებული, შეშფოთებული დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას ლარის გაუფასურებისადმი. საქართველოს საშინაო სამომხმარებლო ბაზარი, ადგილობრივი წარმოების სიმწირის გამო, მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული — იქ რეალიზებული საქონლის მხოლოდ 30 პროცენტია ადგილობრივი წარმოების, ხოლო 70 პროცენტი — იმპორტირებული; თანაც, იმპორტის თანაფარდობა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან 55,4 პროცენტია, მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი საქართველოსთან შედარებით გაცილებით დაბალია.

**ლარის დევალვაცია მოსახლეობის კეთილდღეობას ურტყამს არა მხოლოდ სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მოსალოდნელი გაძვირების მაღალი ალბათობით, არამედ საბანკო მომსახურების, კრედიტების გაძვირებითაც. საქართველოში სამომხმარებლო ფასები არ იზრდება იმიტომ, რომ მოსახლეობის შემოსავლების სულ უფრო დიდი ნაწილი იხარჯება არა პროდუქციის შესაძენად, არამედ საბანკო სესხების მომსახურებისთვის.**

**— პრემიერის გადაწყვეტილებით, ავტომობილებზე აქციზის გადასახადი იზრდება. ეს, შესაძლოა, ბიუჯეტს წაადგეს, მაგრამ რა ქნას გლეხმა, რომელსაც „გასისინებულ“ „მერსედესზე“ მეტად თხილის გადმოსაზიდად ძველი „ოპელი“ ურჩევნია?**

— ეს დაკანონებული „რეკეტია“. ცნობილია, რომ სახელმწიფო ყველაზე დიდი „რეკეტირია“. გადასახადებიდან თავის არიდებაც ძალიან ცუდია, მაგრამ გადასახადებმა ბიზნესი არ უნდა დაახრჩოს, ოპტიმალური ვარიანტი უნდა გამოიძებნოს.

**— ნავთობიც ძვირდება. ეს გონივრული გადაწყვეტილებაა?**

— ნავთობზე ფასის მომატება იძულებითი ნაბიჯია, წამგებიანი რეპუტაციისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის კუთხით. ხელისუფლებას არჩევანი არ აქვს. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კატას ერთბაშად მოაჭრას კუდი, მოკლედ, დაჟეჟილს გატეხილი სჯობია.

**— კრიზისის მომენტში მთავრობა კონსულტაციას ბანკირებთან და მსხვილ ბიზნესმენებთან გადის? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ხელისუფლება ბანკირებისა და ბიზნესმენების მძევალია?**

— საბანკო საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ პრინციპებს, რომლებითაც საზოგადოების აზრი მეტად იქნება გათვალისწინებული. რაც შეიძლება დაბალ ნიშნულზე უნდა იყოს საბანკო სექტორის გავლენის დონე, არადა, ჩვენთან მაღლა იწევს. საბაზრო სექტორი საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებს, გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს. ეროვნულ ეკონომიკას ბანკი არ ემსახურება, მათი მარჟა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკა, რაც მთავარია, მოსახლეობის ცხოვრების დონე სწორედ ბანკების მიზეზით ეცემა.

**— დაარეგულირებს ხელისუფლება არსებულ ვითარებას თუ მას ლარი გადაიყოლებს?**

— ფასების ზრდა აშკარაა, სახელმწიფოს ყველანაირი რესურსი ამოეწურა. ახალი წელი მოდის და ფასების მატებით გამოწვეული უკმაყოფილება გაიზრდება. ეს განსაკუთრების შესამჩნევი იქნება ახალი წლის შემდეგ, როდესაც საახალწლოდ ოჯახები ყველანაირ დანაგოზს დახარჯავენ.

**— ასეთ შემთხვევაში მთავრობა არ უნდა გადადგეს?**

— ჯერ მელანი არ შეშრობია ქაღალდს, რომლითაც მთავრობა დამტკიცდა. ვნახოთ, რა ბიუჯეტს წარმოადგენენ და მის მხარდასაჭერად რა არგუმენტებს დაასახელებენ.

ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს გარკვეული ვადა, რათა კრიზისიდან გამოსავალი მოძებნოს. საზოგადოებას აქვს თმენის ვალდებულება, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ, თუ დადებითად არაფერი გადაწყდა, მთელი ძალით იფეთქებს დაგროვილი უარყოფითი მუხტი. გაზაფხული ნებისმიერი ხელისუფლებისთვის კრიტიკული პერიოდია, რადგან რესურსები იწურება და პროტესტი მატულობს. ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში თანხვედრა იქნება — საპროტესტო მუხტი და დაურეგულირებელი მდგომარეობა, გაზრდილი ფასებით გამოწვეული დისკომფორტი ვნებათაღელვას შემოიტანს. დაველოდოთ მთავრობისთვის განკუთვნილ ათდღიან ვადას, მოვითმინოთ და ვნახოთ, რა მოხდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ხელისუფლების სათავეში მოკალათებულმა გრანტიჭამია წურბელებმა, რა თქმა უნდა, ისიც იციან, რომ ძალაუფლებას მუდმივად ვერ შეინარჩუნებენ, მაგრამ ეს მათთვის პრობლემა არ არის, წავლენ და მათ ადგილს სხვა კიკუები და ფარსადანები დაიკავებენ. ასე გაგრძელდება უსასრულოდ, სანამ საზოგადოება გონს არ მოვა და ლარმაგედონის დამტეხ უნიათო „ქოცნებას“, თავის რუხ ოლიგარქთან ერთად, პოლიტიკურ არმაგედონს არ მოუწყობს...**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ₾არმაგედონი

**არმაგედონი ებრაული სიტყვაა (harm giddon) და ნიშნავს ქალაქს მეგიდას მთასთან, სადაც, იოანეს გამოცხადების თანახმად, უნდა მოხდეს უკანასკნელი დიდი შეტაკება იაჰვესა და სატანის ძალებს შორის. ლარმაგედონი კი იმ შოკსა და კარსმომდგარ ეკონომიკურ აპოკალიფსს მოასწავებს, რომელიც, ლარის კურსის კატასტროფულ დაცემასთან ერთად, უახლოეს მომავალში არ აგვცდება.**

წინა კვირას ეროვნული ვალუტის კურსი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, — ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 2 ლარსა და 77 თეთრს შეადგენდა. საზოგადოება შიშმა და პანიკამ მოიცვა. გაჩნდა განცდა, რომ ქვეყანა ისევ ბნელ და დუხჭირ 1990-იან წლებში ბრუნდებოდა. „მეოცნებე“ ხელისუფლებამ, როგორც სჩვევიათ ხოლმე, სირაქლემასავით თავი ქვიშაში დურთა, თითქოს არაფერი მომხდარა და არც არაფერი მოხდება. მერე და მერე, როცა ერთი ადგილი აეწვათ, მიხვდნენ, რომ ქვიშაში თავის ჩარგვით უკანა ტანი დაუცველი რჩებოდათ და ოლიგარქის პოლიტიკური პირმშოები გასპეტაკებული სახეებით გამოვიდნენ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **კობა გვენეტაძემ** ამ ყველაფერს აჟიოტაჟი უწოდა. სხვებმაც სიმშვიდისა და სიწყნარისკენ მოუწოდეს მოსახლეობას. მოგვიანებით პრემიერმა მთავრობის სხდომა მოიწვია და „ლარიზაციის“ გეგმა წარმოადგინა. მოკლედ, იყო დისკუსია, იმსჯელეს და იბაასეს, მაგრამ დაცემულ ლარს მაინც არაფერი ეშველა.

საღად მოაზროვნე ადამიანები, ბუნებრივია, უკვე ხვდებიან, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულ პოლიტიკურ იმპოტენტებს ლარის აყენება არ შეუძლიათ და მომდევნო დღეებსა თუ კვირებში კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ყველა ხვდება, რომ ქვეყანა სოციალურ აპოკალიფსამდეა მისული და მალე ქართულ ეკონომიკას წმინდა მარტინის დღე გაუთენდება. ზუსტად ამას მოჰყვა შოკი და ელდა საზოგადოებაში, მაგრამ მთავარი სტრესი წინ გველოდება. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის კულუარებში უკვე საუბრობენ ტარიფების მომატებაზე, ლაპარაკია მედიკამენტებისა და საწვავის გაძვირებაზეც. ეს ავტომატურად ნიშნავს პროდუქტების გაძვირებას, რადგან დღეს საქართველოში თითქმის ყველა სახის პროდუქტი საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. მარტივად რომ ვთქვათ, **ლარმაგედონი შიმშილსა და სიდუხჭირეს, გაძვირებულ დენს, წყალს, გაზს, მოშლილ ეკონომიკას, სიცივესა და სიბნელეს გვიქადის.**

ამ ყველაფრის ფონზე „მეოცნებეთა“ რიხიანი მოწოდება, რომ პანიკას არ უნდა ავყვეთ, ერთი შეხედვით თითქოს ალოგიკური ჩანს, მაგრამ რეალურად აქ გასაკვირი არაფერია. პოლიტელიტას, რომელიც ქვეყანას მახრასავით ღრღნის და მილიონებს ისე იჯიბავს ბიუჯეტიდან, რომ განმკითხავი არავინ ჰყავს, ბუნებრივია, სიმშვიდე ხელს აძლევს. მას არ სჭირდება ვნებათაღელვა საზოგადოებაში, რადგან ამ ყველაფერს შეიძლება უარესიც მოჰყვეს და ძმრად ამოადინონ პრემიის სახით აღებული ათასები. ისე, პრემია ვახსენე და წინა კვირას საზოგადოებამ უკვე იხილა იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც ყველაზე მაღალ ხელფასებსა და სახელფასო დანამატებს იღებენ. საუბარი იყო ძირითადად ძალოვანი უწყებების მესვეურებზე, თუმცა ეს კიდევ არაფერი. ამასწინათ სხვადასხვა საინფორმაციო ცენტრის ქსელის მიერ ჩატარებული კვლევით, რომელიც საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე განხორციელდა, გაირკვა, რომ **უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ოთხჯერ მეტ გასამრჯელოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი ცალკეული იურიდიული პირების ხელმძღვანელები იღებენ.** მაგალითად, სახელმწიფოს კუთვნილი სააქციო საზოგადოება **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის — სულხან ზუმბურიძის წლიური გასამრჯელო 336 000 ლარია, რაც თვეში 28 000 ლარს შეადგენს და, ამას გარდა, საუბარია პრემიებზეც. ანალოგიურ გასამრჯელოს იღებს სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის“ თავმჯდომარე დავით საგანელიძეც და ამდენივეს იღებდა მისი წინამორბედიც.**




> **რა გასაკვირია, რომ ამ პოლიტიკურ კიკუებსა და ფარსადანებს სიმშვიდე სჭირდებოდეთ; რა გასაკვირია, რომ გამოდიან და ძარღვის გაწყვეტამდე ამტკიცებენ, პანიკის საფუძველი არ გვაქვსო. ეს არის მტრული და მოღალატეობრივი მოწოდება სიმშვიდისკენ, რადგან ფაქტია, ამ სიმშვიდეში ხელისუფლება მნიშვნელოვანს არაფერს ცდილობს. პირიქით, იმის ნაცვლად, რომ მაღალ ეშელონებში ქამრების შემოჭერაზე იფიქრონ, პრემიას პრემიაზე იწერენ, მილიონებს «ღუნავენ», სანამ სათავეში არიან, რაც შეიძლება მეტი რომ იშოვონ**

რაც შეეხება სხვა იურიდიულ პირებს, სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის — **მამუკა ბახტაძის** წლიური ანაზღაურება 225 134 ლარია და იგი ასევე არის „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიების, შპს „ჯორჯია ტრანზიტისა“ და შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც. აღნიშნულ კომპანიებში მისი შრომითი ანაზღაურება 64 457 ლარია, ჯამში კი იგი ყოველწლიურად 289 592 ლარს იღებს, რაც თვეში 24 ათას ლარზე მეტია. მთლიანობაში ნუსხა ასე გამოიყურება: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე** — წელიწადში **255 591** ლარი (თვეში 21 285 ლარი); სააქციო საზოგადოება „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი **დავით თვალაბეიშვილი** — წელიწადში **175.000** ლარი (თვეში 14 583 ლარი); ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე **ირინა მილორავა** — წელიწადში **147 750** ლარი (თვეში 12,250 ლარი); სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალური დირექტორი **ვახტანგ ამბოკაძე** — წელიწადში **132.840** ლარი (თვეში 11 000 ლარი); სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანიის, შპს „ენერგოტრანსის“, ხელმძღვანელი **კახა სეხნიაშვილი** — წელიწადში **127.059** ლარი (თვეში 10,583 ლარი); შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორი **მამუკა კობახიძე** — წელიწადში **124.000** ლარი (თვეში 10,333 ლარი); სააქციო საზოგადოება „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორი **გიორგი ბეჟუაშვილი** — წელიწადში **109.432** ლარი (თვეში 9 119 ლარი).

მოკლედ, **როგორც ხედავთ, საუბარია კოლოსალურ თანხაზე, რომელსაც ამ ლარმაგედონის მომლოდინე, გაუბედურებულ ქვეყანაში თითოეული მოქალაქე სიმწრით იხდის საკუთარი ჯიბიდან. ყველაზე კომიკური და გულსაკლავი ამ ყველაფერში არის ის, რომ კაცმა არ იცის, რეალურად რას აკეთებს და რა მიზანს ემსახურება ზემოჩამოთვლილი სამსახურები, რა სარგებელი მოაქვთ მათ სახელმწიფოსთვის და, საერთოდ, რა საჭიროა მათი არსებობა.**

> **უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ოთხჯერ მეტ გასამრჯელოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი ცალკეული იურიდიული პირების ხელმძღვანელები იღებენ. მაგალითად, სახელმწიფოს კუთვნილი სააქციო საზოგადოება «საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის» მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის — სულხან ზუმბურიძის წლიური გასამრჯელო 336 000 ლარია, რაც თვეში 28 000 ლარს შეადგენს და, ამას გარდა, საუბარია პრემიებზეც. ანალოგიურ გასამრჯელოს იღებს სააქციო საზოგადოება «საპარტნიორო ფონდის» თავმჯდომარე დავით საგანელიძეც და ამდენივეს იღებდა მისი წინამორბედიც**

რაც შეეხება ამ სამსახურების მესვეურებს, მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ხალხი, რომელიც ბიუჯეტს ტკიპასავითაა მიკრული, სახელმწიფოს სისხლს სწოვს და სტომაქის სიყვარულით ძირს უთხრის. ესენი არიან თავის დროზე სხვადასხვა „ენჯეოში“ გამოწრთობილი, 30 გრანტზე გაყიდული იუდები, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. **რა გასაკვირია, რომ ამ პოლიტიკურ კიკუებსა და ფარსადანებს სიმშვიდე სჭირდებოდეთ, რა გასაკვირია, რომ გამოდიან და ძარღვის გაწყვეტამდე ამტკიცებენ, პანიკის საფუძველი არ გვაქვსო. ეს არის მტრული და მოღალატეობრივი მოწოდება სიმშვიდისკენ, რადგან ფაქტია, ამ სიმშვიდეში ხელისუფლება მნიშვნელოვანს არაფერს ცდილობს. პირიქით, იმის ნაცვლად, რომ მაღალ ეშელონებში ქამრების შემოჭერაზე იფიქრონ, პრემიას პრემიაზე იწერენ, მილიონებს „ღუნავენ“, სანამ სათავეში არიან, რაც შეიძლება მეტი რომ იშოვონ.**

ცხადია, ვიდრე ქვეყანას ასეთი ვამპირები მართავენ, ლარმაგედონის საფრთხე ყოველთვის იქნება. ეს კი (არც მეტი, არც ნაკლები) იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური სირთულეები და გაჭირვება ისევ რიგითი მოქალაქის, გლეხის მხრებზე გადაივლის. დღევანდელი სოციალური სიდუხჭირე მონაგონი იქნება, ქვეყანას სილატაკის ცუნამი და ტაიფუნი წალეკავს. თავის მხრივ, ხელისუფლების სათავეში მოკალათებულმა გრანტიჭამია წურბელებმა, რა თქმა უნდა, ისიც იციან, რომ ძალაუფლებას მუდმივად ვერ შეინარჩუნებენ, მაგრამ ეს მათთვის პრობლემა არ არის, წავლენ და მათ ადგილს სხვა კიკუები და ფარსადანები დაიკავებენ. ასე გაგრძელდება უსასრულოდ, სანამ საზოგადოება გონს არ მოვა და ლარმაგედონის დამტეხ უნიათო „ქოცნებას“, თავის რუხ ოლიგარქთან ერთად, პოლიტიკურ არმაგედონს არ მოუწყობს...

**ჯაბა ჟვანია**

## იტალიის პრემიერმინისტრი გადადგა

**იტალიის პრემიერმინისტრმა მატეო რენციმ გადადგომის შესახებ განაცხადა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მის მიერ შემოთავაზებულ რეფორმას მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა. იტალიაში გამართული საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ გამართულ რეფერენდუმზე იტალიელებმა ხმათა 59,7%-ით აღნიშნული რეფორმის გატარებაზე უარი განაცხადეს.**

4 დეკემბერს იტალიაში საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ რეფერენდუმი გაიმართა. მატეო რენცის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო რეფორმა ითვალისწინებდა ქვეყნის რეგიონების უფლებამოსილების შემცირებას. შედეგად ენერგეტიკის, სტრატეგიული ინფრასტრუქტურისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხები უშუალოდ პრემიერმინისტრის განკარგულებაში გადავიდოდა.

„ვერ შევძელი გამარჯვების მოპოვება. ამ მთავრობის გამოცდილება მთავრდება აქ, სინდისის ქენჯნის გარეშე მივდივართ. დღის მეორე ნახევარში შევკრიბავ მინისტრებს, შემდეგ ვესტუმრები პრეზიდენტს და გადადგომის შესახებ განცხადებას გადავცემ“, — განაცხადა იტალიის პრემიერმინისტრმა **მატეო რენციმ**. რეფერენდუმის წინა პერიოდში მატეო რენციმ არაერთხელ განაცხადა, რომ დამარცხების შემთხვევაში იტალიის პრემიერმინისტრის თანამდებობიდან გადადგებოდა. „მე ვერ მოვიპოვე გამარჯვება, მაგრამ გავაკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემეძლო. თუმცა პასუხისმგებლობას ამ მარცხზე ჩემს თავზე ვიღებ“, — განუცხადა მან პრესას.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი პარლამენტისგან განსხვავებით, რუსეთის დუმამ საკანონმდებლო აქტით აკრძალა ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდა არასრულწლოვნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ გეიაღლუმები ვერასოდეს ჩატარდება რუსეთში, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ხომ ვერც კი იოცნებებენ.**

**ყველაფერი 2007 წელს დაიწყო, როდესაც მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ე.წ. ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული გამოაცხადა და აღმოსავლეთით გაფართოების გამო მკაცრად გააკრიტიკა ნატო; თქვა, რომ რუსეთი ამიერიდან საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაატარებსო და, ასე ვთქვათ, კარი გამოიჯახუნა.**

# «თუ მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ»

**პუტინის** ეს განცხადება სერიოზულად არ აღიქვა ამ განცხადების მთავარმა ადრესატმა — აშშ-მა, რომელიც სსრკის დაშლის შემდეგ მიჩვეული იყო მსოფლიოში დაუსჯელად პარპაშს და, როგორც ჩანს, ძია სემს „რამსები აერია", რადგან პუტინის რუსეთი აშკარად არ ჰგავდა **ბორის ელცინის** რუსეთს, რომელმაც ბალკანეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მოკავშირე, ერთმორწმუნე სერბეთის დაცვაც კი ვერ შესძლო და ნატომ (წაიკითხე — აშშ) აღმოსავლეთით გაფართოება 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე უკვე უკრაინა-საქართველოს მიმართულებითაც განიზრახა.

პუტინს ძალაც რომ შესწევდა ქადილისა, აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჯორჯ (დაბლიუ) ბუშმა** 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაინახა. ომის, რომლის შედეგადაც აშშ-ის ყურმოჭრილმა მონამ, საქართველომ სოხუმ-ცხინვალი დროებით(?) თუ სამუდამოდ(?) დაკარგა...

ჯორჯ ბუში, სხვა მრავალ მიზეზთა და 2008 წლის აგვისტოს გამოც აღიარეს აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთ, რბილად რომ ვთქვათ, უსუსტეს პრეზიდენტად, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯერ სადა ხარ?! მოვიდა ლგბტ-აქტივისტი შავი **ბარაკი** და თურმე ბუში ყოფილა თეთრი არაკი, ანუ კეთილი ზღაპარი. მართალია, კრეტინი, მაგრამ მაინც კაცი იყო ჯორჯ (დაბლიუ) ბუში, „ღვინო, დუდუკი, ქალების" მოყვარული და არამც და არამც ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრე ტეხასელი მაგნატი.

ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა. ახლა 2007 წლის მიუნხენს დავუბრუნდეთ...

კარი გამოიჯახუნა პუტინმა და თავისი ქვეყნის სამხედრო გაძლიერებას მიჰყო ხელი, რადგან კარგად ახსოვდა მისი დიდი წინაპრის, იმპერატორ **ალექსანდრე მესამეს** ფრთიანი გამონათქვამი „რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს — მისი არმია და ფლოტი"...

ამასობაში აშშ-ში მხოლოდ ხელისუფლება შეიცვალა და არა აშშ-ის იმპერიალისტური მიზანი მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისა, მაგრამ ამ ძველი მიზნისკენ სვლა **ობამა- ჰილარის** დუეტს ახალი, აგრესიული ნეოლიბერალური იდეოლოგიით ჰქონდათ განზრახული, რომელიც ხატოვნად ასე შეიძლება დავახასიათოთ: ერთ ხელში მათრახი, მათრახი დემოკრატიისა და მეორეში — დროშა, დროშა ლგბტ-პედერასტიისა.

და აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს — ერთ დროს პურიტანულ-კონსერვატიულ, გნებავთ, ქრისტიანულ კულტურაზე აღმოცენებული აშშ-ისა და მისი ევროპელი სატელიტების თავზე ლგბტ-თა ბაირაღი ფრიალებს.

აქედან გამომდინარე, ვლადიმერ პუტინს, ქვეყნის სამხედრო გაძლიერებასთან ერთად, რუსეთში ზნეობრივი წესრიგის (თუ ასე შეიძლება ითქვას) დამყარებაზეც მოუწია ზრუნვა — უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა უზნეობის უპირველესი მქადაგებელ-პროპაგანდისტი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებულნი, ვითომ ადამიანის უფლებების დამცველნი, სინამდვილეში ებრძოდნენ ყოველივე ეროვნულს, ტრადიციულს, მართლმადიდებლურს...

ნაცნობი სურათია, არა?

მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან, **ჩვენი პარლამენტისგან განსხვავებით, რუსეთის დუმამ საკანონმდებლო აქტით აკრძალა ლგბტ-პედერასტობის პროპაგანდა არასრულწლოვნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ გეიაღლუმები ვერასოდეს ჩატარდება რუსეთში, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ხომ ვერც კი იოცნებებენ.**

ახლახან კი პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის საინფორმაციო უსაფრთხოების ახალი დოქტრინა დაამტკიცა. რუსეთის ლიდერის შესაბამისი ბრძანება 6 დეკემბერს გამოქვეყნდა. 17-გვერდიან დოკუმენტში ყურადღება საინფორმაციო სივრცეში რუსეთის ეროვნული ინტერესების დაცვასა და საინფორმაციო საფრთხეების არიდებაზეა გამახვილებული. დოქტრინაში საუბარია, რომ რუსული მედია საზღვარგარეთ დისკრიმინაციას განიცდის და ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელი ეშლებათ.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები „ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენენ", რომლის მიზანის სხვა და სხვა ქვეყნებში პოლიტიკური და სოციალური დესტაბილიზაციის გამოწვევაა. იქვე ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში „გაზრდილია რუსეთის მოქალაქეებზე ინფორმაციული ზეწოლა და ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებზე ვრცელდება. მიზანი არის ტრადიციული რუსული სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების გაქარწყლება"...

ვლადიმერ პუტინის საზღვარგარეთ ვიზიტებისას დასავლელი ჟურნალისტები მომენტს არ გაუშვებდნენ, მისთვის კითხვა რომ არ დაესვათ ლგბტ-პედერასტების უფლებების დარღვევების შესახებ და ამით დემოკრატიის ნაკლებობისთვის არ მიენიშნებინათ, რაზეც ერთხელ პუტინმა, შეიძლება ითქვას, ქრესტომათიული პასუხი გასცა: „ჩვენ სუვერენული დემოკრატია გვაქვს"...

თუ რუსეთის პრეზიდენტის პასუხს განვაზოგადებთ, გამოვა, რომ **ყველა ერს და, აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს ინდივიდუალური დემოკრატია უნდა ჰქონდეს, რადგან, რაც ამერიკასა თუ დასავლეთ ევროპაში ნორმაა, ის სრულიად მიუღებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, ჩვენთვის, ქართველებისთვის და, საზოგადოდ, კავკასიელებისთვის.**



**ჩვენს ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, უფრო სწორად, ეროვნული ხელისუფლება რომ გვყავდეს, რუსეთის მხრიდან ჩერქეზების გენოციდის სულელურ აღიარებას უკან წაიღებდა და დაუყოვნებლივ ცნობდა ყირიმს რუსეთის ნაწილად. ამით რუსეთს, როგორც იტყვიან, არც დასცხება და არც შესცივდება — უბრალოდ, კარგ ბიჭობად ჩაგვეთვლებოდა ქართველებს ასეთი საქციელი და იქნებ იმ გვირაბის ბოლოს გამოჩენილიყო სინათლე, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია!**

უფრო მეტიც: დემოკრატიის კანონებით მით უმეტეს შეუძლებელია ისლამური სახელმწიფოების მართვა — დაწყებული ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანით და გაგრძელებული სხვა ე.წ. ზომიერი სახელმწიფოებით (თურქეთი, ეგვიპტე, ლიბია, სირია, ტუნისი, საუდის არაბეთი და ა.შ. სხვა მრავალ ქვეყანათა მმართველობა ავტორიტარულია, ხოლო ირანის მსგავს ქვეყნებში — დიქტატორულიც).

სხვანაირად ისლამური სამყაროს მართვა შეუძლებელია და სწორედ ეს ვერ ან არ გაითვალისწინა მსოფლიო ჟანდარმმა აშშ-მა და ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაცია წამოიწყო ე.წ. არაბული გაზაფხულების სახით.

რა გამოვიდა აქედან, საკუთარ თავზე გამოსცადა დავარცხნილ-დალაგებულმა ევროკავშირმა, როდესაც მის საზღვრებს მილიონობით ლტოლვილი მიაწყდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, რომელთა შორის შეუძლებელია არ ყოფილიყვნენ „ისლამური სახელმწიფოს" ფანატიკოსები, რომლებმაც მოაწყვეს კიდეც ტერაქტები საფრანგეთსა თუ ბელგიაში.

სწორედ ეს იგულისხმა რუსეთის პრეზიდენტმა, როდესაც შარშან, სექტემბრის ბოლოს, გაეროს საიუბილეო სესიაზე სიტყვით გამოსვლისას პირდაპირ მიახალა დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს და, პირველ რიგში, აშშ-ს — **„ახლა მაინც გესმით, რა ჩაიდინეთ?"**

მიახალა და ახლა გაეროს კარი გამოიჯახუნა ისე, რომ სესიის დამთავრებას არც კი დალოდებია, პირდაპირ საკუთარ თვითმფრინავს მიაშურა და მოსკოვს დაბრუნებულმა სირიის დასახმარებლად ისლამისტების სამხედრო ინფრასტრუქტურის დაბომბვის ბრძანება გასცა და, რაც ორი წლის განმავლობაში ვერ (თუ არ?) შეძლო აშშ-ის მეთაურობით შექმნილმა მრავალსუბიექტიანმა კოალიციამ, ორ თვეში გააკეთა რუსეთის ავიაციამ თუ საზღვაო ფლოტმა — ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ პირველი სერიოზული დარტყმები მიიღო.

**ყირიმის მიერთებისა და განსაკუთრებით სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთმა ნამდვილი საინფორმაციო ომი გააჩაღა, რომელმაც ახალი იმპულსი მას შემდეგ მიიღო, რაც ალეპოს ალებისთვის გადამწყვეტი იერიშები დაიწყო ბაშარ ასადის სამთავრობო ძალებმა.**

ნიშანდობლივია, რომ ალეპოს ოპერაცია პუტინ-ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ დაიწყო, რაც, არა მგონია, უბრალო დამთხვევა იყოს.

რაც შეეხება საინფორმაციო ომს, დასავლეთის მედია ერთად აღნავლდა რუსეთის მიერ მოწყობილი სასაკლაოს შესახებ.

როგორც იტყვიან, ომი ომია და რუსული რაკეტების მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობის რაღაც ნაწილიც შეიძლება გახდა, მაგრამ არც იმის დაუნახავობა ვარგა, რომ დაახლოვებით 250 ათასი ადამიანიდან, რომლებიც ცოცხალ ფარად ჰყავდათ აფარებული ტერორისტებს, ნახევარზე მეტმა სამშვიდობოს, ანუ სამთავრობო ჯარების (წაიკითხე რუსეთის) მიერ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გამოაღწია.

მკითხველს შევახსენებ, რომ ტერორისტების მიმართ ყველა ქვეყანაში ერთი დაუწერელი კანონი მუშაობს — **გატაცებულ თვითმფრინავში თუ საკონცერტო დარბაზში ბლოკირებულ ტერორისტებს, მიუხედავად მძევლად აყვანილი ხალხისა, არავინ ელაპარაკება და ეს სიტუაცია ყოველთვის სამართალდამცავთა შტურმით მთავრდება, რომლის დროსაც, ტერორისტებთან ერთად, მძევალთა ნაწილიც იღუპება, მაგრამ ამისთვის არავინ საყვედურობს პოლიციასა თუ სპეცრაზმს.**

ალეპოს ოპერაციასაც ამ კუთხით უნდა შევხედოთ — გიგანტურ თვითმფრინავად ან საკონცერტო დარბაზად წარმოვიდგინოთ ქალაქი, რომელშიც ასიათასობით მძევალი ჰყავთ აყვანილი ფანატიკოს ისლამისტ ტერორისტებს და რას გვიბრძანებენ დასავლელი ჰუმანისტები: როდემდე უნდა უყურონ ყოველდღე ამ ხალხის წამებას, დახვრეტასა თუ თავის მოკვეთას? გაუთავებელ საშინელებას საშინელი დასასრული არ სჯობია?!

ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა სირიას რუსეთის მეორე სტალინგრადი უწოდა და, თუ ამ პარალელის ლოგიკას გავყვებით, მეორე სტალინგრადს მეორე ბერლინი უნდა მოჰყვეს. მეორე ბერლინად კი შეიძლება იქცეს სირიის ქალაქი აკრა — „ისლამური სახელმწიფოს" არაოფიციალური დედაქალაქი, რომელიც რუსული იარაღით (გნებავთ, პირდაპირ რუსეთის ჯარით) დაეცემა.

ამ ვითარებაში ავსტრიის პრეზიდენტობის ულტრამემარჯვენე ნაციონალისტი კანდიდატი (რომელიც, როდესაც ეს გაზეთი ხელში გეჭირებათ, უკვე პრეზიდენტი იქნება) ამბობს, რომ მზადაა, თუნდაც ახლავე ცნოს ყირიმი რუსეთად; ამ დროს კი ჩვენი პრემიერი **კვირიკაშვილი** მორიგი სამათხოვრო ვიზიტით ხვდება ევროკავშირისა თუ ევროსაბჭოს ლიდერებს და ეხვეწება ვიზალიბერალიზაციას?! ლიდერებს, რომლებიც უკვე გუშინდელნი არიან, რადგან ხვალ მათი უმეტესობა აღარ იქნება თანამდებობაზე, რადგან ავსტრიისა და საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტების მზადყოფნა, რომ ყირიმს ცნობენ რუსეთის ნაწილად, დომინოს პრინციპს გამოიწვევს მსოფლიოში და ბევრი შემობრუნდება რუსეთისკენ. მით უმეტეს, ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს, თუ დონალდ ტრამპმაც შეასრულა წინასაარჩევნო დაპირება და მანაც ცნო ყირიმი რუსეთის ნაწილად.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ უეჭველია — მსოფლიო ნეოლიბერალიზმი გლოვობს, რადგან მისი დასასრული მოახლოებულია. წამმზომი ჩართულია.

თავის დროზე **სტალინის** რუსეთმა (სსრკ-მა) მსოფლიო იხსნა ფაშიზმისგან და დიდი შანსია, რომ პუტინის რუსეთმა ლომის წილი დაიდოს „ისლამური სახელმწიფოს" განადგურებასა და საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხებაში.

**ჩვენს ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, უფრო სწორად, ეროვნული ხელისუფლება რომ გვყავდეს, რუსეთის მხრიდან ჩერქეზების გენოციდის სულელურ აღიარებას უკან წაიღებდა და დაუყოვნებლივ ცნობდა ყირიმს რუსეთის ნაწილად. ამით რუსეთს, როგორც იტყვიან, არც დასცხება და არც შესცივდება — უბრალოდ, კარგ ბიჭობად ჩაგვეთვლებოდა ქართველებს ასეთი საქციელი და იქნებ იმ გვირაბის ბოლოს გამოჩენილიყო სინათლე, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია!**

მაგრამ სადაა პატრონი?!. მეც მოვინდომე რა...

**დავით მხეიძე**

**დასავლეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა პირი თუ ორგანიზაცია საქართველოში კვლავ ცდილობს ამ შეზღუდვების განხორციელებას. დრო და დრო ისმის მოწოდებები, დავუბრუნდეთ ავანტიურისტ იაკობაშვილის მიერ 2008 წელს შემოგდებულ იდეას და ისევ ავკრძალოთ რუსული ტელეარხების ჩვენება ქართული საკაბელო ქსელების საშუალებით. მეტიც, გამოჩნდნენ საზოგადოებისთვის ვიღაც სრულიად უცნობი სუბიექტები, რაღაც გაუგებარი აბრევიატურების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე რუსული არხებით არ შემოიფარგლებიან და მთელი რიგი ქართული გაზეთების (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, „საქართველო და მსოფლიოს“) და ტელეარხ „ობიექტივის“ შეზღუდვას მოითხოვენ.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დასასრული. დასაწყისი იხ. №44 (373)

# «რუსული პროპაგანდის» აბსურდულობის შესახებ

**შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის გამარჯვება უმსხვილესი საინფორმაციო საშუალებების ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. ექსპერტები აღიარებენ, რომ ტრამპისა და კლინტონის წინასაარჩევნო მარათონი, გარდა იმისა, რომ კომპრომატების არნახული რაოდენობით გამოირჩეოდა, ასევე განსაკუთრებული აღმოჩნდა მასმედიის მხრიდან ორიდან ერთ-ერთი კანდიდატისადმი (კერძოდ, ჰილარი კლინტონისადმი) მიკერძოებულობით. მაგრამ ამერიკულ „მეინსტრიმულ“ მასმედიას დაახლოებით იგივე დაემართა, რაც, დავუშვათ, გვიანდელი საბჭოთა კავშირის სატელევიზიო პროგრამა „ვრემიას“ ან გაზეთ „პრავდას“, როდესაც მათი პროპაგანდა უკვე ველარ ახდენდა ხალხზე უწინდელ ზეგავლენას, ხალხი კი ალტერნატიულ ტელეგადაცემებსა და გაზეთებს მიეძალა.**

ამერიკელი ამომრჩეველიც სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალი სტილის მასმედიას; საზოგადოებაში ცვლილებების სურვილი ისე დიდია, რომ ე. წ. პოლიტიკური კორექტულობა რიგითი ამერიკელისთვის ნაკლებად საინტერესოა. სწორედ ამ ვითარებას ვერ აუღო ალღო ბიუროკრატიამ და ამ ბიუროკრატიის მხარდამჭერმა მასმედიის ძირითადმა ნაწილმა. სამაგიეროდ, აშშ-ში თანდათან ძალას იკრებს ალტერნატიული მასმედია. მაგალითად, საზოგადოების სულ უფრო მეტი ნდობა აქვს ინტერნეტრესურს Breitbart News-ის მიმართ, რომელიც მხოლოდ მიმდინარე წლის ოქტომბერში 37 მილიონი მკითხველითა და 240 მილიონი ნახვით შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმატებულ საინფორმაციო პორტალად იქცა.

„ბრაიტბარტი“ თავისი დამაარსებლის, 2012 წელს 43 წლისა ინფარქტით გარდაცვლილი **ენდრიუ ბრაიტბარტის** სახელს ატარებს. დღეს ამ მასმედიას სათავეში **სტივენ ბენონი** უდგას, რომელმაც მოახერხა „ბრაიტბარტის“ პოპულარიზაცია. ბენონი აგვისტოდან სათავეში ედგა ტრამპის საარჩევნო შტაბს, მაგრამ, ამასთანავე, ისევეა დაპირისპირებული რესპუბლიკური პარტიის „მეინსტრიმულ“ ნაწილთან, როგორც დემოკრატიულ პარტიასთან. ბენონის პოზიციის არსი მდგომარეობს „ამერიკული ისტებლიშმენტისა და პერმანენტული პოლიტიკური კლასის, ისევე, როგორც მისი მხარდამჭერი გლობალური ელიტის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაში“. ბენონი მიუთითებს ტრანსატლანტიკურ ელიტაზე ამერიკასა და ევროპაში, ამიტომაც **„ბრაიტბარტი“ სულ მალე გაფართოებას აპირებს ევროპის კონტინენტზე, იგი აღარ იქნება მხოლოდ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი სააგენტო.** ეს ყველაფერი ხდება ევროპული მეინსტრიმული მასმედიის შესუსტების ფონზე (წინა სტატიაში უკვე ვახსენე, რომ „შპიგელი“ და არა მხოლოდ იგი, შტატებს მასობრივად ამცირებენ, რადგან მცირდება მათი ტირაჟები; ზოგ შემთხვევაში, იგივე ეხებათ ტელევიზიებსაც). ამიტომაც „შეშფოთებული ევროპა“, უფრო სწორად, შეშფოთებული ევროპული ბიუროკრატია კიდევ უფრო შფოთავს. „ტრამპის ეფექტი“ — ასეთი მოლოდინის წინაშე არიან ევრობიუროკრატები. მათ ძალზე აშინებთ ე. წ. არასისტემური ოპოზიციის (განსაკუთრებით — ძლიერი ევროსკეპტიკოსები საფრანგეთში, ჰოლანდიასა და გერმანიაში) შესაძლო ტრიუმფი, მაგრამ **ევროპული „მეინსტრიმული“ მასმედიაც ჯერჯერობით ისეთსავე მოუქნელობასა და სიჯიუტეს ავლენს, როგორსაც ამერიკული ავლენდა ტრამპი-კლინტონის პაექრობისას.** ევროპული პრესა განაგრძობს მოვლენების ცალმხრივ, ტენდენციურ გაშუქებას — მეტწილად ევროსკეპტიკოსების ლანძღვით არის დაკავებული. შესაძლოა, ასეთმა მოუქნელობამ უკუეფექტი გამოიწვიოს და გალანძღულ ევროსკეპტიკოსებს დიდი პოპულარობა მოუხვეჭოს. არ არის გამორიცხული, ევროპელმა ამომრჩეველმაც შეცდომაში შეიყვანოს სოციოლოგები და სიურპრიზი მოუმზადოს თავის ელიტებს, როგორც ეს შეერთებულ შტატებში მოხდა, როდესაც ბევრი ამომრჩეველი მხარს უჭერდა ტრამპს, მაგრამ ამას, უბრალოდ, მალავდა. შესაბამისად, სოციოლოგებს ექმნებოდათ არასწორი სურათი და უმრავლესობა კლინტონის გამარჯვებას ვარაუდობდა (თუმცა, რა თქმა უნდა, სოციოლოგიაც „მეინსტრიმშია“ მოქცეული და მასმედიასავით ტენდენციურობას ავლენდა მთელ რიგ შემთხვევებში).

საქართველოშიც იყო და ჩვენ სულ არ გვიკვირდა ასეთი სურათი, როდესაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩეველი არ ამხელდა, რომ ხმის მიცემას ოპოზიციური „ქართული ოცნებისთვის“ აპირებდა. ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტთა 40 პროცენტზე მეტმა არ გაგვიმხილა, ვისთვის აპირებდა ხმის მიცემას. ეს უზარმაზარი რაოდენობაა. აქედან გამომდინარე, ვივარაუდეთ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა და ასეც მოხდა. უნდა ითქვას, რომ 2012 წელს ქართული მასმედიის ძირითადი საშუალებები „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერდნენ მხარს და ბიძინა ივანიშვილმა ტრამპზე უფრო ადრე შეძლო არჩევნების მოგება მასმედიის ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ მცირერიცხოვანი, არასტანდარტული მედიასაშუალებების დახმარებით.

რას ვიფიქრებდით 2012 წელს, რომ 2016 წლის ამერიკაში ისეთივე ბრალდებები იქნებოდა წაყენებული გამარჯვებული ძალის მიმართ „მეინსტრიმული“ ჟურნალისტებისა თუ კომენტატორების მხრიდან, როგორიც იმჟამინდელ საქართველოში ისმოდა და დღესაც ისმის. ვგულისხმობ „რუსული პროპაგანდის“ ბრალდებას. **ნაციამა საზოგადოება, უბრალოდ, შეაწუხეს ამ ტერმინით, მათი დამარცხება 2012 წელს და ახლაც თურმე „რუსული პროპაგანდის“ ბრალი ყოფილა, ისევე, როგორც აშშ-ში ტრამპის შტაბს სდებდნენ ბრალს კრემლთან კონტაქტსა და რუსული პროპაგანდისტური ხაზის გატარებაში.** არადა, რუსეთი, უბრალოდ, შორიდან ადევნებს თვალყურს მიმდინარე პროცესებს და საერთოდ არ ერევა ამერიკის საშინაო პოლიტიკაში, ისევე, როგორც არ ჩარეულა საქართველოს 2012 წლის ან მით უფრო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. **თუკი „რაშა თუდეის“ სულ უფრო მეტი ამერიკელი და ევროპელი მაყურებელი ენდობა, ხოლო „სი-ენ-ენის“ მიმართ ნდობა იკლებს, ქართულ რეალობაში უფრო მეტი ადამიანი ენდობა რუსეთის ტელევიზიებს და ნაკლებად — „რუსთავი 2“-ს. ეს მითური რუსული პროპაგანდის ან საქართველოს ხელისუფლების ბრალი კი არა, საკუთრივ მიკერძოებული მასმედიის ბრალია.** შესაძლოა, არც რუსულ მედიასაშუალებებში აშუქებენ მხოლოდ სიმართლეს და, სამწუხაროდ, მართლაც გვიწევს ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს ერთგვარი საინფორმაციო ომი, დარად სსრკ-დასავლეთის საინფორმაციო ომისა, მაგრამ ისევ და ისევ ხალხს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის არჩევის თავისუფლება და არავის აქვს უფლება, შეუზღუდოს მას არჩევანის საშუალება, საიდან მიიღოს ინფორმაცია.



გულბაათ რცხილაძე

**თუკი «რაშა თუდეის» სულ უფრო მეტი ამერიკელი და ევროპელი მაყურებელი ენდობა, ხოლო «სი-ენ-ენის» მიმართ ნდობა იკლებს, ქართულ რეალობაში უფრო მეტი ადამიანი ენდობა რუსეთის ტელევიზიებს და ნაკლებად — «რუსთავი 2»-ს. ეს, მითური რუსული პროპაგანდის ან საქართველოს ხელისუფლების ბრალი კი არა, საკუთრივ მიკერძოებული მასმედიის ბრალია**




არადა, **დასავლეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა პირი თუ ორგანიზაცია საქართველოში კვლავ ცდილობს ამ შეზღუდვების განხორციელებას. დრო და დრო ისმის მოწოდებები, დავუბრუნდეთ ავანტიურისტ იაკობაშვილის მიერ 2008 წელს შემოგდებულ იდეას და ისევ ავკრძალოთ რუსული ტელეარხების ჩვენება ქართული საკაბელო ქსელების საშუალებით. მეტიც, გამოჩნდნენ საზოგადოებისთვის ვიღაც სრულიად უცნობი სუბიექტები, რაღაც გაუგებარი აბრევიატურების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე რუსული არხებით არ შემოიფარგლებიან და მთელი რიგი ქართული გაზეთების (რა თქმა უნდა, პირველ რიგში, „საქართველო და მსოფლიოს“) და ტელეარხ „ობიექტივის“ შეზღუდვას მოითხოვენ.** მათი „კვლევის“ შედეგად ეს მედიასაშუალებები დისკრედიტაციას უწევენ დასავლეთს, რითაც თურმე რუსულ პროპაგანდას ეწევიან. **მასმედიის გარდა, „მკვლევარებს“ არ მოსწონთ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთთან მშვიდობას, მეგობრობასა და ჰარმონიულ თანაცხოვრებას მოითხოვენ და ამას პროფესიონალურ დონეზე ასაბუთებენ.** ასეთი ორგანიზაცია ჩემ მიერ 2009 წელს დაარსებული „ევრაზიის ინსტიტუტია“. „მკვლევრებმა“ ჯერ კიდევ შარშან წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები, თითქოს მე შევქმენი ორგანიზაციების ქსელი და ეს ქსელი ემსახურება რუსეთის ინტერესებს. ამ სისულელეს ტირაჟირება გაუწია „რუსთავი 2“-მა, მაგრამ არავინ მოსულა ჩემთან არც „რუსთავი 2“-იდან, არც სხვა „ნაცური“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, პირველწყაროს საშუალებით რომ გადაემოწმებინათ ფაქტები. მაგრამ მათ რას ვერჩი, როდესაც თვით „მკვლევარები“ არ დაინტერესდნენ თავიანთი საკვლევი ობიექტით და არ მოგვაკითხეს ინფორმაციის მისაღებად. რა თქმა უნდა, მათ განსაკუთრებით ჩვენი დაფინანსების წყაროები აინტერესებთ და, ვინაიდან ჩვენს ვებგვერდზე ეს ინფორმაცია ვერ მოიპოვეს, შორს მიმავალი დასკვნები გააკეთეს. მთლიანობაში კი მათი ე. წ. კვლევა უხარისხოა და შეცდომაში შეჰყავს დასავლელი დამკვეთები (ჩვეულებრივი ქართული „ხალტურა“, რომლის წინაშე დასავლეთიც უძლურია), რადგან თითქმის ყველა დასკვნა ჩვენი ვებგვერდის გარეგნული დათვალიერების შედეგად კეთდება. უწინ საიტზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბანერიც გვედო და ამ ფაქტის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, თითქოს ჩვენი ორგანიზაცია და ეს გაზეთი ერთი ქსელის შემადგენელი ნაწილია.

სამწუხაროდ, „რუსთავი 2“-ის დონეზეა დასული ტელეკომპანია „ჯიდიესიც“, როდესაც საქმე ეხება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. მეტიც, როდესაც ჩვენი ინსტიტუტის ძალებით გადაღებული დოკუმენტური ფილმი „გურჯისტანის ვილაიეთი“ გავუშვით ინტერნეტის საშუალებით (რა თქმა უნდა, არც ერთი ტელევიზია ამ ფილმს ეთერში არ უშვებს, მათ შორის, „ქართული არხი“, რომელსაც ერთი მღვდელი უზის სათავეში დირექტორად, ასეთ მღვდელს უფრო პუშკინისეული ტერმინი — поп შეესატყვისება, ჩემი აზრით), **„ჯიდიესის“ შეშფოთებულმა წამყვანმა პირდაპირ „დაკითხვაზე“ დაიბარა ჩვენი ფილმის ერთ-ერთი რესპონდენტი — აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძე, — როგორ შეიძლება, ბატონო გიგლა, ასეთ ფილმში მონაწილეობა, სადაც ჩვენი მეზობელი თურქეთის პოლიტიკის კრიტიკა ისმისო?! აი ეს არის ქართული „ჟურნალისტიკა“, თვითონ ბითურები მთელი საზოგადოების გაბითურებას ცდილობენ — რუსეთთან პოზიტივების ძიება არ შეიძლება თურმე, მაგრამ არც თურქეთის პოლიტიკის გაკრიტიკების უფლება გვქონია.**

საქართველოსა და რუსეთის ინტერესები, მიუხედავად სააკაშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილი საშინელი პრობლემისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა, მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს. ესაა ტრადიციული ფასეულობების დაცვა, ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლა, ჩვენი სამხრეთი ფლანგის დაცვა, რაც, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის უსაფრთხოებას სჭირდება... აი ყოველივე ეს არის რეალური ეროვნული ინტერესი და რატომ არ უნდა დავინახოთ, რომ ეს ჩვენი ეროვნული ინტერესი თანხვდება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს?! მხოლოდ იმიტომ, რომ მითურ რუსულ პროპაგანდაში დადანაშაულების უნდა გვეშინოდეს?!

ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!

**გულბაათ რცხილაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვინმემ იცით და მოგისმენიათ რაიმე დამაჯერებელი ან თუნდაც ტყუილი, რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ ახალი გუნდი? მათი საჯარო გამოსვლები უკვე კომიკურ დონემდეა მისული და ქართული პოლიტიკის „საოცნებო გუნდი“ ისეთ „კლიშეებს“ ამკვიდრებს საზოგადოებაში, ან ბევრი უნდა იცინო, ან კიდევ, განათლების მინისტრს რომ არ ევასება, იმ ზღაპრის.**

# თუ არც დაპირება გქონდათ და არც გეგმა, რას მოეთრეოდით მთავრობაში, თქვე აბდლებო?!

**„ვიხსენებ, მაგრამ ვერ გავიხსენე, რისთვის მოვედი თქვენთან“, — პოპულარული ქართული სიმღერის ეს სიტყვები, ალბათ, ყველაზე კარგად შეესაბამება „ქართული ოცნების“ მმართველ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც, პირდაპირ ვთქვათ, უკვე კოლექტიურ სისულელეზე გადავიდა და, რას მიედ-მოედებიან ხოლმე, მართლაც ძნელი გასარკვევია.**



ასეთი აბნეულ-დაბნეული, ასეთი არაინდივიდუალური გუნდი საქართველოს ხელისუფლებაში არასოდეს ყოფილა. ჩვენს ქვეყანაში ჯერ არასოდეს ყოფილა რეალური დემოკრატიული მმართველობა და წინა სამივე ხელისუფლება — **გამსახურდიას, შევარდნაძისა** და **სააკაშვილის** — დიდი დოზით ატარებდა ერთპიროვნული ავტორიტარიზმის ნიშნებს; სააკაშვილის პერიოდში კი აშკარად გამოკვეთილი დიქტატურაც გავიარეთ, მაგრამ, ასე თუ ისე, ინდივიდუალური პერსონები მაინც არსებობდნენ ხელისუფლებაში და, თუ გადამწყვეტ არა, წონიან სიტყვას მაინც ამბობდნენ კრიტიკულ მომენტში.

გამსახურდიას ხელისუფლებაში წონა ჰქონდა **აკაკი ასათიანს**, შევარდნაძის ხელისუფლებაში ასეთი იყო **ზურაბ ჟვანია**, სააკაშვილის პერიოდში კი პოლიტიკურ პროცესებზე გარკვეულ გავლენას **ადეიშვილ-მერაბიშვილ-ბოკერიას** ტრიო ახდენდა... ივანიშვილის ხელისუფლების თავდაპირველ ფორმაციაში კი **ირაკლი ღარიბაშვილი** მეტ-ნაკლებად თვითმყოფად პერსონად მოჩანდა და პარლამენტში ვიღაც-ვიღაცები ნაკლებად პრინციპულ საკითხებში მაინც „გაფართხალდებოდნენ“ ხოლმე და აზრს გამოთქვამდნენ.

„ქართული ოცნების“ 2016 წლის ფორმაციის ხელისუფლებას რაც შეეხება, აქ მართლაც ერთ პერსონასაც ვერ დავასახელებთ, თვითმყოფადობის მინიმალური ხარისხი მაინც რომ ჰქონდეს და 1 პროცენტით მაინც შეეძლოს საკუთარი აზრითა და სურვილით რაიმეს გაკეთება.

ასეთები 2016 წლის ქართულ პარლამენტში ერთიც აღარ მეგულება და, შესაბამისად, არც მთავრობის დამტკიცებისას მომხდარა სასწაული — მინისტრებად „პოლიქრონიონის“ მომღერალი ადამიანები დაამტკიცეს.

ყოველივე ამან ერთი საოცარი ცვლილება მოიტანა ქართულ პოლიტიკაში, კერძოდ ის, რომ **ყბადაღებულ „შეუსრულებელ დაპირებებს“ ახალმა ხელისუფლებამ წარმოუდგენელი რამ დაუპირისპირა — ცხოვრება დაპირებების გარეშე!**

ვერაფრით ვხვდები, რატომ მოვიდნენ ეს ადამიანები და ეს გუნდი მთავრობაში და, საზოგადოდ ხელისუფლებაში?! აი, სწორედ ამან გამახსენა ზემოთ ნახსენები ცნობილი ქართული სიმღერა. რა თქმა უნდა, ბევრი მკითხველი იტყვის, მაგათ ძალიან კარგადაც „ახსოვთ“ და იციან, რისთვის მოვიდნენ „ჩვენთან“, ანუ მთავრობაში, ფულს იშოვიან, დასუქდებიან და ეგააო.

კი, ბატონო, მაგრამ, საზოგადოდ, ადამიანი სადმე რომ მიდის, რომელიმე ადგილას (ან რომელიმე დაწესებულებაში, ან დასასვენებლად, ან სამუშაოდ, ან გასართბად), მან კონკრეტულად უნდა იცოდეს, სად მიდის, რატომ მიდის, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ვერსია მაინც უნდა ჰქონდეს. ვინმემ რომ ჰკითხოს, დამაჯერებლად მაინც ხომ უნდა ახსნას, რა მიზანი ჰქონდა და რატომ მივიდა იქ, სადაც მივიდა?!

ახლა მე დავსვამ კითხვას: **ვინმემ იცით და მოგისმენიათ რაიმე დამაჯერებელი ან თუნდაც ტყუილი, რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ ახალი გუნდი? მათი საჯარო გამოსვლები უკვე კომიკურ დონემდეა მისული და ქართული პოლიტიკის „საოცნებო გუნდი“ ისეთ „კლიშეებს“ ამკვიდრებს საზოგადოებაში, ან ბევრი უნდა იცინო, ან კიდევ, განათლების მინისტრს რომ არ ევასება, იმ ზღაპრის გმირის „ცივი იარაღით“ უნდა გამოყარო თბილი კაბინეტებიდან.**

ყველაზე კომიკური „სტანდარტი“, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობს „ქართული ოცნება“, ეს არის ყბადაღებული შეუსრულებელი დაპირებების სინდრომის საპირწონედ დაწყებული „არდაპირების კამპანია“.

კონკრეტულად რომ ვთქვათ, „ქართულ ოცნებაში“, როგორც ჩანს, რომელიმე ძალიან ევროპულად განათლებულმა „ბრძენმა“ ბიჭუშკამ ან გოგოშკამ შეიტანა „ინოვაცია“, რომ ხალხს მოჰბეზრდა იმ დაპირებების მოსმენა, რომლებიც შემდგომ არ და ვერ სრულდება.

ჰოდა, ამის საპირწონედ, არც მეტი არც ნაკლები, **ერთგვარ პოლიტიკურ მოდად იქცა ფრაზა — „ჩვენ მოსახლეობას არაფერსაც არ ვპირდებით. გავაკეთებთ იმას, რისი შესაძლებლობაც იქნება!“. თანაც, ამას ისეთი თვითკმაყოფილი სახით ამბობენ „ქართული ოცნების“ ახალგამომცხვარი „ლიდერები“, რომ გეგონება, მთელი ქვეყანა აღფრთოვანებული უნდა იყოს მათ ასეთი მიდგომით...**

**არადა, შე დალოცვილო, რას ჰქვია, არაფერს მპირდები?!**

**აბა, რა გინდა და რაღას მოდიხარ ხელისუფლებაში?!**

საოცარი იყო ჩვენი „გაწონასწორებულის“, ბატონი პრემიერმინისტრის — **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადება იმის თაობაზე, რომ არ გაზრდიან პენსიებს, რადგან ამის საშუალება რეალურად არ აქვთ.

საოცარი იყო „ხადუროზამენიწელის“ — **დიმიტრი ქუმსიშვილის** განცხადებები იმაზე, რომ მთავრობას არ აქვს ბერკეტები, გაამყაროს ლარი და ვერ შეძლებს 2.55 ნიშნულზე ქვევით ჩამოწევას.

**საოცარი იყო მათი ლამის ერთხმად ნათქვამი, რომ საწვავზე, მგზავრობაზე, პროდუქტზე ფასების მატების შეჩერება არ შეუძლიათ...**

მოდი, ძალიან ნუ „დავიგრუზებით“ და ანეკდოტი მოვყვეთ:

გურიაში გახსნეს ბორდელი. შედის ამ ბორდელში კაცი და, ცოტას რომ გაივლის, დერეფანი ორად იყოფა და წარწერაა: „თუ ბევრი ფული გაქვს, აქეთ წაი, თუ ცოტა ფული გაქვს, იქით წაი“.

კაცი ფიქრობს: რაღა ბევრი ფული გადავიხადო, ქალი ქალია და, მოდი, არ გავიჭიმები ძაანო და, ცოტა ფული სადაც აწერია, იქით წავიდა. ცოტა გაიარა და დერეფანი ისევ ორად იყოფა და არის წარწერა: „თუ დიდი ასო გაქვს, აქეთ წაი, თუ პატარა გაქვს, იქით წაი“. კაცმა იფიქრა, ახლა დიდ ასოიანებისკენ რომ წავიდე, მერე შარი არ მომდონ, ეს დიდი არ არისო და რამე, რატომ ავიტეხო შარი, მოდი, უპრეტენზიოდ პატარა ასოიანებისკენ წავალო. და წავიდა. იარა-იარა და უცებ დერეფანი დამთავრდა და ქუჩაში აღმოჩნდა. ახედა და წინ კედელზე წარწერაა: „თუ არც ფული გქონდა და არც ასო, რას მოეთრეოდი ბორდელში, შე აბდალა?!“

აი, ზუსტად ასეა ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების საქმეც.

ნაცვლად იმისა, რომ „შეუსრულებელი დაპირებების“ საპირწონედ ხალხისთვის შესრულებული დაპირებები და გაკეთებული საქმეები შეეთავზებინათ, იოლი გამოსავალი მონახეს — დაპირებებს არ ვიძლევითო.

აქაოდა, ტყუილს არ ვიკადრებთო. გეგონება, რადგან ტყუილს არ ამბობ, ეს უკვე საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვეყნის მმართველობა ითავო და ჩაიბარო. არადა, ნორმალურ პირობებში იმისათვის, რომ ქვეყანა ჩაიბარო, სწორედაც უნდა გასცე დაპირებები! ოღონდ ისეთი დაპირებები, რომლებიც აუცილებლად სჭირდება ხალხს და რომელსაც აუცილებლად შეასრულებ.

თორემ გულალალი და სიმართლის მთქმელი ჩემი სოფლელი შტერი ხუტაიეც არის, მაგრამ არა მგონია, ქვეყნის მმართველად გამოდგეს.

თუმცა სხვას რა უნდა უთხრა, როდესაც **ამ ჩვენს „ნოვატორ“ მთავრობას, რომელიც „დაპირებების არმიცემის“ უახლეს მეთოდს ნერგავს მსოფლიოს პრაქტიკაში, თურმე არც კონკრეტული გეგმა ჰქონია, ამა თუ იმ სავალალო სიტუაციაში როგორ უნდა უშველოს ხალხს და გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან.**

ეს შესანიშნავად წარმოჩნდა გასული კვირის განმავლობაში, როდესაც ჯერ ლარმა დაიწყო ბატუტზე მოხტუნავესავით ცელქობა, ხოლო საწვავის, მგზავრობისა და გარკვეული პროდუქტების ფასმა — შეუქცევადი ზრდა.

მთავრობის წევრებმა ისევ „ალალი ფოკუსნიკის“ პოზა აირჩიეს, — ჩვენ არ გვაქვს არანაირი კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა შევაჩეროთ ლარის დევალვაცია და ფასების ზრდა, ერთადერთ გამოსავალია, მივყვეთ მოვლენებს და სიტუაციის შესაბამისად ვიმოქმედოთო, — ძალიან „ჭკვიანი“ სახეებით განგვიცხადეს...

**ეს ოთხი წელიწადი ამ არასერიოზული გოგოშკა-ბიჭუშკა პარლამენტარებისა და სრულიად უპასუხისმგებლო მინისტრების ხელში როგორმე უნდა გადავაგოროთ. შემდეგ კი, იმედია, საზოგადოება იმ დონეზე მაინც იქნება გაზრდილი, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის პრეტენზიის მქონე ძალას ან «ფულს» მოსთხოვს, ან «ასოს», ან კიდევ — ორივეს ერთად!**

ჰოდა, აი, სწორედ აქ გვიჩნდება სურვილი, დავუსვათ მათ ეს ანეკდოტური კითხვა: **თუ არც დაპირება გქონდათ და არც გეგმა, რას მეეთრეოდით მთავრობაში, თქვე აბდლებო, ჰა?**

თუმცა, მოდი, ვაღიაროთ: **კითხვა ხალხთან უფრო გვაქვს, იმ ხალხთან, რომელიც ვერანაირად ვერ აგიხსნის, რატომ და რისთვის მისცა ხმა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ოთხი წლის წინათ რასაც ჰპირდებოდა, ვერ შეუსრულა, ხოლო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ დაჰპირდეს და შეუსრულოს, უბრალოდ, არც არაფერს ჰპირდება.**

საბოლოო შედეგი ის იქნება, რომ ხალხი ცხრაწლიანი ჯოჯოხეთის შემდეგ უკვე რვაწლიან კოშმარს გაივლის და ეგებ 2020 წელს მაინც ველირსოთ ისეთ მმართველ გუნდს, რომელსაც გააზრებული, გასიგრძეგანებული და შინაგანადაც გამჯდარი ექნება, რომ, თუ სადმე „მიდის“, ნამდვილად უნდა „იქონიოს“ ის ატრიბუტები, რომლებიც იქ მისულისთვის აუცილებელია.

მოკლედ, სხვა გზა ნამდვილად აღარ გვრჩება — ეს ოთხი წელიწადი ამ არასერიოზული გოგოშკა-ბიჭუშკა პარლამენტარებისა და სრულიად უპასუხისმგებლო მინისტრების ხელში როგორმე უნდა გადავაგოროთ. შემდეგ კი, იმედია, საზოგადოება იმ დონეზე მაინც იქნება გაზრდილი, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის პრეტენზიის მქონე ძალას ან „ფულს“ მოსთხოვს, ან „ასოს“, ან კიდევ — ორივეს ერთად!

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გუბაზ სანიკიძე ძალიან ჰგავს იმ პლასტმასის სათამაშოს, ადრე რომ იყიდებოდა ხოლმე მაღაზიებში და ორი რეჟიმი ჰქონდა — ჭიპის ადგილას მიმაგრებული პატარა ღილაკის მეშვეობით თუ „რეჟიმ ა“-ზე გადართავდი ადგილზე იდგა, ხელებს იქნევდა და ვითომ მღეროდა, „რეჟიმ ბ“-ზე გადართვისას კი ფეხებს აამოძრავებდა და სიარულს იმიტირებდა.**

# გუბაზი გადემოკრატებულა, ნინოსთან ჩაბურჯანაძებულა

**საქართველოში ძეგლომანია-ძეგლოფობია გრძელდება. რამდენიმე წელია, ყოველ ორ თვეში მაინც ამ დამშეულ ქვეყანაში დღის თუ კვირის მთავარი თემა ესა თუ ის ძეგლი, ქანდაკება, სკულპტურა ხდება. ამჯერად სახელოვანი ქართველი გენერლის, გიორგი მაზნიაშვილის, ბიუსტი იქცა სოციალური ქსელებისა და სატელევიზიო თოქ-შოუების განხილვის უმთავრეს თემად.**



„მეფე“ — **ირაკლი ჩარკვიანის** სკულპტურული კომპოზიციის დედა ენის ბაღში დადგმით გამოწვეული საზოგადოების აღშფოთება ჯერ მინავლებული არც იყო, რომ მერიამ გენერალ **მაზნიაშვილის** ისეთი ბიუსტი დადგა შუა ქალაქში, თუ ზედ წარწერა არ წაიკითხე, შეიძლება „სპანჩბობი“ ან რომელიმე სხვა თანამედროვე უცხოური მულტიპლიკაციური ფილმის არაამქვეყნიური პერსონაჟი გეგონოს.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ამ ბიუსტის ავტორი მოქანდაკე ლარმა გადაარჩინა. როგორც ჩანს, ეროვნულმა ვალუტამ ეროვნული გენერლის ამ საოცარ ბიუსტს მოჰკრა თვალი და შიშისგან ისე „შეხტა“, გულები დაგვიხეთქა. სხვა, ალბათ, ვერაფრით აიხსნება ლარის დილით ამხელაზე „შეხტომა“ და საღამოს უკან „ჩამოხტომა“.

აბა, ჩვენს კეთილ მილიარდერებზე ხომ არ მივიტანთ ეჭვს? ხომ არ ვიტყვით, რომ ქართველ მილიონერ-მილიარდერთა იმ კასტამ, რომელიც აკონტროლებს სავალუტო რყევებს, წინასაახალწლოდ ერთიც კიდევ ძლიერად დაარყია სავალუტო ბაზარი და ხალხის ჯიბიდან კიდევ ერთხელ ამოიღო მილიონი და ჩაიჯიბა?

არა, ჩვენ ხომ შურიანები და უმადურები არ ვართ და მაგას ვერ ვაკადრებთ ვერავის!

ამიტომ ისევ ის ვერსია დავიჯეროთ, რომ ლარის რყევა მხოლოდ მაზნიაშვილის ფანტასტიკური ბიუსტისგან მიღებული უეცარი ემოციის ბრალი იყო და აქ მილიონები არაფერ შუაშია.

უი, მართლა, მილიონმა კიდევ ერთი ქართველი გაგვახსენა, ოღონდ ამჯერად არა ბიზნესმენი, არამედ პოლიტიკოსი. **გუბაზ სანიკიძემ „გაღვიძებისთანავე“ ჯერ ბუზღუნ-ბუზღუნით დატოვა კოალიცია „ქართლი ოცნება“, მერე ბურტყუნის შეუწყვეტლად გამოვიდა მშობლიური „ეროვნული ფორუმიდან“ და აგერ, გასულ კვირაში სულ ძუნძულ-ძუნძულით მივიდა ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ საქართველოში“.**

არადა, რა მშვიდად ეძინა მთელი 4 წელიწადი?! მილიონი, თუ რელაურად ვერ იშოვა, ალბათ, ესიზმრებოდა მაინც.

საბოლოო ჯამში, გუბაზ სანიკიძე ძალიან ჰგავს იმ პლასტმასის სათამაშოს, ადრე რომ იყიდებოდა ხოლმე მაღაზიებში და ორი რეჟიმი ჰქონდა — ჭიპის ადგილას მიმაგრებული პატარა ღილაკის მეშვეობით თუ „რეჟიმ ა“-ზე გადართავდი ადგილზე იდგა, ხელებს იქნევდა და ვითომ მღეროდა, „რეჟიმ ბ“-ზე გადართვისას კი ფეხებს აამოძრავებდა და სიარულს იმიტირებდა.

სწორედ ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ქართულ პოლიტაში გამოუშვეს ახალი სათამაშო, რომელიც „ბიძინას“ რეჟიმზე გადართვისას ცდილობს, იშოვოს მილიონი, ხოლო „ნინოს რეჟიმზე“ გადართვისას — გული ატკინოს იმას, ვინც მილიონი არ აჩუქა. სავარაუდოდ, იმ მაშინდელი პლასტმასის სათამაშოსი არ იყოს, გუბაზიც ძალიან უხარისხო სათამაშო გამოდგება და სრულყოფილად ვერც ერთ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

დასასრულ, გასული კვირის განმავლობაში რატომ აღარ უთქვამს არანაირი სისულელე განათლების მინისტრ **ალექსანდრე ჯეჯელავას?!**

ამ უცნაურ მოვლენას ახლა ვაკვირდებით და, თუ რამე დავადგინეთ, მომავალ ოთხშაბათს აუცილებლად შეგატყობინებთ.

**ველოდი რახანია**

**გუბაზ სანიკიძემ «გაღვიძებისთანავე» ჯერ ბუზღუნ-ბუზღუნით დატოვა კოალიცია «ქართლი ოცნება», მერე ბურტყუნის შეუწყვეტლად გამოვიდა მშობლიური «ეროვნული ფორუმიდან» და აგერ, გასულ კვირაში სულ ძუნძულ-ძუნძულით მივიდა ნინო ბურჯანაძის «დემოკრატიულ საქართველოში». არადა, რა მშვიდად ეძინა მთელი 4 წელიწადი?! მილიონი, თუ რელაურად ვერ იშოვა, ალბათ, ესიზმრებოდა მაინც**

# ბიძინა ექიმმა ლარი მოარჩინა

**გასულ კვირაში ფინანსთა მინისტრმა ჩვენი გაჭირვების საიდუმლოს ერთხელ და სამუდამოდ აჰხადა ფარდა. ეს იყო ყველაზე მამაცი და გაბედული ნაბიჯი, რომელიც კი საქართველოს ისტორიაში მაღალჩინოსანს ერის საკეთილდღეოდ გადაუდგამს.**

მოკლედ, გაირკვა, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ფინანსური კრიზისის არსი. თურმე ყველაფერი იმის ბრალი ყოფილა, რომ არ გვაქვს ჰეჯირებული სესხი, ანუ, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, დაზღვეული სესხი. ამის გაგონებაზე ლარისთვის ნერვებს უმტყუნია, წნევა ასწევია და სასწრაფო სასწრაფოზე გამოუძახებიათ.

„რაუნატინი“, „კლოფელინი“, შარდმდენები... მოკლედ, ყველაფერი აყლაპეს, რათა ცოტა დავარდნილიყო წნევა, მაგრამ არაფერმა უშველა. ლარის სასოწარკვეთილ ოჯახის წევრებს უკვე აღარაფრის იმედი ჰქონდათ, როდესაც იქ მყოფი პირებიდან ერთ-ერთს უთქვამს, ერთი ექიმბაში ვიცი, ის თუ მოუვლის ამ პრობლემასო.

— ვინ? — უკითხავთ გარემოცვის წევრებს.

— ბიძინა ექიმი, — უთქვამს ერთ-ერთს. თავიდან უარი განუცხადებიათ, თუმცა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დასახმარებლად მისთვის მიემართათ.

მასთან დახმარების სათხოვნელად კი **ენძელა** და **მანანა** გაუგზავნიათ. ენძელა და მანანა გვიან ღამით, სამუშაოს დასრულების შემდეგ, პირდაპირ გაემართნენ სოლოლაკის აღმართისკენ. თოვდა, ქარი ზუზუნებდა.

კრძალვით დარეკეს კარზე ზარი და დაელოდნენ. კარისკაცმა ქალბატონები შინ შეიპატიჟა და უთხრა, ბიძინა ექიმი ცოტა ხანში მიგიღებთ, იქამდე ჟასმინის ჩაის შემოგთავაზებთ, შეციებულები იქნებითო. ენძელა და მანანა მორიდებით მიუსხდნენ აგიზგიზებულ ბუხარს და ხელები შეითბეს. ამასობაში ბიძინა ექიმის კაბინეტიდან შავებში ჩაცმული უცნობი მამაკაცი გამოვიდა, ულრმესი მადლობა მოახსენა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

— ოო, ესენი ვინ მოსულან, მოდით, გოგონებო, მოდით. რა ხდება, ხო მშვიდობაა? — გამოეხმაურა სტუმარს გამოყოლილი ბიძინა ქალებს.

— ვაიმე, ბატონო ბიძინა, ამ შუაღამისას არ შეგაწუხებდით, მაგრამ... — ღიმილნარევი სევდით შესჩივლა ენძელამ.

— რა ხდება, გოგო, მითხარი... — უთხრა ბიძინამ.

— ბატონო ბიძინა, ამ საღამოს ლარი გაგვიხდა ცუდად. ვისხედით, ტელევიზორს ვუყურებდით, დიმას ზღაპრები გადიოდა, ჰოდა, უცებ ერთი დაიძახა, „ვაიმეო“ და გადაყირავდა. ისე შეგვეშინდა, ძლივს გადავარჩინეთ, მაგრამ წნევა მაინც ვერ დავუგდეთ, ხან რა ვაყლაპეთ, ხან — რა, მაგრამ არა. წნევა თითქოს ოდნავ დაიწევს, მაგრამ მერე ისევ მაღლა ადის, ვერაფერს ვშველით და იქნებ რამით დაგვეხმაროთ ან რჩევა მოგვცეთ? — ისევ ღიმილნარევი სევდით შესჩივლა ენძელამ.

— კი არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ კვნესის ნამეტანი და მეზობლებიც წუხდებიან, რა გავაკეთოთ, არ ვიცი, — დასძინა მანანამ.



— ძმრიანი “ნასკები” ამოაცვით? — იკითხა ბიძინამ.

— ყველაფერი ვცადეთ, თქვენმა მზემ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, — გამოეპასუხა ენძელა და ჟასმინის ჩაი ხმაურით შეხვრიპა.

— მე მაინც მგონია, რომ პანიკას აჰყვა ეგ ლარი, ნევროზი აქვს, მგონი, და სინამდვილეში არაფერი აწუხებს. მეც ეგრე ვიყავი მაგის ასაკში, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე, არ ავყევი პანიკას და დღეს მშვიდად ვარ. აბა, სხვა რა უნდა შემოგთავაზოთ, უთხარით, გააკონტროლოს თავი, ნუ აჰყვება შიშას და ვილაცების ხმებს; გული როგორც უკარნახებს, ისე გააკეთოს. ბიძინა ექიმმა გადმოგცა, სანერვიულო არაფერია და წნევაც მალე დაგისტაბილურდება-თქო.

ბიძინა ექიმმა ფურცელზე რაღაც დაწერა, კონვერტში ჩადო და ქალბატონებს გადასცა, უთხრა, პირადად ლარისთვის მიეტანათ და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

გახარებული ქალები სირბილით დაეშვნენ სოლოლაკის დაღმართიდან და ქოშინით მივიდნენ ლართან, გადასცეს კონვერტი და რამდენიმე წუთში წნევაც დაეცა.

აქამდე უცნობია, რა ეწერა იმ ქაღალდზე ისეთი, რამაც ლარს წნევა დაუსტაბილურა... ან იქნებ, კი არ ეწერა, იდო რამე?..

**გრიგოლ ინგაძე**

**მგონია, რომ პანიკას აჰყვა ეგ ლარი, ნევროზი აქვს, მგონი, და სინამდვილეში არაფერი აწუხებს. მეც ეგრე ვიყავი მაგის ასაკში, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე, არ ავყევი პანიკას და დღეს მშვიდად ვარ. აბა, სხვა რა უნდა შემოგთავაზოთ, უთხარით, გააკონტროლოს თავი, ნუ აჰყვება შიშას და ვილაცების ხმებს; გული როგორც უკარნახებს, ისე გააკეთოს. ბიძინა ექიმმა გადმოგცა, სანერვიულო არაფერია და წნევაც მალე დაგისტაბილურდება-თქო. ბიძინა ექიმმა ფურცელზე რაღაც დაწერა, კონვერტში ჩადო და ქალბატონებს გადასცა, უთხრა, პირადად ლარისთვის მიეტანათ და ყველაფერი კარგად იქნებოდა.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დარუბანდი, როგორც შირვანი, ქართველთა მეფის ყმადნაფიცი და მოკავშირე იყო, მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩანს, ისარგებლეს იმით, რომ გიორგი მესამე პერმანენტულ ბრძოლებს აწარმოებდა თურქებთან, დარუბანდელებმა უღალატეს ქართველთა მეფეს და შირვანი ააოხრეს. გიორგის პასუხმაც არ დააყოვნა: „მივიდა კართამდის დარუბანდამდის, მოაოხრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა და აღილო ქალაქი შაბურანი. და უბოძა ქალაქი იგი მამის დიწულს მისსა შირვანშაჰს“. ამ ლაშქრობაში თავი გამოიჩინა ბიზანტიის მომავალმა იმპერატორმა ანდრონიკე კომნენოსმა, რომელიც იმხანად მეუღლესთან ერთად სტუმრად იმყოფებოდა სამეფო კარზე. ქართველებმა აიღეს დარუბანდი, შაბურანი და ეს ციხეები შირვან-შაჰს გადასცეს.**

## ისტორიული პერსონები



### რეზო ჩხეიძე

**1926 წლის 8 დეკემბერს ქალაქ ქუთასიში, ქართველი მწერლისა და პედაგოგის — დავით ჩხეიძის ოჯახში, დაიბადა გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე. რომ არა მამის დანატოვარი ბიბლიოთეკა, რომელიც ბუკინისტებს მიჰყიდა, რომ არა კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის გულისხმიერი დეკანი, რეზო ჩხეიძე უსახსრობის გამო ვერც მოსკოვში გაემგზავრებოდა და ვერც კინორეჟისორის პროფესიას დაეუფლებოდა.**

1953 წელს საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე (ს. იუტკევიჩისა და მ. რომის სახელოსნო) სწავლის დასრულების შემდეგ რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაიღო კინონარკვევი „ჩვენი სასახლე“, თუმცა პირველი წარმატება თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაღებულმა „მაგდანას ლურჯამ“ მოუტანა. ამ ფილმმა გაიმარჯვა ორ პრესტიჟულ — კანისა და ედინბურგის — საერთაშორისო კინოფესტივალებზე. ქართველ კინორეჟისორს ათამდე მხატვრული ფილმი („ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი, „ზღვის ბილიკი“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, „დონ კიხოტი“ და სხვ.) აქვს გადაღებული, რომლებმაც რეჟისორს დიდი აღიარება და პოპულარობა მოუტანა, ხოლო ყველასაგან გამორჩეულ და მისი შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს მსოფლიო კინოკლასიკად აღიარებული „ჯარისკაცის მამა“. ამ კინოშედევრით ბატონმა რეზომ ძეგლი დაუდგა ქართველ კაცს და მსოფლიოს გააცნო იგი.

გარდა ამისა, რეზო ჩხეიძეს, როგორც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს, დიდი წვლილი მიუძღვის თენგიზ აბულაძის „მონანიების“ გადარჩენაში. მისმა სამოქალაქო გმირობამ ხელი შეუშალა ცენზორებს, გაენადგურებინათ ეს ბრწყინვალე ფილმი.

ქართველი კინოკლასიკოსი რეზო ჩხეიძე 2015 წლის 3 მაისს გარდაიცვალა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ «დავითიზმიდან» გადახვევა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44 (368-373)

## „ომის მოგება შეგიძლია, ჰანიბალ, მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება — არა!“

**მართალია, ჯვაროსნებთან ბრძოლაში ძალიან დასუსტდნენ სელჩუკები, მაგრამ დიდი იმპერიის ნამსხვრევებზე ახალაღმოცენებული თურქული საამირო-სასულთნოები არ თმობდნენ პოზიციებს და ბოლომდე იბრძოდნენ თითოეული ქალაქისთვის, თითოეული ციხისთვის. ამ პერიოდში საქართველოში გიორგი მესამე მეფობდა (1156-1184). აი, რას წერს მემატიანე მასზე: „აღიჭურნა მკლავნი და მუსრევად და მოწყუდად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა აგარიანთა, ისმაიტელთა და მაჰმადიანთა...“**



ქალაქ ანისის ნანგრევები

მეფე გიორგი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა საქართველოს საზღვრების გასაფართოებლად. მან პირველი იერიში ანისზე მიიტანა, რომელსაც საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცი **ფაჰრ ად-დინ შადადი** მართავდა. ყმადნაფიცი კი იყო, მაგრამ ფაჰრ ად-დინი ღალატსაც არ თაკილობდა. მან მოციქული გაუგზავნა არზრუმის (ერზინკას) ამირას — **იზ ად-დინ სალდუხს** და ქართველთაგან თავის დახსნაში დახმარება ითხოვა. როდესაც სალდუხი შადადის დასახმარებლად ანისისკენ დაიძრა, ფაჰრ ად-დინმა ეს ამბავი დემეტრეს შეატყობინა (თავისი ჭკუით ცბიერმა შადადმა სალდუხიც და ქართველთა მეფეც ერთმანეთს წაჰკიდა და თან ორივეს გული მოიგო). დემეტრემ გაიმარჯვა, სალდუხი ტყვედ ჩაიგდო, მაგრამ, როდესაც შეიტყო შადადის მზაკვრობა, სალდუხი 100 ათასი დინარის საფასურად გაათავისუფლა. აქ საქმეში ჩაერია თბილისის ამირა **ვასაკი**, რომელმაც დაარწმუნა მეფე, რომ დიდი გამოსასყიდის საფასურად გაეთავისუფლებია არზრუმის ამირა. გარდა ამისა, ვასაკი გაიძვერა ანისის მმართველსაც გადაეფარა.

მართალია, დემეტრემ „დაუჯერა“ ვასაკს და მას არც სალდუხი დაუსჯია და არც ანისის მმართველი, მაგრამ მათთვის „ჭკუის სწავლება“ ტახტზე ასულმა გიორგი მესამემ გადაწყვიტა, საბაბად კი თბილისის ამირა ვასაკის სალდუხთან გაქცევა გამოიყენა. გამეფებისთანავე გიორგიმ გარდაცვლილი მეფის — დავით მეხუთის მომხრეების შევიწროება დაიწყო: ზოგი თანამდებობიდან გადააყენა, ზოგი დილეგში ჩააგდო, ზოგიც სიკვდილით დასაჯა. გაქცეულ ვასაკს კი გიორგი ფეხდაფეხ მიჰყვა და, სანამ ვასაკთან და მის მფარველთან გაასწორებდა ანგარიშს, ანისი დაიკავა.

ანისელები ფაჰრ ად-დინის წინააღმდეგ აჯანყდნენ და ქალაქიდან გააძევეს. ფაჰრ ად-დინის ნაცვლად მისი ძმა **ფადლონი** მიიწვიეს. როგორც ჩანს, ვერც მან გაამართლა იმედი და ანისელებმა დახმარებისთვის საქართველოს მეფეს მიმართეს. 1161 წელს გიორგი მესამემ აიღო ანისი, ფადლონთან ერთად მთელი ოჯახი შეიპყრო და ქალაქის ამირად სადუნი დანიშნა, მაგრამ, როდესაც მან ქალაქის დამცავი კედლების გამაგრება დაიწყო, ქართველთა მეფე დაეჭვდა, შეიპყრო სადუნი და სიკვდილით დასაჯა.

**ანისი მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარს — ივანე ორბელს გადაეცა, ხოლო თანაშემწედ ქალაქის ამირად სარგის მხარგრძელი დანიშნა. მეფემ ანისის მცხოვრებთა გამოსასყიდად 40 ათასი დრაჰკანი გადაიხადა და ტყვედ აყვანილი ქრისტიანებიცა და მუსლიმებიც გაათავისუფლა.**

ანისის დაკარგვას ვერ შეურიგდნენ თურქები და დიდი ლაშქარი შეკრიბეს. **ანტიქართულ კოალიციაში თავი მოიყარეს ხლათის სულთანმა და შაჰ-არმენად წოდებულმა ნასირ ალდინ სუქმან მეორემ; დიარბაქირის მმართველმა არდოხის ძემ, კოტბ ად-დინ ილღაზმა; არზრუმის მთავარმა ალ-მალიქ სალდუხმა და სხვებმა. ქართველთა მეფეს ბრძოლაში თან ახლდნენ მწიგნობართუხუცესი იოანე, ამილახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, ბეგა სურამელი, ქირქიშ აბულეთის ძე და სხვა დიდებულები. უშეღავათო ბრძოლაში გაიმარჯვეს ქართველებმა.**

წარმატებული გამოდგა არზრუმზე ლაშქრობაც. ამირას ჯარი განადგურდა, თავად სალდუხი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ, **შაჰ-ბანუვარმა**, ძმის ტყვეობიდან დახსნის სანაცვლოდ, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა ქართველთა მეფეს.

**1162 წლის აგვისტოში მეფე გიორგიმ სტრატეგიული ქალაქი დვინი აიღო: „მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულ დვინად აწ რომელ არს არარატსა ძირად ზღვარი სომხეთისა და ადარბადაგანისა“. ქართველებს უდიდესი ნადავლი ჩაუვარდათ ხელთ. აღებული ქალაქის მმართველად მეფე გიორგიმ ადგილობრივი მკვიდრი — აზნაური ანანია დატოვა.**

საპასუხოდ სამხრეთ აზერბაიჯანის, ალ-ჯაბალისა და ისფაჰანის გამგებელმა შამ ად-დინ ილდეგიზმა აიყოლია ხლათის სულთანი და შაჰ-არმენი სუქმან კუტუზის ძე, მარაღის პატრონი აყსანკორის ძე და 50-ათასიანი ლაშქრით გაგის ციხეს მიადგნენ. აქ გამართულ ბრძოლაში ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. თურქებმა აიღეს გაგის ციხე, აიკლეს გაგის მხარე, დაარბიეს გელაქუნი და მრავალრიცხოვანი ტყვითა და ალაფით დატვირთულნი ანისისკენ წავიდნენ.

ამ გამარჯვებამ მაჰმადიანურ სამყაროში ზეიმი გამოიწვია, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოჩნდა, — ნაადრევი. **დიდი ლაშქარი მეფე გიორგიმაც შეყარა, გახსნა დარიალის კარი გადმოიყვანა ოსები და გაერთიანებული ძალებით განძისკენ დაიძრნენ. როდესაც თურქებმა გიორგის ლაშქარი იხილეს, ბრძოლის ველიდან გაიქცნენ: „მეფემ გამოასხნა ოვსი და ქუეყნანი დიდძალნი და მომართა სულტანსა... ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქვეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა: მოვერიდოთ თავი და ვეფაროთ“.**

რაკი მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, ქართველები აღარ დაედევნენ მტერს და გაცლის საშუალება მისცეს. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თურქებს ხელი არ აუღიათ ანისზე და ამ ქალაქისთვის უშეღავათო ბრძოლა თითქმის ოთხ წელიწადს გაგრძელდა. ამ ბრძოლების შედეგად დაიკარგა ქალაქი დვინი, რომელიც **არსლან მუჰამედის ძემ** მიიტაცა.

**1165 წელს გიორგი მესამე და ილდეგიზ ათაბაგი დაზავდნენ. ზავის სანაცვლოდ, ილდეგიზ ათაბაგს უწყალობეს ანისი და ქალაქი სამართავად ისევ შადადიანებს გადაეცათ. თავის მხრივ, ანისის მუსლიმი მმართველი საქართველოს ყმადნაფიცი გახდა. სამწუხაროდ, მეფე გიორგიმ ველარ დაიბრუნა დვინი.**

რაც შეეხება შირვანს, დაახლოებით 1130 წელს ეს ქვეყანა ორად გაიყო: „შირვანი ორად გაყვეს — აღმოსავლეთ ნაწილში შირვანშაჰის უფლება აღადგინეს და ეს ქვეყანა ისევე, როგორც დარუბანდის ქვეყანა საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო. შარვანის დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთეს და საქართველოს საზღვრებში შემოიყვანეს. საზღვარი საქართველოსა და შირვანს შორის მდინარე თეთრ წყალზე (თანამედროვე აყსუ) გადიოდა“.

1167 წელს მეფე გიორგიმ შირვანში ილაშქრა, რომელსაც დემეტრეს დისშვილი **აღსართანი** მართავდა. შირვანშაჰს ძალზე ავიწროებდნენ დარუბანდელები და მის დასახმარებლად მოაწყო მეფე გიორგიმ ეს ლაშქრობა.:

დარუბანდი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო, ამას ადასტურებს არაბი მემატიანე **ალ-ფარიკიც**, რომელიც 1154—1155 წლებში იმყოფებოდა დემეტრე პირველის კარზე და მეფესთან ერთად დარუბანდსაც სტუმრობდა (ალ-ფარიკმა დარუბანდის ციხეში ნახა დიდგორის ომის დროს დატყვევებული ილღაზის ერთ-ერთი თანამებრძოლი). ერთი სიტყვით, იმხანად დარუბანდი, როგორც შირვანი, ქართველთა მეფეს ყმადნაფიცი და მოკავშირე იყო. მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩანს, ისარგებლეს იმით, რომ გიორგი მესამე პერმანენტულ ბრძოლებს აწარმოებდა თურქებთან, დარუბანდელებმა უღალატეს ქართველთა მეფეს და შირვანი ააოხრეს.

**გიორგის პასუხმაც არ დააყოვნა: „მივიდა კართამდის დარუბანდამდის, მოაოხრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა და აღილო ქალაქი შაბურანი. და უბოძა ქალაქი იგი მამის დიწულს მისსა შირვანშაჰს“. ამ ლაშქრობაში თავი გამოიჩინა ბიზანტიის მომავალმა** ▶

## იცით თუ არა, რომ:



**რომის იმპერატორმა ვიტელიუსმა ბრძოლა წააგო იმის გამო, რომ სადილი გაუგრძელდა, იგი ვერ მოსწყდა გემრიელ კერძებს, კარვის გარეთ უსარდლოდ დარჩენილი მისი არმია კი... მტერს დანებდა.**



ძველი წელთაღრიცხვით 480 წელს სპარსეთის მეფემ **ქსერქსემ** უზარმაზარი არმია შეუსია საბერძნეთს დასაპყრობად და დასამორჩილებლად, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და გასაქცევად შეექნა საქმე. ქსერქსე გადარჩენილი რამდენიმე ხომალდით ზღვაში შევიდა. უცებ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და სამეფო გემს საფრთხე შეექმნა, რადგან მესაჭეს საჭე გადაემსხვრა, მესაჭემ მაინც ივაჟკაცა და გემი აზიის სანაპიროს მიაყენა. ხმელეთზე გადასულმა ქსერქსემ მესაჭე თავისთან იხმო, ჯერ ოქრო-ვერცხლში ყელამდე ჩასვა, შემდეგ კი ჯვარს აცვა: „დავაჯილდოვე, როგორც ნამდვილი გმირი, ხოლო სიკვდილით დავსაჯე, როგორც გაუფრთხილებელი მესაჭე“.



მარკუს ანტონიუსმა კარგად მომზადებული სადილისთვის თავის მზარეულს მთელი ქალაქი საჩუქრად უბოძა.

**დავითის მემკვიდრეებმა მეფის ხელისუფლების დასუსტებას თვითონ შეუწყვეს ხელი. დემეტრე პირველსა და გიორგი მესამესაც ტახტის შემცილებლებთან (უფლისწული ცვატა, დავით მეხუთე, დემნა ბატონიშვილი) ბრძოლაში სჭირდებოდათ დიდებულთა მხარდაჭერა, ამიტომ ერთგულ ფეოდალთა მიმართ მეფეები დიდ დათმობაზე წავიდნენ. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მოხელეებად ქცეულმა დიდებულებმა კვლავ დაიბრუნეს ძველი გავლენა და, რაც მთავარია, მათ საშვილთაშვილოდ გადაეცათ ადგილ-მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ციხე-ქალაქები. მათვე მიეცათ თავიანთ საერისთავოებში ჯარის შეკრებისა და გადასახადის აკრების უფლება.**

# მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ იმპერატორმა ანდრონიკე კომნენოსმა, რომელიც იმხანად მეუღლესთან ერთად სტუმრად იმყოფებოდა სამეფო კარზე. ქართველებმა აიღეს დარუბანდი, შაბურანი და ეს ციხეები შირვანშაჰს გადასცეს.**

ანისის დათმობისა და შირვანში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ მშვიდობიანი წლები დაიწყო. ეს კი მიუღებელი აღმოჩნდა ჯარისთვის. მათ მეფეს ახალი ლაშქრობისკენ მოუწოდეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“.. ანუ **ჯარი „უსაქმოდ“ ყოფნას ვერ ეგუებოდა („ვეღარ ითმენდა“) და ლაშრობას ითხოვდა. თითოეული წარმატებული ლაშქრობა დიდ ნადავლთან იყო დაკავშირებული და გიორგიც იძულებული შეიქნა, აბუნტებული მეომრების მოთხოვნა შეესრულებინა.** მეფემ: „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა — მოერბია ოლთისისა და ბანისა, მესხთა და ტორელთა — კარისა და აშორნიასი და ამირსპასალართა და სომხითისათა — მტკუარსა აქეთ, ვიდრე განძამდის; თვით ხასიგიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა განძასა დამარტებით მტკუარსა პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა ალაზნის შესართავით ვიდრე შირვანამდის“.

ამ ლაშქრობებს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა:

**1. ნადავლის ხელში ჩაგდება;**

**2. შიშის დათესვა მეზობელ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით — მუსლიმანურ ქვეყნებში.**

**1173 წელს გიორგიმ ანისი აიღო, დაატყვევა ანისის ამირა და ქალაქი ისევ ივანე ორბელს ჩააბარა. 1174 წელს ილდეგიზ ათაბაგი და არსლან მუჰამედის ძე ისევ დაესხნენ თავს ანისს. მათ მთელი შირაქის ველი მოარბიეს და ივანე ამირსპასალარს ანისის დატოვება მოსთხოვეს, რაზეც ორბელმა კატეგორიული უარი განაცხადა და მეფის მოსვლამდე ქალაქი შეინარჩუნა. როდესაც დამხმარე ძალა მოვიდა, ქართველებმა დაამარცხეს და უკუაქციეს თურქები.**

ანისისათვის ბრძოლაში საქართველოს მეფეს მხარს უჭერდა სომეხი სამღვდელოება და პირადად ანისის ეპისკოპოსი **ბარსეღი**. თავის მხრივ, გიორგი მესამემაც დიდი დახმარება გაუწია ბარსეღს: ტყვეობიდან გამოისყიდა მისი ძმა **აპირატი** და დანიშნა ანისის ამირად.

**1175 წელს ილდეგიზ ათაბაგი და არსლან მუჰამედის ძე მარბიელი ჯარით ამჯერად საქართველოში შემოიჭრნენ, ააოხრეს ლორესა და დმანისის მიდამოები და დვინისკენ გაბრუნდნენ.**

სახელგანთქმულ კართაგენელ სარდალ **ჰანიბალზე ტიტუს ლივიუსი** წერდა: „ომის მოგება შეგიძლია, ჰანიბალ, მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება — არა!“. ანალოგიური რამის თქმა შეიძლება მეფე გიორგიზეც, რომელიც ძლიერი სარდალი კი იყო, მაგრამ შედარებით სუსტი პოლიტიკოსი გამოდგა. ამიტომაც, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მან ვერ გამოიხსნა თურქებისგან ამიერკავკასიის რეგიონი. სამწუხაროდ, ქვეყნაში დაგროვებულმა პრობლემებმა არ მისცა მეტის გაკეთების საშუალება. პრობლემა კი უამრავი ჰქონდა:

**1. გიორგი მესამემ ვერ შეძლო გამკლავებოდა მისი ხელისუფლების მნიშვნელოვნად დასუსტებასა და დეცენტრალიზაციას, რომელიც დემეტრეს მეფობის ხანაში დაიწყო. ამ ნეგატიურმა პროცესმა განსაკუთრებით შეუქცევადი ხასიათი მიიღო მისი მეფობის პერიოდში. კერძოდ:**

**ა.** დეცენტრალიზაციის პირველი ნიშანი იყო ყმადნაფიცობის ინსტიტუტის არსებობა. დავითი დაპყრობილ ქვეყნებს (შირვანი, ანისი) სამეფო ტახტს უმორჩილებდა და სამართავად თავის მოხელეს აბარებდა. ანისის, შირვანისა და დარუბანდის ყმადნაფიცობა კი მათ დამოუკიდებლობას


გიორგი III

ნიშნავდა, უბრალოდ, ისინი აღიარებდნენ ქართველთა მეფის სუზერენობას. ომიანობის პერიოდში მათ დასახმარებლად გამოჰყავდათ ჯარი, მაგრამ დამოუკიდებელნი იყვნენ სხვა საკითხებში („ყმადნაფიცობა“, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, წარმოადგენდა ერთგვარ თანამეგობრობას, კონფედერაციას);

**ბ.** დავით აღმაშენებელმა მინიმუმადე შეზღუდა დიდი ფეოდალების უფლებები. თუ ადრე ფეოდალს მემკვიდრეობით გადაეცემოდა მიწა და სავარგულები თავისი ციხესიმაგრეებით, დავითმა ეს წესი შეცვალა და ფეოდალები მოხელეებად აქცია (ანუ ჯამაგირზე, „მოსაკარგავებზე“ დასვა), რომლებსაც ნებისმიერ დროს ნებისმიერ რეგიონში გადაიყვანდა. მაგალითად, კახეთის დიდი ფეოდალი **აბულეთი** ანისის მმართველად გადაიყვანა, ხოლო ისეთი სტრატეგიული დანიშნულების რეგიონები, როგორიც იყო კლდეკარი და შირვანი, სასულიერო პირს — მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს ჩააბარა სამართავად და ა. შ. ეს ყველაფერი კეთდებოდა ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით.

**დავითის მემკვიდრეებმა კი მეფის ხელისუფლების დასუსტებას შეუწყვეს ხელი. დემეტრე პირველსა და გიორგი მესამესაც ტახტის შემცილებლებთან (უფლისწული ცვატა, დავით მეხუთე, დემნა ბატონიშვილი) ბრძოლაში სჭირდებოდათ დიდებულთა მხარდაჭერა, ამიტომ ერთგულ ფეოდალთა მიმართ მეფეები დიდ დათმობაზე წავიდნენ. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მოხელეებად ქცეულმა დიდებულებმა კვლავ დაიბრუნეს ძველი გავლენა და, რაც მთავარია, მათ საშვილთაშვილოდ გადაეცათ ადგილ-მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ციხე-ქალაქები. მათვე მიეცათ თავიათ საერისთავოებში ჯარის შეკრებისა და გადასახადის აკრების უფლება;**

**გ.** დავითი კარდაკარ დადიოდა და ეძებდა კადრებს, მისი ძალისხმევით აზნაურის ყმები დიდებულები ხდებოდნენ, უგვაროები წინაურდებოდნებოდნენ და ვეზირობასაც კი აღწევდნენ. მთავარი იყო, ადამიანი ყოფილიყო კომპეტენტური და მეფის ერთგული, მათ წარმომავლობას კი მნიშვნელობა არ ექცეოდა. დემეტრე პირველისა და გიორგი მესამის მეფობის პერიოდში ეს წესიც მოიშალა და კვლავ დიდებულებმა წამოიწიეს წინ, მათ ჩაიგდეს ხელში ყველაფერი და ისე გათავხედნენ, რომ მოგვიანებით თამარ მეფესაც კი ჰკარნახობდნენ, ვინ დაენიშნა ვეზირად და ვინ — არა.

**2. როდესაც ვამბობთ, „დავითიზმმა“ გაგრძელება ვერ ჰპოვა, ვგულისმობთ, რომ აღმაშენებელმა მიძინებულ, გათითოკაცებულ, დაშინებულ ქართველობას ფუნქცია მისცა და დინამიზმი მიანიჭა. ჩვენმა დიდმა მეფემ კარგად უწყოდა ქართველთა ხასიათი, ამას აღნიშნავს კიდეც დავითის მემატიანე: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს, პირველითაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“.**

ამიტომ, დავით აღმაშენებელი აიძულებდა ქართველობას, ემოძრავათ, ყოფილიყვნენ საკუთარი ბედის გზამკვლევნი. იგი მათ მოცლას არ ანებებდა, განცხრომას არ აცლიდა, ძალმომრეობდა სიზარმაცეზე, გაუტანლობაზე, შურზე, ღვარძლზე და ქვეყნის სამსახურში აყენებდა დაუნჯებულ ენერგიას. დავითის მეფობის პერიოდში ქვეყანამ არ იცოდა, რა იყო მშვიდობა, იმ ეპოქის ქართველს ან ხმალი უჭირავს ხელში, ან გუთანი, ან კალამი (იმის მიხედვით, ვის რისი შნო და მარიფათი ჰქონდა). „დავითიზმი“ ნიშნავდა პროფესიონალიზმს, ანუ კაცი აკეთებდა იმას, რისი კეთებაც შეეძლო. ქართველობა დიდი მესაჭის ხელში ერთად შენივთებულ კოლოსალურ ძალად, უზარმაზარ სტიქიად იქცა.

სამწუხაროდ, **დავითის სიკვდილმა დაასრულა ეს პროგრესული პროცესები და მხოლოდ ინერციით მიდიოდა ყველაფერი, რამაც სუსტი გამოძახილი ჰპოვა კიდეც ჯარის ბუნტში, როდესაც გიორგი მეფეს შესჩივლეს, მოგვწყინდა მშვიდობა და უსაქმურობა და გვაომეო.**

„შედეგმაც“ არ დააყოვნა და დიდმა ფეოდალებმა მეფეს, დემნა ბატონიშვილის (დავით მეხუთის შვილის) ტახტზე ასაყვანად შეთქმულება მოუწყვეს. მსგავსი რამ აღმაშენებლის პერიოდში წარმოუდგენელი იყო. როგორც მემატიანე წერს: „პირველად ორგულობასა და ზაკვასა და ღალატსა რისამე ვერავინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებიდცა“.

**1177 წელს კი სამი ვაზირი, ათი დიდი ერისთავი, 30 ათასამდე შეიარაღებული პირი ისე შეიკრა მეფის დასამხობად, რომ გიორგის წარმოდგენაც არ ჰქონდა.**

ხელისუფლების დასუსტების შედეგად ქვეყანა აივსო ავაზაკებითა და მეკობრეებით. რა არ სცადა, რა არ გააკეთა მათ წინააღმდეგ გიორგი მეფემ: კანონებიც გაამკაცრა, „მპარავთმძებნელთა“ და „ჩენილთა“ რიცხვიც გააათმაგა („მპარავთმძებნელთა“ ფუნქცია მეკობრეების, მკვლელების, ქურდებისა და ავაზაკების დაპატიმრება იყო, ხოლო „ჩენილებს“ მათი სიკვდილით დასჯა ევალებოდათ), მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვინაიდან მეფე ებრძოდა შედეგს და არა მიზეზს. მიზეზი კი „დავითიზმიდან“ გადახვევა იყო, ამიტომაც დაუტოვა თავის მემკვიდრეს „კრაზანების ბუდედ“ ქცეული ქვეყანა.

**ვანო სულორი**

**(გაგრძელება იქნება)**

**1173 წელს გიორგიმ ანისი აიღო, დაატყვევა ანისის ამირა და ქალაქი ისევ ივანე ორბელს ჩააბარა. 1174 წელს ილდეგიზ ათაბაგი და არსლან მუჰამედის ძე ისევ დაესხნენ თავს ანისს. მათ მთელი შირაქის ველი მოარბიეს და ივანე ამირსპასალარს ანისის დატოვება მოსთხოვეს, რაზეც ორბელმა კატეგორიული უარი განაცხადა და მეფის მოსვლამდე ქალაქი შეინარჩუნა. როდესაც დამხმარე ძალა მოვიდა, ქართველებმა დაამარცხეს და უკუაქციეს თურქები**



## სოკრატე
## (ძვ. წ. 470-399)
**ბერძენი ფილოსოფოსი**

როცა მე მომყვები, ნაკლებად იფიქრე სოკრატეზე და მეტი — ჭეშმარიტებაზე.

* * *

**ზოგჯერ წერაც გმირობაა — თუ ნაწერი განსასჯელად სულელებს მიეცემათ.**

* * *

როგორც კი ქალი მამაკაცის თანასწორი ხდება, ის მასზე უფროსობას იწყებს.

* * *

**მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი.**

* * *

სიკეთე სხვა არაფერია, თუ არა სიამოვნება, ბოროტება კი — ტანჯვა.

* * *

**ბედნიერების საიდუმლო მდგომარეობს არა მეტის მიღწევაში, არამედ იმ უნარის განვითარებაში, შეძლო, ისიამოვნო ნაკლებით.**

* * *

სათნოება ცოდნაა, ეს ცოდნა კი არავის აქვს.

* * *

**განცვიფრება სიბრძნის დასაწყისია.**

* * *

შური სულის წყლულია.

* * *

**ყოველ ადამიანში მზეა — ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს.**

* * *

დებატში დამარცხებულისთვის მთავარ იარაღად ცილისწამება რჩება.

* * *

**სხეული ვერ განიკურნება, თუ ჯერ სული არ განიკურნა.**

* * *

განა სოკრატეს ასამართლებენ? ო, არა, სიკვდილი მიუსაჯეს სიმართლეს.

* * *

**მე გამასამართლებენ ისე, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმს.**

* * *

შენი ჭინჭებით შენს პატივმოყვარეობას ვხედავ.

* * *

**დაილაპარაკე, რომ დაგინახო.**

* * *

გირჩევ, ყველა შემთხვევაში დაქორწინდე: თუ კარგი ცოლი შეგხვდა, ბედნიერი გამონაკლისი იქნები; თუ ცუდი, მაშინ ფილოსოფოსი გახდები.

* * *

**მშვენიერება ხანმოკლე ტირანიაა.**

* * *

ვისთანაც სიტყვა უქმია, მასთან ჯოხითაც ვერას გახდები.

* * *

**ყოველი ადამიანი ბრძენია მხოლოდ იმაში, რაც მან იცის.**

* * *

ის, ვინც კმაყოფილი არ არის იმით, რაც აქვს, არც იმით იქნება კმაყოფილი, რაც უნდა, რომ ჰქონდეს.

## იცით თუ არა, რომ:


სახელმწიფო ყატარის სახელი არაბულია და „წვიმის წვეთს“ ნიშნავს.


მეორე მსოფლიო ომში 4 მილიონი გერმანელი ჩავარდა ტყვედ.

არისტოტელე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში, მთვარის დაბნელებაზე დაკვირვებით ამტკიცებდა, რომ დედამიწა მრგვალია.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„სჭირდებოდა კი სტალინს კიროვის ჩამოშორება? — ეს სრულიად გამორიცხულია. რატომ? — მე და სხვებს სტალინთან დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მოგვიწია მუშაობა. არც მე, არც ტუკოვს, ორლოვს, სტაროსტინს, რუმიანცევს, ისტომინს, ეფიმოვს არასოდეს შეგვიმჩნევია, რომ სტალინი თავის განსჯაში გაორებული ყოფილიყო. მით უფრო არ შეგვიმჩნევია, რომ მას სხვა ან საკუთარი თავი მოეტყუებინოს. სტალინს ზოგჯერ ბოდიშიც კი მოუხდია დაცვის უდანაშაულო თანამშრომლისთვის, ვთქვათ, ხრუსტალიოვისთვის, ტუკოვისთვის, სტაროსტინისთვის“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №44 (373)

# სტალინი და კიროვი

**1934 წლის 1 დეკემბერს სმოლნში გასროლილმა ტყვიამ ცხადყო, რომ ტროცკისტული ბანდა ყველაფერს მოიმოქმედებდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. „საზღვარგარეთ მცხოვრებნი“, თავიანთი უდიდესი კაპიტალით, რომელიც სტალინის დამხობას ითვალისწინებდა, მიმართავდნენ არა მხოლოდ პოლემიკას, არამედ ტერორსაც, რომლის მაგალითიც კიროვის ცინიზმით სავსე მკვლელობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელი სააშკარაოზე იყო გამოყვანილი და მკვლელობის გამოძიება — დასრულებული, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ კიროვი ნიკოლაევმა ეჭვიანობის გამო მოკლა. აუცილებელი იყო კიროვის სიკვდილის მიზეზის გორგლის წვერის გამოჩენა, რომლითაც ფარდა აეხდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.**

კიროვის სიკვდილი სტალინისთვის მესამე დარტყმა იყო, რომელმაც გადაწყვიტა არა მხოლოდ ამ ტრაგიკული კაცის (სტალინის) მომავალი ცხოვრების გზა და მიზანი, არამედ უზარმაზარი იმპერიისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

მეუღლის — **ეკატერინე სვანიძის** სიკვდილმა, რომელმაც სტალინს ათქმევინა „კატოს სიკვდილმა გული გამიქვავაო“, **ნადეჟდა ალილუევას** თვითმკვლელობამ, რომელიც სტალინმა ზურგში დანის ჩარტყმად ჩათვალა და ასკეტური ცხოვრება დააწყებინა, ბოლოს **კიროვის** სიკვდილმა, რომელიც ერთადერთ ძმად ეიმედებოდა, სტალინს გადააწყვეტინა: **„პან ილი პროპალ!“** (აუცილებელი არჩევანი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ან დიდი წარმატება, ან კრახი — გრ. ონიანი).

თუ 1934 წლამდე საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა დებატების, აზრის თავისუფლად გამოთქმისა და ნამდვილი დემოკრატიის აკვანს, ამას ვეღარ ვიტყვით 1934 წლის 1 დეკემბრის შემდეგ, როდესაც სმოლნის სასახლის მესამე სართულის დერეფანში დაქირავებულმა მკვლელმა **ნიკოლაევმა** ორი ტყვია დაახალა საბჭოეთის ერთ-ერთ ლიდერს, რომლის ხელიდან გამოცლითაც, ოპოზიციის აზრით, დიდი ძალა მოაკლდებოდა სტალინს.

1930-იან წლებში სტალინი თავისი ნიჭის, მომავლის განჭვრეტით, გამბედაობითა და რკინისებური ნებისყოფით იყო აღიარებული ბელადად, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა ხელში, ფაქტობრივად, ჰქონდათ აღებული უცხოეთიდან შემოგზავნილ და დაფინანსებულ ჯგუფებს, რომლებსაც უნდა გაენეიტრალებინათ სტალინი, რათა რუსეთი მართული ყოფილიყო ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ, როდესაც ამ ქვეყნის ხელში ჩასაგდებად მილიონობით ოქროს თუმნიანი იგზავნებოდა ოპოზიციის გასაძლიერებლად. მათ რუსეთი სჭირდებოდათ, როგორც ნედლეულის ბაზა, რუს ხალხს კი „თეთრ ზანგებად“ გადაკეთებას უპირებდნენ.

**ვის ხელში იყო ძალაუფლება 1930-იან წლებში? — ბუხარინის, რიკოვის, ზინოვიევის, პიატაკოვის, იაგოდას, ტუხაჩევსკის, კრესტინსკისა** და მათ ზურგს ამოფარებული ოპოზიციონერების.

**ვინ იყო სტალინის გვერდით და ვის ეყრდნობოდა იგი?** — მხოლოდ **ვოროშილოვს, მოლოტოვს, ორჯონიკიძესა** და **კალინინს.** სტალინმა იგრძნო რა, რომ ქვეყანა და ზემოთ ჩამოთვლილი ოთხეულიც განწირული ჰყავდათ დასაღუპავად, არად ჩააგდო ქვეყნის დემოკრატიულად მართვის აღებული კურსი და ქვეყანა დროებით გადაიყვანა ერთმმართველ ხელმძღვანელობაზე, რომელიც მიანდო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. ზემოთქმული უფრო დამაჯერებელი რომ იყოს, ხშირად მოვიშველიებ სტალინის პირადი დაცვის უერთგულესი და უპატიოსნესი წევრის — **ალექსეი რიბინის** მონათხრობს, რომელიც ოცი წლის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია სტალინს.

„1935 წელს სერგო ორჯონიკიძესთან ვმუშაობდი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში. იქ პიატაკოვთან (იმხანად ორჯონიკიძის მოადგილე იყო — გრ. ონიანი) ზინოვიევი და **ბეთალ კალმიკოვი** მოდიოდნენ. კალმიკოვი იყო უგვირგვინო მეფე, თავისებური მეფისნაცვალი. მას ენუქიძის ოჯახი მასპინძლობდა. ყაბარდოელი კალმიკოვი პირველ ცოლს გასცილდა და შეირთო ყოფილი თეთრგვარდიელი პოლკოვნიკის ქალიშვილი, რომელიც მოსკოვში სწავლობდა და ენუქიძეებთან ცხოვრობდა. ბუხარინსა და ტროცკის კი წინათ, როცა კავკასიაში „სანადიროდ“ მიდიოდნენ, ყაბარდო-ბალყარეთში ბეთალ კალმიკოვი მასპინძლობდა.

1936 წელი მდიდარი იყო მოვლენებით. წლის დასაწყისში **იაგოდამ, პაუკერმა, სორინსონმა** და **ვოლოვიჩმა** შექმნეს ბოევიკების ასეული, რომელშიც შედიოდნენ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს („ოგეპეუ“) სკოლის კურსანტები **ორლოვი, სერედა, იურჩიკი.** ოპოზიციას განზრახული ჰქონდა, კრემლში სტალინის დაპატიმრება და, იგულისხმება, მოსპობა, მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდა. კრემლის კომენდანტმა ტკალუნმა თავი მოიკლა. იაგოდა სექტემბერში „ოგეპეუ“-დან გადაიყვანეს. გოლუბევი, პაუკერი, კოზლოვი, ვოლოვიჩი და სხვები დააპატიმრეს. იაგოდას მდივანი ჩერტოკი მე-7 სართულიდან გადმოხტა. აი, რატომ დანიშნა იაგოდამ ლენინგრადში **ფ. მედვედის** ადგილზე **იაკობ აგრანოვი** (სორინსონი). ამგვარად, კიროვის მოკვლის საქმეს იძიებდნენ იაგოდა, აგრანოვი, ეჟოვი, შეინინი. სტალინი გამოძიების მსვლელობამ შეაშფოთა. აგენტურული პატაკებით ცნობილი შეიქნა, რომ ზინოვიევი აქტიურად მოქმედებდა. ეს მალე დადასტურდა.

მივმართოთ ზინოვიევის სასამართლო პროცესს. 1936 წლის აგვისტოში ბრალდებულებმა **რეინგოლდმა** და **პიკულმა** სასამართლოს ღია სხდომაზე ასეთი ჩვენება მისცეს: „ზინოვიევმა რეკომენდაცია მისცა თავის მდივან **ბოგდანს**, როგორც „ბოევიკს“, საკავშირო კპ(ბ) ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განსახორციელებლად. მაშინ „ბოევიკმა“ **ბაკაევმა** თქვა: „შენ ყოყმანობ პარტიის ხელმძღვანელების დახოცვის თაობაზე. ან თავი მოიკალი, ან ჩვენ მოგსპობთ“. ბოგდანმა ამდენს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა“.

ამას წერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო კომისარიატის მე-2 პოლკის პოლიტხელი **ვ.ფ. ალექსეევი**, რომელიც მსჯავრდებულთა დაცვას მეთაურობდა, როგორც 1936 წელს, ისე 1938 წლის მარტშიც.

გადავდივართ სასამართლო პროცესზე — იაგოდას, რიკოვის, ბუხარინის, გრინკოს, როზენგოლცის, კრესტინსკის მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის ჩვენებებზე. იაგოდამ 1938 წლის 3 მარტს ასეთი ჩვენება მისცა: „...მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ კიროვი მოკლეს მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის გადაწყვეტილებით. მათივე გადაწყვეტილებით განხორციელდა ტერორისტული აქტები, რომელთა შედეგადაც დაიხოცნენ **კუიბიშევი და მეჟინსკი“.**

გერმანიაში ყოფილი ელჩის — **ს. ბესონოვის** განცხადებით, ტროცკიმ მასთან შეხვედრისას გამოთქვა აზრი გორკის მკვლელობის შესახებ, რადგან დასავლეთის იტელიგენცია მის მხარეზე გადადიოდა. ბუხარინის მითითებით, ტროცკის დრო და დრო ერიცხებოდა 300 ათასი დოლარი. ისინი იგზავნებოდა იაგოდას, გრინკოს, როზენგოლცის ხაზით.

ჩვენებას განაგრძობს იაგოდა: „კიროვის მკვლელობა რომ მზადდებოდა, **აბელ ენუქიძემ** იცოდა... მან გამომიძახა და მითხრა: „კიროვის მკვლელობას დაბრკოლებებს ნუ შეუქმნით“. ამ მიზნით გამოვიძახე ი. ზაპოროჟეცი და მითითება მივეცი ენუქიძის დირექტივების საფუძველზე“ (ტ.2, პირადი საქმე 209). გამოძიებისას სწორედ ეს დაადასტურეს **ზაპოროჟეცმა** და ენუქიძემ. რიკოვმა კი სასამართლოს ასეთი ჩვენება მისცა: „1933 წელს იყო სასახლის გადატრიალების მცდელობა. კრემლის ხელში ჩაგდების ამ გეგმის ბურჯი იყო ენუქიძე. შეიქმნა კრემლის ხელში ჩაგდების ცენტრი, რომელშიც შევიდნენ **კამენევი, პიატაკოვი, ბუხარინი, ტომსკი.** მასში გაერთიანდა **ტუხაჩევსკისა** და **იაგოდას** ჯგუფიც“.

კიროვის მკვლელობაში ბუხარინის მონაწილეობა დაადასტურეს იაგოდამ, რიკოვმა, რადეკმა. 1937 წლის იანვარში სტალინისა და პოლიტბიუროს წევრების, თითო-თითოდ კი არა, ჯგუფურად დახოცვას აპირებდნენ.

ბუხარინის ინიციატივით, ორგანიზებულ იქნა შიმშილობა ჩრდილოეთ კავკასიაში. სასამართლოზე ჩვენებით ეს დაადასატურა პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა **ივანოვმა** — მეფის ოხრანკის ყოფილმა მდივანმა. როცა მემარჯვენე-ტროცკისტების სასამართლო პროცესის მასალებსა და ბრალდებულთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს გავეცანი, ბრალდებულთა დაცვის უფროს **ვ. ფ. ალექსეევს** ვკითხე: „იქნებ ბრალდებულებს სცემდნენ, აწამებდნენ?“

**ვ. ფ. ალექსეევი:** „ჩემი ასეული რიკოვს, იაგოდას, ბუხარინს, გრინკოს, კრესტინსკის, როზენგოლცს, ბესონოვს იცავდა. მათ ჩვენ ვაჭმევდით და ვასმევდით, ყოველდღე მიგვქონდა ახალი გაზეთები. ისინი ჩვენ მიგვყავდა გამომძიებლებთან დაკითხვაზე. მათთვის თითიც არავის დაუკარებია. ისინი ჩვენს წითელარმიელებზე უკეთ იკვებებოდნენ“.

მე შესაძლებლობა მქონდა, დიდხანს მედევნებინა თვალყური კიროვის დაცვისთვის, იმისთვის, თუ როგორ მუშაობდა ის და როგორი იყო მისი სტრუქტურა. საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობაზეც მომიწია ყოფნამ, სადაც ასევე თვალყურს ვადევნებდი კიროვის, სტალინის, ორჯონიკიძის ქმედებებს.

სტალინმა კიროვს საკავშირო კპ(ბ) მდივნის პოსტი შესთავაზა. კიროვმა უარი თქვა. მას მხარი დაჭირეს ორჯონიკიძემ და კუიბიშევმა. რაკი კიროვის თანხმობა ვერ მიიღო, სტალინმა დატოვა სხდომა. ამის შემდეგ ეს საკითხი სამუშაო წესით წყდებოდა, მაგრამ კიროვმა მაინც არ მიიღო სტალინის წინადადება.

1934 წლის 3 დეკემბერს სტალინის მითითებით ლენინგარდის მმართველები ძიებას ჩამოაცილეს. ძალიან გონივრული გადაწყვეტილება იყო: სისულელე იქნებოდა, გამოძიების ლენინგრადის „ოგეპეუ“-სთვის დაკისრება, რადგან საქმე სწორედ მათ ჩააფლავეს. კიროვი მათ თვალწინ მოკლეს და გამოძიების ჩატარებაც მათვე უნდა დაკისრებოდათ? ეს სისულელე იქნებოდა“.

**ისტორიკოსები 60 წლის განმავლობაში იძიებდნენ კიროვის მკვლელობის მიზეზებს. ჩვენ უფლება გვაქვს, გამოვრიცხოთ ეგრეთ წოდებული ანალიტიკოსები ოლგა შატუნოვსკაია, დიმიტრი ვოლკოგონოვი, ბესტუჟევ-ლადა, ა. ავტორხანოვი, ა. იაკოვლევი და მათი მსგავსნი ჩვენ უნდა დავემყაროთ თვითმხილველთა ან .თუნდაც იმათ ჩვენებებს, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ლენინგრადთან, მოსკოვთან და სტალინთან. სამწუხაროდ, იმ პერიოდის ადამიანთა დიდი უმეტესობა უკვე ცოცხალი აღარ არის. სწორედ ამიტომ ქაღალდის მთხუპნელ კალმოსანთა გავლენის ქვეშ მოქცეული ბევრი ჩვენი თანამედროვე ქმნის პასკვილებს სტალინზე, ცდილობს, მას მიაწეროს 1934 წლის 1 დეკემბრის ტრაგედია.**

„სჭირდებოდა კი სტალინს კიროვის ჩამოშორება? — ეს სრულიად გამორიცხულია. რატომ? — მე და ▶



**1930-იან წლებში სტალინი თავისი ნიჭის, მომავლის განჭვრეტით, გამბედაობითა და რკინისებური ნებისყოფით იყო აღიარებული ბელადად, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა ხელში, ფაქტობრივად, ჰქონდათ აღებული უცხოეთიდან შემოგზავნილ და დაფინანსებულ ჯგუფებს, რომლებსაც უნდა გაენეიტრალებინათ სტალინი, რათა რუსეთი მართული ყოფილიყო ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ, როდესაც ამ ქვეყნის ხელში ჩასაგდებად მილიონობით ოქროს თუმნიანი იგზავნებოდა ოპოზიციის გასაძლიერებლად. მათ რუსეთი სჭირდებოდათ, როგორც ნედლეულის ბაზა, რუს ხალხს კი «თეთრ ზანგებად» გადაკეთებას უპირებდნენ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კიროვი შეცდომებს უშვებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ლენინგრადელ მუშებს უყვარდათ; ცდილობდა, ოპოზიციის ხელახლა აღზრდას და მასთან საერთო ენის გამონახვას. ამის საზღაურად ოპოზიციისგან ტყვია მიიღო. ის, ისევე როგორც ლენინი, ზინოვიევსა და ბუხარინში თანაპარტიელ „მეგობრებს“ ხედავდა, ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობდა ოპოზიციისა და კომუნისტების გაერთიანებას. ამის პასუხად ლენინმა კაპლანისგან ტყვია მიიღო“.**

**«კიროვის მკვლელობა რომ მზადდებოდა, აბელ ენუქიძემ იცოდა... მან გამომიძახა და მითხრა: «კიროვის მკვლელობას დაბრკოლებებს ნუ შეუქმნით». ამ მიზნით გამოვიძახე ი. ზაპოროჟეცი და მითითება მივეცი ენუქიძის დირექტივების საფუძველზე» (ტ.2, პირადი საქმე №209). გამოძიებისას სწორედ ეს დაადასტურეს ზაპოროჟეცმა და ენუქიძემ. რიკოვმა კი სასამართლოს ასეთი ჩვენება მისცა: 1933 წელს იყო სასახლის გადატრიალების მცდელობა. კრემლის ხელში ჩაგდების ამ გეგმის ბურჯი იყო ენუქიძე. შეიქმნა კრემლის ხელში ჩაგდების ცენტრი, რომელშიც შევიდნენ კამენევი, პიატაკოვი, ბუხარინი, ტომსკი. მასში გაერთიანდა ტუხაჩევსკისა და იაგოდას ჯგუფიც**

◀ სხვებს სტალინთან დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მოგვიწია მუშაობა. არც მე, არც **ტუკოვს, ორლოვს, სტაროსტინს, რუმიანცევს, ისტომინს, ეფიმოვს** არასოდეს შეგვიმჩნევია, რომ სტალინი თავის განსჯაში გაორებული ყოფილიყო. მით უფრო არ შეგვიმჩნევია, რომ მას სხვა ან საკუთარი თავი მოეტყუებინოს. სტალინს ზოგჯერ ბოდიშიც კი მოუხდია დაცვის უდანაშაულო თანამშრომლისთვის, ვთქვათ, ხრუსტალიოვისთვის, ტუკოვისთვის, სტაროსტინისთვის. მაინც რატომ სთხოვა სტალინმა კიროვს ცეკას მე-2 მდივნობა? ვინ იყო 30-იან წლებში სტალინის გარემოცვაში? ვის ხელში იყო ძირითადი ძალა? — ყოველ შემთხვევაში, არა სტალინის ხელში. ძალა, უწინარეს ყოვლისა, ბუხარინს, რიკოვს, ზინოვიევს, გრინკოს, როზენგოლცს, პიატაკოვს, იაგოდას, ტუხაჩევსკის, კრესტინსკის და მათ ზურს უკან მდგარ ასობით ოპოზიციონერს ეპყრა ხელთ. სტალინი კი ემყარებოდა მხოლოდ ვოროშილოვს, მოლოტოვს, ორჯონიკიძეს. მაშასადამე, საკავშირო კპ(ბ) ცეკაში სტალინის მხარეს იდგა სამი კაცი და მეოთხე — კალინინი, ბუხარინსა და რიკოვს კი მხარს რამდენიმე ათეული ოპოზიციონერი უჭერდა.

სტალინი ამას თვალნათლივ ხედავდა და დასკვნებს აკეთებდა: კიროვი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც უნარი აქვს, ნებისმიერ მუშასთან თუ ინტელიგენტთან გამონახოს საერთო ენა. სტალინთან კიროვზე უფრო ახლოს არავინ იდგა. სტალინმა კიროვს სწორედ ასეთ ვითარებაში სთხოვა თანადგომა, სწორედ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისთვის მოამზადეს ოპოზიციონერებმა „ბოევიკების“ ასეული, რომელშიც შევიდნენ „ოგპეუ“-ს სკოლის კურსანტები: ორლოვი, სერედა, იურჩიკი, მაგრამ, ჩვენი მონაცემებით, შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე (იგულისხმება გოლუბკოვი) პაუკერისა და სხვების დაპატიმრების შემდეგ გაათავისუფლეს. **გოლუბკოვს** კარგად ვიცნობდი, ზოგჯერ მისი ხელქვეითი ვიყავი. ის ფორმის საყელოზე ორ რომბს ატარებდა და ჩვენთვის გამოუცნობი პიროვნება იყო.

ცოტა გვიან გოლუბკოვმა ჩემს თანამშრომელს სთხოვა, დამეხმარე, მოსკოვში ჩავეწეროო. გოლუბკოვი ცხოვრობდა ტაშკენტში, იმ მომენტში კი მოსკოვში გადმოსვლა მოიწადინა, მაგრამ ჩემი თანამშრომელი იცნობდა და არ დაუდგა თავდებად და არ უშუამდგომლა.

**კიროვს, სტალინთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ლენინგრადიდან მოსკოვში გადასვლა არ უნდოდა. იქ მას ჰყავდა გულითადი მეგობრები — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამმართველოს უფროსი და სხვები. ამას გარდა, სტალინისგან განსხვავებით, კიროვს ჰქონდა საოპერო თეატრის ზოგიერთ ბალერინასთან არშიყობის მიდრეკილება. მთავარი კი იყო ის, რომ კიროვი ლენინგრადის ქარხნების მუშათა შორის პოპულარული იყო. არადა, ყველამ იცის, რომ იმხანად ლენინგრადში ძლიერი ზინოვიევური ოპოზიცია არსებობდა.**

კიროვი შეცდომებს უშვებდა. რადგან დარწმუნებული იყო, რომ ლენინგრადელ მუშებს უყვარდათ, ცდილობდა, ოპოზიციის ხელახლა აღზრდას და მასთან საერთო ენის გამონახვას. ამის საზღაურად ოპოზიციისგან ტყვია მიიღო. ის, ისევე როგორც ლენინი, ზინოვიევსა და ბუხარინში თანაპარტიელ „მეგობრებს“ ხედავდა, ძალ-ღონის დაუზოგავად ცდილობდა ოპოზიციისა და კომუნისტების გაერთიანებას. ამის პასუხად ლენინმა კაპლანისგან ტყვია მიიღო.

კიროვს ისიც გამოეპარა, რომ 1934 წლიდან ოპოზიციამ ცხვრის ნიღაბი ჩამოიხსნა და „ბოევიკად“ გადაიქცა, მოკლეს მეჟინსკი, თავი მოიკლა ზინოვიევის მდივანმა ბოგდანმა. ბუხარინმა ერთ-ერთი საოლქო კომიტეტის მდივანს — ივანოვს ამიერკავკასიაში შიმშილობის ორგანიზება შესთავაზა. ორგანიზებულ იქნა შიმშილობა უკრაინაში. აცნობიერებდა თუ არა ამ ყველაფერს კიროვი? მეხთატეხის ჟამი ახლოვდებოდა, ცაში ოპოზიციის ღრუბლები უკვე შეყრილი იყო. ოპოზიციას უყვარდა უმნიშვნელო პიროვნებების გამოყენება. ასეთები იყვნენ ბოგდანიც და **ლეონიდ ნიკოლაევიც.** ლენინგრადის ყველა რანგის ხელმძღვანელი გასაქანს არ აძლევდა ნიკოლაევს, შხამავდა მას, უპატრონო ძაღლივით ექცეოდა. ამასთანავე, სმოლნის შენობაში ყოფნის შესაძლებლობასაც აძლევდა. ლენინგრადის „ოგპეუს“ თანამშრომლები, ზაპოროჟეცი და მედვედი, ყურში აწვეთებდნენ კიროვს, რომ უნდა შეშინებოდა ნიკოლაევისა. ლენინგრადელებს კიროვი უყვარდათ, ხოლო ნიკოლაევს — ეზიზღებოდა. „ოგპეუ“-მ ისე მომართა საქმე, რომ ნიკოლაევისგან ხალხის მტერი შექმნეს... კიროვის დაღუპვაში სრული პასუხისგება ჯერ მედვედის მოადგილე ნ. ზაპოროჟეცს ეკისრება, მერე კი — **ფომინსა** და კიროვის პირადი დაცვის სხვა წევრებს. არ არის გამორიცხული, რომ თვით ლენინგრადის „ოგეპეუ“-შიც იყვნენ ოპოზიციის მომხრეები. იაგოდასთან ურჩობა, როგორც წესი, „ოგეპუ“-დან გაგდებით მთავრდებოდა და, თუ იაგოდასა და ფრინოვსკისთვის ცნობილი შეიქნებოდა, რომ ოპოზიციის მიერ გადაბირებული თანამშრომელი მერყეობდა, მას ზაპოროჟეცი უეჭველად მოსპობდა. სიტყვას მოჰყვა და, პაუკერი მოსკოვიდან უგზავნიდა გადასახლებაში მყოფ ზაპოროჟეცს ამანათებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთიც და მეორეც ოპოზიციის „ბოევიკი“ იყო.

როგორ უნდა დაეცვათ კიროვი? — ზუსტად ისე, როგორც სტალინს, ორჯონიკიძეს, ვოროშილოვს, მიქოიანსა და სხვებს იცავდნენ. ავიღოთ სერგო ორჯონიკიძე. ის ეზოში ნოგინის სახელობის მოედნიდან შედიოდა. იქ, კარიბჭის ყელში, იყო თანამშრომლის პოსტი. ის უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას განსაკუთრებულ შესასვლელთან. სერგოს ყოველთვის ახლდა მცველი **ა. ჟილინი.** გამყოლ მანქანაში იმყოფებოდნენ **მ. ზემსკი** და **პ. ფატიანოვი.** სადარბაზოში მორიგეობდა თანამშრომელი **ბერეზკინი.** მე მცველის პოსტი მებარა სერგოს კაბინეტთან და თვალყურს ვადევნებდი მას დერეფნის მისაღებიდან სხდომათა დარბაზამდე. მისაღებში გამოსვლისას სერგოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ მდივანი **სემუშკინი** ან **მახოვერი.** როცა სერგო ლიფტით ამოდიოდა, ბერეზკინი ქვევიდან მირეკავდა მოკლე ზარით, რომ სერგოსა და ჟილინს შევგებებოდი. იმ შემთხვევაში, როცა სერგო კაბინეტიდან გამოდიოდა, მე მას ფეხდაფეხ მივყვებოდი და ვურეკავდი ჟილინს. ის დერეფანში გამოვარდებოდა და სერგოს მიჰყვებოდა.

კიროვთან როგორ იყო საქმე? დაცვის მიმყოლი მანქანიდან ორი თანამშრომელი და სამდივნოს კაბინეტთან მორიგედ დაყენებული თანამშრომელიც რატომღაც „აორთქლდნენ“. ვის შეეძლო მათი პოსტებიდან მოხსნა? — მხოლოდ ზაპოროჟეცსა და ფომინს. როგორ მოხდა, რომ კიროვი მარტო წავიდა? სად გაქრა კიროვის მდივანი მისაღებიდან? რა, ეს ადამიანები პოსტებიდან სტალინმა მოხსნა? ყველაფერი ეს ჩაიდინეს „ოგეპეუ“-ს ხელმძღვანელებმა, რომელთა უკანაც იაგოდა იდგა. რაც შეეხება სტალინს, რომელმაც ეს თითქოს იმიტომ გააკეთა, რომ საბაბი სჭირდებოდა ზინოვიეველთა გასანადგურებლად, ეს სტალინს კიროვის მოკვლის გარეშეც შეეძლო, რადგან ზინოვიეველთა ოპოზიციაზე აგენტურული მონაცემები მას უკვე ხელთ ჰქონდა. აქ მხოლოდ ზინოვიევიც კმაროდა, რომელიც სტალინს თათხავდა ტროცკისტ იოფეს დაკრძალვისას.

მივუბრუნდეთ მოსკოვში პოლიტბიუროს წევრთა დაცვას. ასეთი იყო წესი: პოსტზე მდგარ პირადი დაცვის თანამშრომელს არ ჰქონდა უფლება, პოსტი მიეტოვებინა შეცვლამდე, დასაცავი პირი კაბინეტში იმყოფებოდა თუ არა, რადგან შეიძლებოდა სტალინი ან სერგო ნებისმიერ წუთს მოსულიყვნენ თავიანთ სამუშაო ადგილზე.

კიროვის პირად დაცვაში სწორედ ამის საპირისპირო ვითარება იყო. 60 წლის შემდეგაც ვერ აგნებდნენ კვალს, 1934 წლის 1 დეკემბერს, 16 საათსა და 35 წუთზე კიროვთან, როცა ის მოკლეს, ვინ იყო? — არც ზაპოროჟეცი, არც ფომინი და არც სხვა მასთან არ ყოფილან. მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო, დაესახელებინა 1934 წლის 1 დეკემბერს კიროვის გამყოლ, თანმხლებ მანქანაში მსხდომი სამი თანამშრომლის ვინაობა. ეს იმას ცხდადყოფს, რომ კიროვის დაცვაში სრული ქაოსი სუფევდა. ბორისოვის გარდა, საქმეში არავინ სახელდება, არადა, სად იყო ამ დროს კიროვს მიმაგრებული მეორე პირი? სმოლნში კიროვის დაცვაში 5 კაცი უნდა ყოფილიყო, მეექვსეს დასვენების დღე ჰქონდა, მაგრამ ვინ იყო დაცვიდან ურიცკის სასახლის სადარბაზოსთან ტრასაზე? მხოლოდ ის ვიცით, რომ იქ ბორისოვი იდგა. არადა, იქ სამეთაურო ხელმძღვანელობის 15-20 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი არსად ჩანდნენ. ამის თაობაზე მედვედმა, ფომინმა და ზაპოროჟეცმა ვერაფერი თქვეს... კიროვს დაცვა თითქოს არც ჰყოლია. რასაკვირველია, ქაღალდზე დაცვა იყო, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობდა. ვის აძლევდა ეს ხელს? უწინარეს ყოვლისა, — ტროცკის, შემდეგ კი — იაგოდას, ფრინოვსკის, ზაპოროჟეცს და სხვებს“.

კიროვის გარდაცვალების დღიდან იწყება ის შავბნელი ხანა, რომელსაც ხალხმა 37-იანი წლები შეარქვა. თუ როგორ მიმდინარეობდა ოპოზიციასთან ბრძოლა და რა შედეგებით დასრულდა, ამას მომდევნო წერილებიდან შეიტყობთ.



**1934 წლის 1 დეკემბერს სმოლნში გასროლილმა ტყვიამ ცხადყო, რომ ტროცკისტული ბანდა ყველაფერს მოიმოქმედებდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბანკის ყოფილი თანამშრომელი გერმანიის სპეცსამსახურის რიგებში 2016 წლის აპრილში მიიღეს. რამდენიმე წლის წინათ ისლამი რომ აღიარა, მისმა ოჯახმაც არ იცოდა. თანამშრომელი, რომელსაც ევალებოდა რადიკალური ისლამისტების თვალთვალი, აფრთხილებდა ერთმორწმუნეებს მოსალოდნელი შემოწმების თაობაზე და მათ საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა.**






The American Thinker:

# მშვიდობით, ობამას დროებავ!

**The Financial Times-ის ციტატაზე უკეთ ვერავინ და ვერაფერი შეაფასებს ობამას მემკვიდრეობის შედეგს: „თითქოს ობამა აქ არასოდეს ყოფილა“.**

ისტორია დაიმახსოვრებს ობამას, როგორც პირველ შავკანიან პრეზიდენტს. ან რა უნდა გაიხსენოს ამაზე მეტი? მისმა მცდელობამ, გაუმჯობესების ნაცვლად, გააუარესა ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური პირობები. თავისი პოლიტიკური პარტია კი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მიიყვანა.

ტრამპის არჩევით ამერიკელმა ხალხმა ობამიზმის დანგრევა მოითხოვა. დემოკრატიული პარტია ზურგს შეაქცევს მას და მისი პოლიტიკა კონსერვატორებზე მეტად შესძულდებათ.

**ჩვენი „ღირსეული“ ლიდერი ატყუებდა საკუთარ ხალხს, თავისი პოლიტიკის წინ წასაწევად უკანონოდ იყენებდა იუსტიციის სამინისტროსა და საგადასახადო სამსახურს პოლიტიკური მიზნებისთვის. სახელმწიფოს მმართველობისადმი ობამას მიდგომას მხოლოდ დიქტატორული შეიძლება უწოდო. იგი გვერდს უვლიდა კონგრესის ნებას პრეზიდენტის განკარგულებების მეშვეობით, რომელთა უმეტესობა შემდგომ სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა.**

თუ ისტორიაში ობამა უფრო დაამახსოვრდებათ, ვიდრე **უილიამ ჰარისონი** (აშშ-ის მე-9 პრეზიდენტი, რომლის თანამდებობაზე ყოფნა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა — გარდაიცვალა ფიცის დადებიდან ერთ თვეში), ეს შეიძლება მოხდეს მომავალში, თეთრი სახლის კედლებს მიღმა მისი მოღვაწეობის შედეგად.

ობამა ექსპრეზიდენტობისთვის საკმაოდ ახალგაზრდაა. როგორ გამოიყენეს ამ ფაქტორს ისე, რომ გავლენა იქონიოს მისი მოღვაწეობის შეფასებაზე, მასზეა დამოკიდებული, მაგრამ ვერავინ დაიჩემებს, რომ ეს შეფასება დადებითი იქნება.

**ობამას ნარცისიზმი და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნა გაუძნელებს სცენიდან წასვლის პროცესს.** მასმედია თავის ფავორიტს ყოველთვის მისცემს გამოსვლის საშუალებას. ყოფილ პრეზიდენტს, ხელმოცარულსაც კი, შეუძლია დადებითი წვლილის შეტანა ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც უნდა მივესალმოთ.

მაგრამ ობამას წარსული საქმიანობა გვაფიქრებინებს, რომ მომავალში მისგან უნდა ველოდოთ ამერიკელი საზოგადოების დაზარალებას ამა თუ იმ ფორმითა და საშუალებით, რადგან საეჭვოა, დაძლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნის ჩვევა.

La regle du jeu:

# ფრანსუა ფიიონი აღფრთოვანებულია ანტიდასავლელი ლიდერით

**გამოცემის აზრით, საფრანგეთში იზრდება პროპუტინული განწყობილება.**

**ფრანსუა ფიიონი** განასახიერებს გამობრძმედილ მემარჯვენეებს, რომლებიც წინააღმდეგნი არიან ჰომოსექსუალებისთვის თანაბარი უფლების მინიჭების, ძნელად ეთანხმებიან აბორტების ლეგალიზაციას, არ უყვართ ბიუროკრატია და სჯერათ რეიგან-ტეტჩერის ულტრალიბერალიზმის.

მაგრამ, ამასთანავე, სიმბოლური განსახიერებაა ახალი მემარჯვენეებისა, რომლებიც აფრთოვანებულნი არიან რუსეთის ანტიდასავლელი ლიდერით. მისი მონაწილეობით საფრანგეთში ძლიერდება პროპუტინული ინტერნაციონალიზმის სექცია, რომელშიც უკვე არის ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, როგორიც **მარი ლეპენია.** ამ ინტერნაციონალმა თავის რიგებში მიიღო სათნო, მეოჯახე პიროვნება, რომელიც გაცილებით ზრდილობიანია, ვიდრე ამერიკის მთავარი პუტინისტი **დონალდ ტრამპი.**

**სარკოზის** მთავრობის ყოფილი პრემიერმინისტრი მეორე ტურის პრაიმერიზის შედეგად მემარჯვენეთა კანდიდატია. და, თუ სიურპრიზი არ მოხდა, ორი მაძიებელი მემარჯვენეთა და ულტრამემარჯვენეთა მხრიდან, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის მეგობრები არიან, საუკეთესო პოზიციებს მოიპოვებენ პრეზიდენტის სავარძლის დასაკავებლად 2017 წელს გასამართი ბრძოლის ასპარეზზე.

იკვეთება ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის ფონი: **მსოფლიოში ძალას იკრებენ ძალები, რომლებიც მიისწრაფვიან იმ გეოგრაფიული ბაზის საფუძვლის აფეთქებისკენ, რომელშიც ფესვი აქვს გადგმული დემოკრატიულ პრინციპებს. ეს ბაზაა თანამედროვე დასავლური სამყარო, რომელიც ჩამოყალიბდა ფაშიზმის განადგურების, 1960-იანი წლების მოძრაობისა და ბერლინის კედლის დანგრევის შედეგად.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტიტოტალიტარულ მიღწევებს საშიშროება ემუქრება იმ ქვეყნებში, რომლებიც ერთ დროს მათი ერთადერთი გარანტი იყო. **მოლდოვამ და ბულგარეთმა უკვე აირჩიეს სახელმწიფოთა პროპუტინული მეთაურები, ხოლო „ბრექსიტის“ შემდეგ ხანძარი მთელ ევროპულ სახლს მოედო.**

ფრანსუა ფიიონი გახლავთ მიუღებელი კანდიდატი პუტინთან დაახლოების მისწრაფების გამო. მემარცხენეებმა უნდა წამოაყენონ კანდიდატი, რომელიც შეძლებს, შეაჩეროს დემოკრატიული ევროპის დამანგრეველი ჯოჯოხეთური მანქანა.

«რია ნოვოსტი»:

# «პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ!»



**თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიპ ერდოღანის განცხადება, რომ მზადდება ბაშარ ასადის დამხობა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინკოგნიტო წყაროს განცხადებით, არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ეს თქვა მან რუს ჟურნალისტებთან საუბრისას. მან, აგრეთვე, გამოთქვა იმედი, რომ „გაუგებრობები“ თურქეთსა და რუსეთს შორის მალე დაიძლევა და დაამატა, აღნიშნულ განცხადებაზე ოფიციალური კომენტარის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ თურქეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს.**

Ruposters-ის ცნობით, თურქეთს სირიის ტერიტორიაზე შეჰყავს ჯარები, რათა „ბოლო მოუღოს დაუნდობელი ტირანის — ასადის ბატონობას“. თურქეთის ლიდერმა თავის სირიელ კოლეგას ბრალი დასდო „სახელმწიფო ტერორის“ განხორციელებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უარი თქვეს კომენტარზე და მიუთითეს, რომ გამორიცხული არ არის, საქმე გვქონდეს ჟურნალისტების შეცდომასთან, თანაც ამ საკითხზე ანკარას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა** აღნიშნა, რომ თურქეთის პრეზიდენტის ეს განცხადება სრულიად მოულოდნელი იყო.

«დოიჩე ველე»:

# გერმანიის კონტრდაზვერვის თანამშრომელი ტერორისტი აღმოჩნდა

**ბანკის ყოფილი თანამშრომელი გერმანიის სპეცსამსახურის რიგებში 2016 წლის აპრილში მიიღეს. რამდენიმე წლის წინათ ისლამი რომ აღიარა, მისმა ოჯახმაც არ იცოდა. თანამშრომელი, რომელსაც ევალებოდა რადიკალური ისლამისტების თვალთვალი, აფრთხილებდა ერთმორწმუნეებს მოსალოდნელი შემოწმების თაობაზე და მათ საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა.**

მთავარი ბრალდება, რომელიც კონტრდაზვერვის თანამშრომელს წაუყენეს, ტერაქტია, რომლის მოწყობასაც თავის უწყებაში აპირებდა. ჟურნალისტები წერენ, რომ მან ვერ მოასწრო რაიმე ნაბიჯის გადადგმა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მას აქტიური მიმოწერა ჰქონდა ექსტრემისტულ ფორუმებზე (ფსევდონიმით) და აცხადებდა, რომ „ურწმუნოებზე“ ასეთი შეტევა ალაჰის ნებით განხორციელდება.




გერმანული კონტრდაზვერვის წარმომადგენელმა მასმედიას აცნობა, რომ სწავლების პერიოდში და სპეცსამსახურში ყოფნის მცირე ხნის განმავლობაში ახალგაზრდა მამაკაცი ნორმალურად იქცეოდა. ოთხი შვილის მამას ოთხი კვირის განმავლობაში უთვალთვალებდნენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საარჩევნო კამპანიისას ტრამპმა არა მხოლოდ „მოძველებული“ უწოდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, არამედ მოუწოდა, გადაეხედათ, რამდენად სასარგებლოა ნატო ამერიკის ინტერესებისთვის. იგი მხოლოდ სანახევროდაა მართალი: ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ გაერთიანებიდან და დაე, ამ ქვეყნებმა თავად დაიცვან საკუთარი თავი. ნატო არამხოლოდ ძვირი გვიჯდება, არამედ უამრავ პრობლემას გვიჩენს, რომლებმაც შეიძლება რუსეთთან სამხედრო კონფლიქტამდე მიგვიყვანოს.**



Antiwar.com:

# ჩერნოგორია, როგორც ნატოს უსარგებლობის ნიმუში

**რატომ იღებს პასუხისმგებლობას აშშ — დაიცვას შორეული და ციცქნა ბალკანური ქვეყანა?**

ნატოს ალიანსში ჩერნოგორიის მიწვევა ხაზს უსვამს ცივი ომის ამ არქაული რელიკვიის აბსურდულობას და საფრთხეს, რომელიც მას აშშ-ისთვის მოაქვს.

**ერთი შეხედვით, ჩერნოგორია ნამდვილ ქვეყანას ჰგავს; ფართობით თითქმის 14 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 600 ათასზე მეტი, არმია 2000 ჯარისკაცსა და მეზღვაურს ითვლის.**

XIX საუკუნის შუა ხანებში ეს ტერიტორია გაყოფილი იყო ორ მტრულ კლანს შორის, რომლებსაც აერთიანებდა ოსმანთა იმპერიისადმი დაპირისპირება. საზღვრების არასტაბილურობამ და კონფლიქტებისადმი მიდრეკილებამ ბალკანეთში შვა ტერმინი „ბალკანიზაცია“, რომელიც არასტაბილურობის სიმბოლოდ იქცა.

მას შემდეგ, რაც აშშ-მა კოსოვოში ომის მიმდინარეობისას სერბეთი დაბომბა, დემოგრაფია კოსოვოში შეიცვალა და დღეს ქვეყნის მოსახლეობა ორადაა განაწილებული — სერბებად და სხვა ეროვნების ადამიანებად. ზუსტად ასევე პოლარიზებულია ქვეყნის პოლიტიკაც: პრორუსულ სერბულ ოპოზიციურ პარტიებად და პროევროპულ, პრონატოურ პარტიებად, რომლებიც პრაქტიკულად ერთნაირი ძალებისაა, თუმცა მთავრობაზე არამდგრადი კონტროლი აქვს.

**ჩერნოგორია დღეს ეთნიკური და ნაციონალისტური დაძაბულობის ქვაბს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სამოქალაქო ომში ან ნებისმიერ მეზობელთან სასაზღვრო კონფლიქტში გადაიზარდოს. ნატოს დებულებაში ჩაწერილია დახმარების გაწევა ნებისმიერი მონაწილე ქვეყნისთვის, რომელსაც კონფლიქტი ან აგრესია დაემუქრება. ამჟამად ჩერნოგორიას ტერიტორიული დავა აქვს კოსოვოსთან, ხორვატიასა და ბოსნიასთან. ამასთანავე, ალბანეთის ნაციონალისტურ მოძრაობებს პრეტენზია აქვს ჩერნოგორიის სამხრეთ რაიონებზე, რადგან მათ „დიადი ალბანეთის“ ნაწილად მიიჩნევენ. შეუძლებელია, არ ვახსენოთ კონფლიქტებით აწრიალებულ ქვეყანაში პანსლავური ნაციონალისტების არსებობაც, რომლებსაც სერბეთთან შეერთება სურთ და ორიენტირებულები არიან რუსეთზე.**

სხვა სიტყვებით, ჩერნოგორია არის დაყოვნებული მოქმედების ბომბი, რომელიც სადაცაა აფეთქდება. ნატოს წევრობა აშშ-ის ჩარევას მოითხოვს იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელ კონფლიქტთაგან ერთ-ერთი იფეთქებს და ძალადობაში გადაიზრდება. პრორუსულ და ანტირუსულ ფრაქციებად დაყოფილი ჩერნოგორია იდეალური ადგილია, ერთი მხრივ, აშშ-სა და ნატოს, ხოლო მეორე მხრივ, ვლადიმირ პუტინს შორის უფრო ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დასაწყებად.

ნუთუ მართლა გვსურს, მივცეთ მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფუძველი ბირთვული იარაღის მქონე რუსეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩავრთოთ ჩერნოგორიის ციცქნა არმია ნატოს შემადგენლობაში? გონიერ მსოფლიოს მხოლოდ უარყოფითი პასუხი ექნება, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელიც „მსოფლიო წესრიგთან“ დაკავშირებული ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტის შექმნილია, და აგრძელებს თავისი უსაფუძვლო იმპერიის საზღვრების გაფართოებას.

რეალობა ასეთია: ჩვენ ვხარჯავთ მილიარდობით დოლარს ნატოს ხარჯების დასაფარავად მაშინ, როცა ჩვენი უსუსური „მოკავშირეები“ უარს ამბობენ თავიანთი სამართლიანი წილის შეტანაზე. რატომ უნდა დავიხარჯოთ მათ ნაცვლად? იმისთვის ხომ არა, რომ „დავიცვათ“ ისინი საშიშროებისგან, რომელიც გაქრა (თუ ოდესმე არსებობდა) ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ?

საარჩევნო კამპანიისას ტრამპმა არა მხოლოდ „მოძველებული“ უწოდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, არამედ მოუწოდა, გადაეხედათ, რამდენად სასარგებლოა ნატო ამერიკის ინტერესებისთვის. იგი მხოლოდ სანახევროდაა მართალი: ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ გაერთიანებიდან და დაე, ამ ქვეყნებმა თავად დაიცვან საკუთარი თავი. ნატო არამხოლოდ ძვირი გვიჯდება, არამედ უამრავ პრობლემას გვიჩენს, რომლებმაც შეიძლება რუსეთთან საომარ კონფლიქტამდე მიგვიყვანოს.



The Wall Street Journal:

# ანგელა მერკელის კრიზისი

**გამოცემა ჩამოთვლის ოთხ მკაცრ გამოცდას, რომლებიც ელოდება შესაძლო მეოთხე ვადით არჩეულ გერმანიის მოქმედ კანცლერს — ანგელა მერკელს.**

ქალბატონ **მერკელს** გადაწყვეტილი აქვს, მეოთხედაც იბრძოლოს კანცლერობისთვის. თუ გაისად გაიმარჯვებს, რაც მოსალოდნელია, გაიმეორებს რეკორდს, რომელიც დაამყარა **ჰელმუტ კოლმა.** ის კანცლერის თანამდებობაზე ყველაზე დიდხანს იყო.

ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრება იშვიათად არის უხინჯო. უკან დარჩა ის დღეები, როცა მერკელს ევროპის „დედოფალსა“ და „იმპერატრიცას“ უწოდებდნენ. მას ლეგენდარულმა წინასწარგანჭვრეტამ უღალატა და უამრავმა ლტოლვილმა ახლო აღმოსავლეთიდან წალეკა გერმანია.

**ევროპის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, გერმანია სამოთხედ არის მიჩნეული, ლიბერალურ სახელმწიფოდ ეკონომიკაში სრული დასაქმებით. ბერლინი დღეს მთავარ ძალად წარმოგვიდგება, რომელიც დუმს, რადგან დიდი ბრიტანეთი უკვე გასასვლელისკენ გაემართა, საფრანგეთი სტაგნაციაში გაიყინა, იტალია კი სულს ღაფავს მმართველობითი ქაოსის მორევში.**

**პირველი შტორმი,** რომელიც მერკელს ემუქრება, „ბრექსიტია“. დიდი ბრიტანეთი ემშვიდობება ევროკავშირს ყველაზე უფრო მკაცრი სცენარით. სეცესია გაჩერებაზე უფრო მეტს ნიშნავს. ერთი ნაბიჯის უკან გადადგმით ბერლინი გაბედნიერდება, რადგან აღკვეთს ბრიტანული სენის შემდგომ გავრცელებას.

**მეორე შტორმი** შენგენის დასრულებაა, პორტუგალიიდან პოლონეთში უპასპორტო მოგზაურობისა. შარშან, როცა ლტოლვილები ევროპისკენ დაიძრნენ, მერკელი ემუდარებოდა ევროკავშირის დედაქალაქებს, გაენაწილებინათ ეს ტვირთი, მაგრამ მათ გადაკეტეს თავიანთი საზღვრები. ეროვნულმა ეგოიზმმა კოლექტიური სოლიდარობა დაჯაბნა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, დასრულება კიდევ ერთი ოცნება.

**მესამე პრობლემა** დაკავშირებულია ევროსთან. შენგენის მსგავსად, ერთიანი ვალუტა დაუძლეველი საქმე აღმოჩნდა. გერმანიის გარდა, დანარჩენი ევროპა უარს ამბობს, აღადგინოს კონკურენტუნარიანობა და თავისი ანგარებიანი მიზნების ერთგული რჩება. საბერძნეთისთვის დახმარების გაწევა იოლია, მაგრამ, თუ რომი დაეცემა, ევროც გარდაიცვლება.

**მეოთხე გამოწვევა ტრამპის** ამერიკაა. არჩეული პრეზიდენტი დაემუქრა ევროპას, რომ ბოლოს მოუღებს ლიბერალურ წესრიგს, რომელსაც აშშ 70 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა. იგი თავისუფალი ვაჭრობის ნაცვლად პროტექციონიზმს დაჰპირდა და თავის მოკავშირეებს განუცხადა: გადაიხადეთ, ან უარს ვიტყვით თქვენზე. ტრამპს სურს, ლოიალური იყოს პუტინთან და „გარიგების ხელოვნების“ თავისი უნარი გამოიყენოს ჩინელებთან ურთიერთობაში. თუ იგი შეძლებს აშშ-თან სამთა კავშირში გააერთიანოს ეს ორი გლობალური რევიზიონისტული გიგანტი, ევროპა მეორე პლანზე გადაიწევს.

ეს ოთხივე შტორმი ერთდროულად თავს დაატყდება მერკელს. მან უნდა გამოიყენოს მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება წარმატების მისაღწევად, რათა განამტკიცოს კოალიცია. მან უნდა მოახერხოს საფრანგეთის პრეზიდენტად ფრანსუა ოლანდის, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრად კი ტერეზა მეის არჩევა. გერმანია ყოველთვის იყო ძლიერი, მაგრამ არასოდეს ჰქონდა საკმარისი ძალა მარტო მოქმედებისა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ამერიკის გარეშე მოსკოვის გეოპოლიტიკური ოცნება იყო იოსებ სტალინიდან მოყოლებული.

Lenta ru:

# მედია იტყობინება, რომ იაცენიუკმა მაიამიში ორი ათეული ვილა იყიდა

**ინფორმაცია, რომ უკრაინის ყოფილმა პრემიერმინისტრმა ოც ვილაზე მეტი იყიდა ფლორიდის შტატში, უკრაინის მედიამ გაავრცელა.**

ამას ადასტურებს უკრაინელი ბლოგერი **ოლეგ ტორგალი**, რომელმაც ეს ფაქტი შეიტყო უძრავი ქონების გაყიდვის ბიზნესით დაკავებული მეგობრისგან. ბლოგერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინფორმაცია უტყუარია და იგი აპირებს ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას ყველა დეტალის წარმოსაჩენად.



# უცნობმა 1,6 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო ინკასატორის მანქანიდან ამოიღო

**ეს ქურდობა ჩაიდინა უცნობმა პირმა, რომელმაც ინკასატორის ღია მანქანიდან ოქროს ნახერხით სავსე ვედრო ამოიღო. ნაქურდალი 1,6 მილიონ დოლარს აჭარბებს.** ეს უნიკალური „ექსპროპრიაცია“ ნიუ იორკში მოხდა, — იუწყება სი-ენ-ენი. ვიდეოჩანაწერზე, რომელიც ქალაქის პოლიციის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა, ჩანს, რომ მამაკაცი, რომელიც აპირებდა მანქანისთვის გვერდი ჩაევლო, მოულოდნელად შეჩერდა, მანქანის კარში შეჰყო ხელი და გამოიტანა ვედრო. მამაკაცი ლათინოამერიკული წარმოშობისაა და 50-60 წლისა თუ იქნება.





გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბირთვული სიმძლავრის კონკურსში საფრანგეთი კვარცხლბეკის მესამე ადგილს იკავებს. ამ ქვეყანას 300 ბირთვული ქობინი აქვს, რაც უმნიშვნელო რაოდენობაა რუსეთისა (7300) და აშშ-ის (6970) ბირთვულ არსენალთან შედარებით. სულ კი ატომური ბომბების რაოდენობა მსოფლიოში 15 600-ს შეადგენს და, ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში, კაცობრიობა აღიგვება პირისაგან მიწისა.**

# ვის აქვს ყველაზე მძლავრი ატომური ბომბი



**ამერიკელების მიერ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ, კაცობრიობას ატომური იარაღი აღარ გამოუყენებია, მაგრამ XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ბირთვული არსენალი განუხრელად იზრდებოდა, მასობრივი განადგურების იარაღს კი გამუდმებით სრულყოფდნენ.**

ბირთვული სიმძლავრის კონკურსში **საფრანგეთი** კვარცხლბეკის მესამე ადგილს იკავებს. ამ ქვეყანას 300 ბირთვული ქობინი აქვს, რაც უმნიშვნელო რაოდენობაა **რუსეთისა** (7300) და **აშშ-ის** (6970) ბირთვულ არსენალთან შედარებით. სულ კი **ატომური ბომბების რაოდენობა მსოფლიოში 15 600-ს შეადგენს და, ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში, კაცობრიობა აღიგვება პირისაგან მიწისა.**

გამოცემა Ireness.net-ის მონაცემებით, ეს ბომბები განაწილებულია 9 ქვეყანაზე: ზემოაღნიშნული სამი სახელმწიფოს გარდა, ბირთვული იარაღი აქვს **ჩინეთს** (260), **დიდ ბრიტანეთს** (215), **პაკისტანს** (125), **ინდოეთს** (115), **ისრაელს** (60-დან 400-მდე) და **ჩრდილოეთ კორეას** (სულ ცოტა, 10 ბირთვული ქობინი). ამ ბირთვული სიმძლავრით კაცობრიობას შეუძლია რამდენიმეჯერ გაანადგუროს ჩვენი პლანეტა.

1945 წლიდან დღემდე ატომური ბომბის მქონე სახელმწიფოებმა **2475** გამოცდა ჩაატარეს, მათი უდიდესი ნაწილი რუსეთსა და აშშ-ზე მოდის. სპეციალისტები მიუთითებენ: თუ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ბომბების (შესაბამისად, 15 და 21 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტის) აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა „სოკოებმა" მიაღწიეს 6 და 7 ათას მეტრის სიმაღლეს, დღეს ამერიკის ბირთვულ არსენალში არსებული ბომბის — **B-83**-ის (რომლის სიმძლავრეც 80-ჯერ მეტია) აფეთქების შედეგად წარმოიქმნება 20-კილომეტრიანი სოკო, რომელიც 7-8-ჯერ აღემატება ავიალაინერების ფრენის სიმაღლეს — გაივლის ტროპოსფეროს და მიაღწევს სტრატოსფეროს, რომელიც 16 კმ-ით არის დაშორებული დედამიწის ზედაპირს.

ეს კიდევ არაფერია ამერიკულ ყველაზე მძლავრ წყალბადის ბომბ Castle Bravo-სთან შედარებით, რომლის გამოცდაზეც უარი თქვეს. სპეციალისტების აზრით, ეს ბომბი (15 მეგატონა) 1000-ჯერ მძლავრი იქნებოდა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ბომბებზე.

მაგრამ ეს არ არის ზღვარი...

## მეფე-ბომბი – ყველაზე მძლავრი აფეთქება ისტორიაში

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძლავრი აფეთქება საბჭოთა კავშირმა 1961 წელს განახორციელა. მეფე-ბომბი გამოსცადეს არქიპელაგ ახალ მიწაზე. 50-მეგატონიანი ბომბის (ჰიროსიმაში ჩამოგდებულ ბომბზე 3300-ჯერ მძლავრი) აფეთქება ისეთი მძლავრი იყო, რომ 1000 კმ-ით დაშორებულ ნორვეგიასა და ფინეთში სახლების ფანჯრების მინები აზანზარდა, ხოლო თვითმფრინავმა, რომელმაც ბომბი ჩამოაგდო, კინაღამ კატასტროფა განიცადა. აფეთქებისგან წარმოქმნილი „სოკოს" სიმაღლემ კი 40 კმ-ს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ეს შეზღუდული გამოცდა იყო — საბჭოთა მეცნიერებს შეეძლოთ 2-ჯერ მეტი სიმძლავრის ბომბის (100 მეგატონა) დამზადება, რომლის „სოკოც" 50 კმ-ზე აღიმართებოდა.





# სირიის არმიამ ხელში ჩაიგდო «ბოევიკების» 7 ტანკი და 11 ქვეითთა საბრძოლო მანქანა

**ქალაქ ხან-ეშ-შიხიდან (პროვინცია იდლიბი) „ბოევიკების" გაძევების შემდეგ სირიის არმიამ კონტროლი დაამყარა რეგიონ დასავლეთ გუტაზე და ახლა სირიის არმიის 1-ელ, მე-4 და მე-7 დივიზიებს ფრონტის სხვა უბანზე გადასვლა შეუძლიათ.**

„ბოევიკები" და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც ალყაში ჰყავდა მოქცეული სირიის სამთავრობო ჯარებს, მოლაპარაკებების თანახმად, ავტობუსებით გაიყვანეს ქალაქ იდლიბში. ამასთანავე, „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა სირიის სამთავრობო ჯარებს მსხვილკალიბრიანი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა ჩააბარეს, გზებზე ჩალაგებული ასაფეთქებელი მოწყობილობები კი გააუვნებლეს.

„ბოევიკებმა" სირიის ჯარს სულ ჩააბარეს 300 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, 7 ტანკი, 11 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 60 საზენიტო დანადგარი, აგრეთვე, გვირაბებისა და დანაღმული ველების რუკები.

# თურქეთის არმია დიდ დანაკარგებს განიცდის ალეპოში

**პროვინცია ალეპოს ჩრდილოეთში თურქების ოპერაცია „ევფრატის ფარი" მძიმედ მიმდინარეობს. თურქეთის ჯარი და პროთურქულად განწყობილი „ბოევიკები" დიდ დანაკარგებს განიცდიან ტერორისტებისგან და ქურთებისგან.**

თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ 1 დეკემბერს განაცხადა, რომ ქალაქ ალ-ბამთან ბრძოლისას „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა ტყვედ აიყვანეს 2 თურქი სამხედრო. მანამდე კი ტერორისტებმა გამოაქვეყნეს კიდევ ერთი თურქული ტანკის განადგურების ამსახველი კადრები.

ოფიციალური მონაცემებით, ოპერაცია „ევფრატის ფარის" დაწყების დღიდან თურქეთის არმიას 17 ჯარისკაცი მოუკლეს, 2 ტყვედ აიყვანეს, გაუნადგურეს 30 ერთეული ჯავშნიანი ტექნიკა.

# კანადამ უარი თქვა ამერიკულ F-35-ზე

**თავდაცვის სამინისტრო არ შეიძენს მეხუთე თაობის ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებს F-35 Lighting II-ებს. 65 გამანადგურებელ-ბომბდამშენის ნაცვლად კანადის სამხედრო-საჰაერო ძალები სხვა საჰაერო აპარატებს იყიდის, — იუწყება პორტალი Flightglobal-ი.**



„კანადა ოფიციალურად ამბობს უარს F-35-ის შესყიდვაზე. ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის თვითმფრინავების მიწოდებაზე კონკურსი 2017 წელს გამოცხადდება", — განაცხადა კანადის თავდაცვის მინისტრმა ჰარდჯიტ საჯანმა.

რადგან მიმწოდებლის არჩევისა და ახალი ტექნიკის პროცედურა შეიძლება 5 წელს გაგრძელდეს, ხოლო კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები 2020 წელს უნდა ჩამოიწეროს, სამხედრო უწყება ავიატექნიკის დეფიციტის შესავსებად გეგმავს, სასწრაფოდ იყიდოს 18 თვითმფრინავი Boeung F/A Super Horner-ი.

კანადის ლიბერალურმა პარტიამ წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანა მუხლი, რომლის მიხედვითაც უნდა შეჩერებულიყო F-35-ის შესყიდვა. ამ თვითმფრინავის შესყიდვის წინააღმდეგ გამოვიდა კანადის პრემიერმინისტრი **ჯასტინ ტრიუდო**, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს ამერიკული გამანადგურებელ-ბომბდამშენები მზად არ არის საბრძოლველად".

**უახლესმა მაღალტექნოლოგიურმა ამერიკულმა F-35-მა სახელი გაითქვა გამაოგნებელი ფასითა (დაახლოებით 108,1 მლნ დოლარი) და ხარვეზებით. თვითმფრინავს აქვს ძრავის, პილოტის სავარძლისა და პროგრამული უზრუნველყოფის სერიოზული პრობლემები, პროექტი, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო კონსორციუმის ფულით, 55,1 მლრდ დოლარი ჯდება.**

# ამერიკელ შერიფებს რუსული პისტოლეტებით შეაიარაღებენ

**არიზონას (აშშ) შტატის შერიფებისთვის რუსი კონსტრუქტორების მიერ დამზადებული პისტოლეტ „ოსას" პარტია შეისყიდეს, პირველი პარტია — 60 პისტოლეტი ათასი პატრონით.**

ეს უახლეს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის ძალოვანმა სტრუქტურამ ოფიციალურად შეისყიდა რუსული არალეტალური იარაღი, რომელიც გამოიყენება არა მოწინააღმდეგის მოსაკლავად, არამედ მის გასანეიტრალებლად. ე.წ. ჰუმანური პისტოლეტი, უწინარესად, შემაკავებელი და ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის არის განკუთვნილი.

„გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, „ოსამ" ამერიკელი პოლიციელების მაღალი შეფასება დაიმსახურა, ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ პისტოლეტის სხვა შტატების პოლიციელებისთვის შესაძენად", — განაცხადა კონცერნ „ტეხმაშის" დირექტორმა **სერგეი რუსაკოვმა.**



პისტოლეტი „ოსა" გამოირჩევა იმით, რომ აქვს „ჭკვიანი" ელექტრონული სასროლი მექანიზმი — სპეციალური „ჩიპი", რომელიც ამარტივებს სროლის პროცესს და საიმედოს ხდის იარაღს, რომელიც შეიძლება გაიჭედოს დაგროვილი ჭუჭყისა და ცუდი ვაზნების გამო.

თუ მსროლელს ვაზნის გამო იარაღმა უმტყუნა, სპეციალური მოწყობილობა ავტომატურად მოძებნის გამართულ ვაზნას და გაისვრის, ანუ საჭირო აღარ იქნება პისტოლეტის „გადატენა".

გასროლის ორიგინალური მექანიზმი, აგრეთვე, უზრუნველყოფს იარაღის უსაფრთხოებას: იქამდე, ვიდრე ჩახმახზე თითი დაჭერილი არ არის, ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედებით იარაღი არ გაისვრის.

აღსანიშნავია, რომ ამ მრავალფუნქციურ არალეგალურ იარაღს, რომელიც განკუთვნილია აქტიური თავდაცვისთვის, სიგნალის მისაცემად და ადგილის გასანათებლად, რუსეთის გარდა, კიდევ 11 ქვეყნის სამართალდამცველები იყენებენ, მათ შორის, ისრაელის, გერმანიის, შვეიცარიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, აშშ-ისა და სხვ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**21 წლის გოგონა კეტრინ სტოუნი ბორდელ „რანჩო კიტ კეტში“ ამა წლის მაისიდან ცხოვრობს, სწავლობს თავისი პროფესიის ანაბანას და კლიენტებს ართობს, ოღონდ სექსის გარეშე. მან თავისი ქალწულობა გასაყიდად გამოიტანა — სთავაზობს მას, ვინც მეტ თანხას გადაიხდის. ეს გადაწყვეტილება სტოუნმა, რომელიც იურისტობაზე ოცნებობს, იმიტომ მიიღო, რომ სურს, თავის ოჯახს დაეხმაროს — 2014 წლის დეკემბერში სიეტლში მისი მშობლების სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, ოჯახმა ყველაფერი დაკარგა.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## გოგონამ ქალწულობა აუქციონზე გაიტანა გასაყიდად

**20 ქალიდან, რომლებიც ნევადაში (აშშ) ლეგალურად მოქმედ ბორდელ „რანჩო კიტ კეტში“ მუშაობენ, კეტრინ სტოუნი ერთადერთი ქალწულია.**




21 წლის გოგონა **კეტრინ სტოუნი** ბორდელ „რანჩო კიტ კეტში“ ამა წლის მაისიდან ცხოვრობს, სწავლობს თავისი პროფესიის ანაბანას და კლიენტებს ართობს, ოღონდ სექსის გარეშე. მან თავისი ქალწულობა გასაყიდად გამოიტანა — სთავაზობს მას, ვინც მეტ თანხას გადაიხდის. ეს გადაწყვეტილება სტოუნმა, რომელიც იურისტობაზე ოცნებობს, იმიტომ მიიღო, რომ სურს, თავის ოჯახს დაეხმაროს — 2014 წლის დეკემბერში სიეტლში მისი მშობლების სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, ოჯახმა ყველაფერი დაკარგა, მაგრამ ყველაზე საშინელი იყო ის, რომ სახლი დაზღვეული არ ჰქონიათ.

„რაღაც პერიოდის განმავლობაში მშობლები დამწვარ სახლში ცხოვრობდნენ, — განუცხადა კეტრინმა „ვაშინგტონ პოსტს“ სატელეფონო ინტერვიუში, — მომხდარის შემდეგ ძალიან ძნელი იყო ფეხზე წამოდგომა“.

კეტრინმა შარშან ზაფხულში შეიტყო ისტორია **ნატალი დილანისა**, რომელმაც ქალწულობა 2008 წელს აუქციონზე გაიტანა გასაყიდად, რათა კოლეჯში სწავლის საფასური გადაეხადა. დილანს ონლაინაუქციონის მოწყობაში ნევადელი „ბიზნესმენი“, ბორდელების ქსელის მფლობელი **დენის ჰოფი** დაეხმარა. კეტრინ სტოუნმაც დახმარებისთვის დენის ჰოფს მიმართა. გოგონამ თავისი ისტორია „სი-ენ-ენის“ ჟურნალისტ ლიზა ლინგს მოუყვა გადაცემაში „ასეთია ცხოვრება“ (This IS Life). **„სოციალურ ქსელში განცხადება ვნახე ბორდელების შესახებ. ფული მჭირდებოდა და ამან მაიძულა, მეფიქრა: ვაუ, ეს ხომ შანსია, მოვიწყო ყველაფერი ისე, როგორც მჭირდება“,** — უთხრა სტოუნმა ლიზა ლინგს.

ნევადა — ეს არის აშშ-ის ერთადერთი შტატი, რომელშიც პროსტიტუცია ლეგალიზებულია. ამ შტატში 18 ლეგალური ბორდელია.

დენის ჰოფი ამბობს, რომ კეტრინ სტოუნი თავდაპირველად რესტორანში მუშაობდა, შემდეგ კი სთხოვა კლიენტებისთვის მასაჟისა და „რაღაცების“ გაკეთება. თუ არ ჩავთვლით კეტრინ სტოუნის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას აუქციონზე ქალწულობის გაყიდვის თაობაზე, სტოუნი ამჟამად დაკავებულია კლიენტების გართობით. ის შემოსავლის 50 პროცენტს იღებს, 50 პროცენტი კი ჰოფს რჩება. სტოუნის თქმით, მისმა კლიენტებმა იციან, რომ ის ქალწულია.

რაც შეეხება შემოთავაზებას, კეტრინს აქვს სამი სერიოზული წინადადება. ყველაზე მეტ თანხას — 400 ათას დოლარს ერთ-ერთი კლიენტი სთავაზობს, მაგრამ ეს „მხოლოდ დასაწყისია და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჯერ ადრეა“.


რიკი მარტინი და მისი ქმარი ჯვან იოსეფი

## რიკი მარტინი გათხოვდა

**პუერტო-რიკოელი მომღერალი და მსახიობი რიკი მარტინი (ენრიკე მარტინ მორალესი) უკვე 6 წელიწადია, არ მალავს თავის სექსუალურ ორიენტაციას და საზოგადოებაში ახალ-ახალ ბოიფრენდებთან ერთად ჩნდება. ახლახან კი ერთ-ერთ ტელეშოუში განაცხადა, რომ ქორწინდება მამაკაცზე. 44 წლის რიკი მარტინის ე.წ. პარტნიორია ჯვან იოსეფი, 33 წლის ლონდონელი მხატვარი, რომელიც სირიაში დაიბადა და შვედეთში გაიზარდა.**

„მე მომწონს, როგორც ქალები, ასევე, მამაკაცები. მე



გეი ვარ, აღტაცებული ვარ მამაკაცებით, მაგრამ მინდა დავტკბე სექსუალური თავისუფლებით. თუ გამიჩნდება სურვილი ქალის მიმართ, მექნება მასთან სექსი“, — განაცხადა რიკი მარტინმა წლის დასაწყისში, ახლახან კი მამაკაცზე დაქორწინება გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ რიკი მარტინს სუროგატი დედისგან 2 შვილი ჰყავს, 8 წლის ტყუპი — ვალენტინო და მატეო. ახლა მათ „დედიკო“ მარტინი და „მამიკო“ ჯვანი გაზრდიან.

## ტაივანელები ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზების წინააღმდეგ გამოვიდნენ

**ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიში რამდენიმე დღის წინათ ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში საპროტესტო აქციაზე. ტაივანის მცხოვრებლებმა გააპროტესტეს ხელისუფლების განზრახვა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზების შესახებ.**




საპროტესტო აქცია გაიმართა პარლამენტის შენობასთან, სადაც მიმდინარეობდა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზების კანონპროექტის განხილვა. აქციის მონაწილეებმა, რომლებსაც შეუერთდნენ კუნძულ ტაივანის სამხრეთიდან ჩამოსული ქრისტიანული ალიანსის წევრები, ხელისუფლებას აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება მოსთხოვეს.

თუ კანონს მიიღებენ, ტაივანი აზიის რეგიონში პირველი სახელმწიფო იქნება, რომელშიც ჰომოსექსუალებს ერთმანეთზე დაქორწინება კანონიერად შეეძლებათ.

## კანადაში «მესამე სქესი» დააკანონეს

**კანადის ხელისუფლებამ ნება დართო მსურველებს, საიმიგრაციო დოკუმენტებში მიუთითონ „მესამე სქესი“. ცვლილება შეეხო ელექტრონულ სისტემას (ETA), რომლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაც აუცილებელია კანადაში ჩასვლის მსურველთათვის.**



ახალი დოკუმენტის მიხედვით, გრაფაში „სქესი“, „მამრობითისა“ და „მდედრობითის“ გარდა, მითითებულია კიდევ ერთი ვარიანტი — „სხვა“. ასე გადაწყვიტა კანადამ პრობლემა იმ პირებისა, რომლებიც პასპორტის მიხედვით „მესამე სქესს“ მიეკუთვნებიან. აქამდე ასეთ პირებს პრობლემები ჰქონდათ ქვეყანაში შესვლაზე, რადგან ავტომატიზებული სისტემა მათ განაცხადს ბლოკავდა. ამჟამად მსოფლიოს 7 ქვეყანა (ავსტრალია, ბანგლადეში, გერმანია, ინდოეთი, ნეპალი, ახალი ზელანდია და პაკისტანი) აძლევს თავის მოქალაქეებს უფლებას, პასპორტში მიუთითონ სქესი, რომელიც განსხვავებულია მამრობითისა და მდედრობითისგან.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1950 წელს კორეის ომის შემდეგ, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის, აშშ-ის არმია ცდილობდა, შეემცირებინა კომუნიზმის გავლენა ჩრდილოეთ კორეაში, მაგრამ ვერ შეძლო. ამას გარდა, ცსს-ს მცდელობა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დივერსიული ოპერაციების განხორციელებასა და საიდუმლო არმიების შექმნაზე კონტროლი დაემყარებინა, ასევე კრახით დასრულდა.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-44 (366-373)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

„ბი-ბი-სის“ ჟურნალისტმა **პიტერ მარშალმა** ინტერვიუ ჩამოართვა გენერალ **ჯერარდო სერავალეს**, რომელიც 1971-1974 წლებში მეთაურობდა იტალიური „გლადიოს“ ქვედანაყოფს და პირდაპირ ჰკითხა ბრიტანელების როლის შესახებ საიდუმლო არმიების ფორმირების საქმეში. იტალიელმა გენერალმა დაუდასტურა, რომ დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ინტენსიური იყო: „მე მოვიწვიე ისინი (ბრიტანელები), რადგან მანამდე ჩვენ უკვე ვიყავით ინგლისში მათ ბაზებზე, რომლებსაც ბრიტანელების საიდუმლო არმიები იყენებდნენ, და შევთავაზე, საპასუხო ვიზიტით ჩამოსულიყვნენ ჩვენთან“.

ჟურნალისტმა ჰკითხა რესპონდენტს: „სად არის განლაგებული ბრიტანეთის საიდუმლო ქვედანაყოფების ბაზა?“ პასუხად გენერალმა სერავალემ გაიცინა და უპასუხა: „ბოდიშს გიხდით, მაგრამ ვერ გეტყვით, სად არის ბაზები, რადგან ეს თქვენივე ქვეყნის საიდუმლო ინფორმაციის ზონაში შედის“. მარშალმა, გარანტირებული პასუხი რომ მიეღო, შემდეგი შეკითხვა დაუსვა: „ბრიტანელებმა შთაბეჭდილება თუ მოახდინეს თქვენზე?“ შერავალემ უპასუხა: „დიახ, მოახდინეს. იმიტომ, რომ ყველაფერი ძალიან ეფექტიანი იყო, კარგად ორგანიზებული და პერსონალიც — შესანიშნავი“.

ერთი წლის შემდეგ „ბი-ბი-სიმ“ კვლავ წამოწია „გლადიოს“ საკითხი და აჩვენა **ალან ფრანკოვიჩის** სამი შესანიშნავი ფილმი „გლადიოს“ შესახებ. ცოტა ვინმეს თუ ჰქონდა მწვავე დოკუმენტური ფილმების შექმნის ისეთი უდიდესი გამოცდილება, როგორიც რეჟისორ ფრანკოვიჩს, რომელმაც 1980 წელს თავისი ფილმით „ცსს-ს შიგნით“ აჩვენა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბნელი მხარე. ბერლინის კინოფესტივალზე ფრანკოვიჩმა მიიღო ჟიურის სპეციალური პრემია საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის.

შემდეგ ფრანკოვიჩმა დაიწყო „გლადიოს“ საკითხის შესწავლა და ფილმით „მალტის ორმაგი ჯვარი“ 1995 წელს წარმოაჩინა კავშირი **პანამის №103 რეისის** 1988 წელს ლოკერბის თავზე კატასტროფასა და ირანული **№655 რეისის** დაღუპვას შორის, რომელიც შემთხვევით ჩამოაგდო აშშ-ის საზღვაო სამხედრო კრეისერმა „ვინსენმა“ იმავე წელს. „მართლაც იშვიათნი არიან და ფანტასტიკის ზღვარს მიღმა დგანან ადამიანები, ჭეშმარიტების ჯვაროსნები, რომლებიც კვლავ და კვლავ იგდებენ თავს საფრთხეში, როგორც ამას ფრანკოვიჩი იქმოდა“, — იხსენებდა მისი მეგობარი **ტემ დელიელი.** რეჟისორი გულის შეტევით დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში, როცა შეერთებულ შტატებში ჩავიდა. იგი გარდაიცვალა ტეხასის შტატში, აეროპორტ ჰიუსტონის ტერიტორიაზე 1997 წლის 17 აპრილს.

უმეტესად ინტერვიუებზე დაფუძნებული და იტალიასა და ბელგიაში „გლადიოზე“ ფოკუსირებული დოკუმენტური გადაღებები წარმოგვიდგენს „გლადიოს“ ოპერაციების ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებს, როგორებიც იყვნენ P2-ის მეთაური **ლიციო ჯელი**, იტალიელი მემარჯვენე აქტივისტი **ვინჩენცო ვინჩიგერა**, იტალიელი მოსამართლე და „გლადიოს“ პირველაღმომჩენი **ფელიჩე კასონი**, „გლადიოს“ იტალიელი მეთაური **ჯერარდო სერავალე**, სენატორი **როჯერ ლალემანდა**, „გლადიოს“ საქმიეს ბელგიის საპარლამენტო გამოძიების ხელმძღვანელი **დეციმო გარაუ**, სარდინიაში „გლადიოს“ ბაზის ყოფილი იტალიელი ინსტრუქტორი **უილიამ კოლბი**, ცსს-ს ყოფილი დირექტორი *(გვარი დასახელებული არ არის)* და ბელგიის ჟანდარმერიის წევრი **მარტილ ლეკეუ**. ეს მხოლოდ ზოგიერთი სახელია.

**რეი კლაინმა, ცსს-ს დირექტორის მოადგილემ 1962-1966 წლებში, ფრანკოვიჩის კამერის წინ განაცხადა: „საიდუმლო არმიების შექმნა, ჩემი აზრით, აუცილებელი იყო იმიტომ, რომ დარწმუნებულები ვყოფილიყავით: თუ მოხდებოდა უარესი, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა კომუნისტური პარტია, ყოველთვის გვეყოლება რამდენიმე აგენტი, რომლებიც შეგვატყობინებდნენ, რაც გარშემო ხდებოდა“.**

კლაინი განაგრძობდა: „გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მემარჯვენე ჯგუფი გადმოვიბირეთ და საიდუმლო არმიებში გავაწევრეთ იმიტომ, რომ ეცნობებინათ ჩვენთვის მოსალოდნელი ომის დაწყება. ამიტომაა ნორმალური მემარჯვენეების გამოყენება არა პოლიტიკური, არამედ მხოლოდ დაზვერვის მიზნით“.

ლონდონურმა გაზეთებმა მეორე დღესვე აღნიშნეს, რომ ეს იყო „ერთ-ერთი იმ პროგრამათაგანი, რომლის ნახვის შემდეგ გექმნება შთაბეჭდილება, რომ იგი დაამხობს მთავრობას, მაგრამ საეჭვოა, ტელევიზიის ამნეზიის წყალობით ეს პროგრამა მომდევნო დილას მოხსენიებული იყოს“.

## საიდუმლო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს უბრძანა, ატომური ბომბები ჩაეყარათ იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა 1945 წლის სექტემბერში. **იმ პერიოდში, როცა დასავლეთ ევროპის ეკონომიკა ნანგრევებად იყო ქცეული, აშშ განაგრძობდა თავისი ეკონომიკის ზრდას, მაგრამ, თავისი სამხედრო ძლიერების ზრდისა და ეკონომიკური აღმავლობის მიუხედავად, თეთრ სახლს აშინებდა მსოფლიო კომუნიზმის გავლენის დაუბრკოლებელი ზრდა.**

მას შემდეგ, რაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს 1918-1920 წლებში ხელი მოეცარათ საბჭოთა კავშირში შეჭრის ერთობლივ საქმეში, საბრძოლო კავშირი წითელ არმიასთან მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მხოლოდ ორ მიზანს ისახავდა: **ჰიტლერისა** და **მუსოლინის** დამარცხებას და ევროპის გათავისუფლებას. ომის დამთავრებისთანავე განახლდა მტრული დამოკიდებულება, ყოფილი მოკავშირეები მოწინააღმდეგეებად იქცნენ ცივ ომში.

**მაშინ, როცა აშშ დასავლეთ ევროპაში უზრუნველყოფდა ომისშემდგომ მშვიდობას და ებრძოდა მემარცხენეებს საბერძნეთში, საბჭოთა კავშირმა, სტალინის ხელმძღვანელობით, უზრუნველყო უსაფრთხოება აღმოსავლეთ ფრონტზე, საიდანაც XX საუკუნის განმავლობაში ორჯერ შეუტიეს ორი მსოფლიო ომის დროს.** ტრუმენი დიდი შეშფოთებით ადევნებდა თვალს მარიონეტული კომუნისტური რეჟიმის დამყარებას პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, უნგრეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, რადგან, შეზღუდული სუვერენიტეტის დოქტრინიდან გამომდინარე, სტალინმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დაუქვემდებარა ადგილობრივი ოლიგარქების, მკაცრი სამხედროებისა და საბჭოთა საიდუმლო სამსახურის — კა-გე-ბეს, კონტროლს. ტრუმენი, აგრეთვე, დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთ ევროპის ნომინალურად სუვერენულ დემოკრატიებში აუცილებელი იყო, საიდუმლო ბრძოლა ეწარმოებინა კომუნისტური პარტიის გავლენის წინააღმდეგ და დაესუსტებინა იგი. ცსს, აგრეთვე, ცდილობდა, შეექმნა საიდუმლო არმიები ჩინეთში, რათა შეეჩერებინა კომუნიზმის წინსვლა, მაგრამ დამარცხდა, რადგან 1949 წელს **მაომ** და ჩინეთის კომპარტიამ შეძლეს კონტროლის სადავეების ხელში აღება. ცსს-ს ყოფილი დირექტორი **უილიამ კოლბი** იხსენებდა: „ყოველთვის მაინტერესებდა, იმუშავებდა თუ არა ჩვენ მიერ შექმნილი საიდუმლო არმიების ქსელი საბჭოთა წესების მიხედვით. ვიცით, რომ ასეთი ქსელების შექმნის ჩვენი მცდელობა ჩავარდა, მაგალითად, ჩინეთში 1950 წელს და ჩრდილოეთ ვიეტნამში 1954 წელს“.

**1950 წელს კორეის ომის შემდეგ, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის, აშშ-ის არმია ცდილობდა, შეემცირებინა კომუნიზმის გავლენა ჩრდილოეთ კორეაში, მაგრამ ვერ შეძლო.**

**ამას გარდა, ცსს-ს მცდელობა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დივერსიული ოპერაციების განხორციელებასა და საიდუმლო არმიების შექმნაზე კონტროლი დაემყარებინა, ასევე კრახით დასრულდა.** „ჩვენ ვიცით, რომ მათი შექმნა გარედან ძალისხმევით შეჩერდა 1950-იან წლებში პოლონეთისა და ალბანეთის საიდუმლო პოლიციების დივერსიების შედეგად“, — იხსენებდა კოლბი აშშ-ის ანტიკომუნისტური საიდუმლო არმიების შექმნის ამაო მცდელობას.

ცივი ომის თეთრი სახლის მესვეურთათვის ომი 1945 წელს არ დამთავრებულა, ის შეიცვალა ჩუმი საიდუმლო ომით, რადგან საიდუმლო სამსახურები სახელმწიფოს მართვის სერიოზული იარაღი გახდა. აშშ-ის პრეზიდენტი **ტრუმენი** 1944 წელს დათანხმდა **უილიამ დონოვანის** წინადადებას, რომელიც ომის დროს სათავეში ედგა სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს (სსს) და შეეცადა, შეექმნა აშშ-ის საიდუმლო სამსახური მშვიდობიან პერიოდში სამუშაოდ და საზღვარგარეთ დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად კომუნისტებისა და აშშ-ის სხვა გამოვლენილი მტრების წინააღმდეგ, მაგრამ **ედგარ ჰუვერი**, აშშ-ის საიდუმლო სამსახურის გფბ-ს დირექტორი, ძლიერ აღაშფოთა რუზველტის გეგმამ, რადგან შეეშინდა, რომ დაკარგავდა უფლებას, განეხორციელებინა დაზვერვა და საიდუმლო ოპერაციები, ამიტომ ჰუვერმა მოაწყო დონოვანის ჩანაწერებისა და რუზველტის განკარგულების თაობაზე ინფორმაციის გადინება გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ რეპორტიორის დახმარებით. შედეგად 1945 წლის 9 თებერვალს გაზეთი აჭრელდა სათაურებით: „სუპერჯაშუშური სისტემის ახალი კურსის შექმნა“, „ჯაშუშობა შინ და გარეთ“, „განიხილავენ სუპერგესტაპოს შექმნის საკითხს“.

„ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყებოდა, რომ „უმაღლეს წრეებში, სადაც ცირკულირებს მემორანდუმის პროექტი და ბრძანების პროექტი, დასაგეგმი ქვედანაყოფი ცნობილია „ფრანკფურტის გესტაპოს სახელწოდებით“... იხსენებენ საიდუმლო პოლიციის — გესტაპოს მიერ ჩადენილ საშინელებებს. სტატიაში ლაპარაკია ახალი საიდუმლო სამსახურის შესახებ, რომელიც გამიზნულია საიდუმლო ომების საწარმოებლად და „დივერსიების განსახორციელებლად... საზღვარგარეთ. მას მიამაგრებენ საქმიანობისთვის აუცილებელ სამხედრო და საზღვაო შტატს“.



რადგან გერმანული საიდუმლო პოლიციის — გესტაპოს საქმიანობა ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ ადამიანებს, აშშ-ის მოქალაქენი შეშფოთდნენ და მრისხანე სახალხო პროტესტებმა, გფბ-ის დირექტორის — ჰუვერის გასაოცრად, ძირშივე მოსპო დონოვანის ინიციატივა, მაგრამ ახალი ამერიკული საიდუმლო სამსახურის შექმნის თაობაზე საუბარი გრძელდებოდა უმაღლეს დონეზე უმკაცრესად გასაიდუმლოებულ პირობებში.

რუზველტის გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა 1946 წლის იანვარში პრეზიდენტის დირექტივით დააწესა ახალი დაზვერვის ცენტრალური ჯგუფი (დცჯ), როგორც აშშ-ის ახალი საიდუმლო სამსახური მშვიდობიან დროში. ტრუმენმა ეს მოვლენა თეთრ სახლში გამართული მასშტაბური მიღებით აღნიშნა, რომელზეც თავის სტუმრებს წარუდგინა შავ ლაბადეებში გამოწყობილი, შავშლაპიანი, შავულვაშიანი და ხის ხანჯლებიანი ადამიანები და მათთან ერთად ადმირალი **სიდნი უილიამ სოერსი**, როგორც „ცენტრალიზებული ჯაშუშობის მომავალი დირექტორი“.

**დაზვერვის ცენტრალური ჯგუფი სუსტ შუალედურ სააგენტოდ რჩებოდა და ტრუმენი მალევე მიხვდა, რომ თეთრი სახლის ფარულ ხელს სჭირდებოდა გაძლიერება, ამიტომ 1947 წელს მიიღეს კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა (ცსს) და ეროვნული უშიშროების საბჭოს (ეუს) შექმნას.** ამჯერად „ამერიკულ გესტაპოს“ პრესა თავს არ დასხმია. საბჭო შედგებოდა პრე-

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯორჯ კენანი, რომელიც ფანატიკურად ერთგულებდა საიდუმლო ოპერაციებს და პირწავარდნილი ანტიკომუნისტი იყო, მუშაობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმვის განყოფილებაში და ყოველმხრივ ხელს უწყობდა დეკლარაციით გათვალისწინებული საიდუმლო ოპერაციების განხორციელებას იტალიასა და მის საზღვრებს მიღმა. თუმცა იგი, ისევე, როგორც ტრუმენი, კარგად იყო გარკვეული, რა მოლიპულ გზაზე შედგა ამერიკის შეერთებული შტატები.**

◀ზიდენტისგან, ვიცეპრეზიდენტისგან, საგარეო საქმეთა მინისტრისგან, თავდაცვის მინისტრისგან, ცსს-ს დირექტორისგან, გაერთიანებული შტაბების უფროსების თავმჯდომარისგან და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებისა და მრჩევლებისგან. „ეროვნული უშიშროების საბჭო (ეუს), გადაჭარბების გარეშე, ჩამოყალიბდა ყველაზე უფრო მძლავრ ორგანიზაციად ვაშინგტონში“.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ისტორიაში, თეთრ სახლისა და ეუს-ის ძალაუფლების კონცენტრაციამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება გამოიწვია. XXI საუკუნეში ეუს რჩება „განსაკუთრებულ დაწესებულებად, რომელიც უწინ კანონის ორივე მხარეს იყო“.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ **ეროვნული უშიშროების კანონმა ლეგიტიმური საფუძველი შექმნა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიული საქმიანობისა და საიდუმლო ომების საწარმოებლად, ცსს აღიჭურვა უფლებით, შეესრულებინა სხვა ფუნქციებიც და მოვალეობანიც, რომლებიც დაუკავშირდება დაზვერვას და გავლენას იქონიებს ეროვნულ უშიშროებასთან.** ამ უფლების განხორციელებას კი დროდადრო გააკონტროლებს ეროვნული უშიშროების საბჭო. ეს დებულება თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს 1945 წელს ედგარ ჰუვერის გამონათქვამს.

გაუგებარი ფორმულირებები, ერთი მხრივ, მიანიშნებდა, რომ დივერსიული საქმიანობა ეფუძნება მყარ სამართლებრივ ნორმებს; მეორე მხრივ კი, საშუალებას იძლევა, თავი აარიდონ მრავალრიცხოვან ამერიკულ კანონებს, აშშ-ის კონსტიტუციას და მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას. ცსს-ს დირექტორის მოადგილემ **რეი კლაინმა** ამ ყველაფერს სამარცხვინო ვერდიქტი გამოუტანა: აშშ-ის კონსტიტუციის უნივერსალური „რეზინის პუნქტი“.

**კლარკ კლიფორდმა** მოგვიანებით ახსნა, რომ „ჩვენ არ ვახსენეთ ეს სახელწოდება (საიდუმლო დივერსიული ოპერაციები), რადგან ვხვდებოდით, რომ ეს სასარგებლო არ იქნებოდა ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის — ამგვარ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობის რეკლამირება.

პირველი ქვეყანა, რომლისკენაც თეთრმა სახლმა ახალშექმნილი ორგანიზაციის ძალისხმევა წარმართა, იყო იტალიის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული პირველი დოკუმენტი, რომელიც პირველი ნომრით არის აღრიცხული — 1/1, 1947 წლის 14 ნოემბერი — დეტალურად აანალიზებს შექმნილ ვითარებას და აღნიშნავს, რომ „იტალიის მთავრობა, რომელიც იდეოლოგიურად დასავლური დემოკრატიის მიმდევარია, არის სუსტი და ძლიერი კომუნისტური პარტიის მუდმივ შეტევებს განიცდის“. ამიტომ ეუს ერთ-ერთ პირველ სხდომაზე, რომელიც 1947 წლის 19 დეკემბერს გაიმართა, მიიღეს ეუს დირექტივა — 4-A. ეს დირექტივა ითვალისწინებდა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს — **ჰილენკოტერს** განეხორციელებინა ფართო სპექტრის საიდუმლო ოპერაციები იმ მიზნით, რომ არ დაეშვა მომავალ არჩევნებში კომუნისტების გამარჯვება.

ეუს დირექტივა 4-A უმაღლეს დონეზე გასაიდუმლოებული დოკუმენტი იყო, რადგან საიდუმლო ოპერაციები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის განსაკუთრებით დელიკატური საკითხი გახლდათ. არსებობდა მხოლოდ 3 ასლი, მათ შორის ერთი ჰილენკოტერს ჰქონდა, რომელიც „განსაკუთრებულად იყო დაცული დირექტორის ოფისში, სადაც მის თანამშრომლებსაც კი არ შეესვლებოდათ“. მეორე ასლი ჰქონდა **ჯორჯ ფ. კენანს** სახელმწიფო დეპარტამენტში. „ამგვარი გასაიდუმლოების მიზეზი აშკარა იყო“: ცსს ოფიციალურ მატიანეში ჩაწერილია, რომ ასეთი ღონისძიება აუცილებელი იყო, რადგან ქვეყნის მოქალაქეებს თავზარი დაეცემოდათ, 4-A-ს არსებობის შესახებ რომ გაეგოთ.

იტალიაში განხორციელებული ოპერაციები წარმატებული გამოდგა, კომუნისტური მოძრაობა შესუსტდა. პრეზიდენტი ტრუმენი ისე გაიტაცა საიდუმლო ოპერაციებმა, სახელმწიფო მმართველობის იარაღმა, რომ მიიჩნია, ცსს-ს გავლენა უნდა გავრცელებულიყო იტალიის საზღვრებს მიღმაც, ამიტომ იყო, რომ 1948 წლის 18 ივნისს მიიღეს ეუს ცნობილი დირექტივა — 10/2, რომელიც ცსს-ს უფლებას აძლევდა, სრულიად მსოფლიოში განეხორციელებინა საიდუმლო ოპერაციები, ხოლო ამ უწყებაში შეიქმნა საიდუმლო განყოფილება „სპეციალური პროექტების სამმართველოს“ სახელწოდებით, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ნაკლებად მყვირალა სახელწოდებით — „პოლიტიკური კოორდინაციის ბიურო“. **ეუს დირექტივა 10/2-A ამ ბიუროს ავალებდა „საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას“. საიდუმლო ოპერაციებში იგულისხმებოდა ყველა ოპერაცია, რომლებიც „ხორციელდება ან ფინანსდება სახელმწიფოს მიერ მტრული სახელმწიფოებისა და ჯგუფების წინააღმდეგ ან მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების, ან ჯგუფების მხარდასაჭერად, მაგრამ იგეგმება და ტარდება იმგვარად, რომ უცხო ქვეყნებისგან დაფარულია აშშ-ის მთავრობის მონაწილეობა მათ განხორციელებაში, და ამგვარი ოპერაციის გამოაშკარავების შემთხვევაში აშშ-ის მთავრობას უფლება აქვს, აიცილოს ყოველგვარი პასუხისმგებლობა მათ გამო“.** ამ დირექტივით, ეს ოპერაციები ითვალისწინებს ნებისმიერ საიდუმლო ოპერაციას, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროპაგანდასთან, ეკონომიკურ ბლოკადასთან, აქტიურ პრევენციულ ქმედებასთან, საბოტაჟის, ანტისაბოტაჟის, ლიკვიდაციისა და ევაკუაციის ღონისძიებებთან, მტრული სახელმწიფოების წინააღმდეგ მოწყობილ დივერსიებთან, აგრეთვე, წინააღმდეგობის იატაკქვეშა მოძრაობებთან, პარტიზანების, ლტოლვილთა განმათავისუფლებელი ჯგუფებისა და ადგილობრივი ანტიკომუნისტური ფორმირებების ჩათვლით...“



ფრენკ ვიზნერი

**თანამდებობაზე ვიზნერის ყოფნის პირველი წლის ბოლოს მისი ქვეშევრდომების რაოდენობამ 300 კაცს მიაღწია, მის განკარგულებაში იყო შვიდი რეზიდენტურა უცხოეთის ქვეყნებში, რომლებიც დაკავებული იყვნენ სხვადასხვა საიდუმლო ოპერაციაში. სამი წლის შემდეგ, 1951 წელს, პერსონალის რაოდენობამ 2812-ს მიაღწია, უცხოეთის ქვეყნებში რეზიდენტურის რაოდენობამ — 47-ს, რომლებშიც 3142 აგენტი მუშაობდა. ამავე პერიოდისთვის ბიუჯეტი 4,7 მილიონიდან 82 მილიონ დოლარამდე მოიმატა**

**აღნიშნული დირექტივა ასევე ითვალისწინებდა საიდუმლო ანტიკომუნისტური არმიების — „გლადიოს“ შექმნას დასავლეთ ევროპაში, მაგრამ უპირობოდ კრძალავდა საბრძოლო ოპერაციების განხორციელებას იარაღის ჩვეულებრივი სახეობებით, ისევე, როგორც სადაზვერვო ოპერაციების, კონტრდაზვერვის ოპერაციების. დირექტივა 10/2 სცილდებოდა იმ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც ტრუმენმა საჯაროდ განაცხადა „ტრუმენის დოქტრინაში“ 1947 წელს.**

შედარებით მოკლე, ხუთწლიან პერიოდში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას მოჰყვა, აშშ-ში შეიქმნა მძლავრი სადაზვერვო კომპლექსი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა კონტროლს არ ექვემდებარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა. „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შექმნისას არც მიფიქრია, რომ ორგანიზაცია იმოქმედებდა „ლაბადისა და ხანჯლის“ ტაქტიკის გამოყენებით“, — განმარტავდა დასუსტებული ტრუმენი პოსტიდან გადადგომის შემდეგ. ხოლო 1964 წელს, გარდაცვალებამდე რვა წლით ადრე, კვლავ იმეორებდა, რომ არასოდეს გეგმავდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გამოყენებას, როგორც „საერთაშორისო სააგენტოს, რომელიც დაკავებული იქნებოდა საქმიანობის არასტანდარტული სახეობების განხორციელებით“, მაგრამ მაშინ სადაზვერვო კომპლექსი ძალიან იყო დაშორებული მის კონტროლს. „ტუმენი, ჩანს, განცვიფრებული იყო მის მიერვე შექმნილი სადაზვერვო უწყების სიდიდითა და ძლიერებით“, — ასე შეაფასა გადამდგარი პრეზიდენტის გრძნობანი ბრიტანელმა ისტორიკოსმა **კრისტოფერ ენდრიუმ.**

**ჯორჯ კენანი, რომელიც ფანატიკურად ერთგულებდა საიდუმლო ოპერაციებს და პირწავარდნილი ანტიკომუნისტი იყო, მუშაობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმვის განყოფილებაში და ყოველმხრივ ხელს უწყობდა დეკლარაციით გათვალისწინებული საიდუმლო ოპერაციების განხორციელებას იტალიასა და მის საზღვრებს მიღმა. თუმცა იგი, ისევე, როგორც ტრუმენი, კარგად იყო გარკვეული, რა მოლიპულ გზაზე შედგა ამერიკის შეერთებული შტატები.** „ბოლოს და ბოლოს ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება საბჭოთა კომუნიზმის პრობლემების გადაწყვეტისას, არის ის, რომ დავემსგავსოთ მოწინააღმდეგეებს“, — აღნიშნა კენანმა თავის ცნობილ გრძელ დეპეშაში საბჭოთა კავშირის შესახებ... 30 წლის შემდეგ, უკვე მოხუცებულმა კენანმა აღიარა: „ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც წარმომედგინა“.

**იმისათვის, რომ გარანტირებულად დამაჯერებლად უარეყოთ ჩადენილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომების ოქმების უმრავლესობა, ისევე, როგორც მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებები, მკვლევართათვის მიუწვდომელი რჩებოდა, მაგრამ უოტერგეიტის კრიზისის შემდეგ აშშ-ის პარლამენტმა კრიტიკულად შეამოწმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ეროვნული უშიშროების საბჭო და გამოამჟღავნა, რომ „ევროპის 1948 წლის საყოველთაო არჩევნები პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს შექმნის ძირითადი მიზეზი იყო.** დასავლეთ ევროპაში კომუნიზმის გამარჯვების საფრთხემ უშუალოდ იქონია გავლენა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციების ჩატარებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. **„ცენტრალურ პარტიებში სახსრების წარმართვისა და მედიარესურსების განვითარების გზით პოლიტიკური განვითარების ბიურო ცდილობდა, გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე და დიდ წარმატებასაც მიაღწია“,** — დაწერეს სენატორებმა თავიანთ საბოლოო ანგარიშში, რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა. „ამ ოპერაციებმა მოამზადა ბაზა უახლოესი 20 წლის განმავლობაში საიდუმლო მოქმედებათა წარმართვისთვის. 1952 წელს დაახლოებით 40 სხვადასხვა საიდუმლო პროექტი წარმართული იყო ერთი ევროპული ქვეყნისკენ“. პენტაგონის დაჟინებული მოთხოვნით, პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს საქმიანობაში შედიოდა საიდუმლო არმიების შექმნა დასავლეთ ევროპაში. „1950-იან წლებამდე პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს (პკბ) გასამხედროებული აქტივობა შემოფარგლული იყო ომის პირობებში საიდუმლო ქსელების შექმნით... ბიუროს პროექტები ფოკუსირებული იყო დასავლეთ ევროპაზე და მიმართული იყო ნატოს ძალების მხარდასაჭერად საბჭოთა კავშირის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში.

ჯორჯ კენანმა აირჩია **ფრენკ ვიზნერი,** იურისტი უოლ-სტრიტიდან, მისისიპის მკვიდრი, სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს უფროსი სტამბოლსა და ბუქარესტში მეორე მსოფლიო ომის დროს ცსსა და პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს საიდუმლო ოპერაციების განყოფილების პირველ ხელმძღვანელად. ვიზნერი და სხვა ამერიკელი ოფიცრები, როგორც წესი, „თეთრკანიანი (მამაკაცები) არისტოკრატები იყვნენ ანგლოსაქსური წარმომავლობის ძველი ოჯახებიდან ძველი ფულით... და გარკვეულად შენარჩუნებული ჰქონდათ ბრიტანელთა დამოკიდებულება მსოფლიოს ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ“. ვიზნერი იცავდა დოკუმენტების საიდუმლოებას. „ყოველთვის, როცა ვინმე ცდილობდა, წაეკითხა ეროვნული უშიშროების საბჭოს დოკუმენტი 10/2, მას (წაკითხვის მსურველს) ხელი უნდა მოეწერა დაშვების სპეციალური ნებართვისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ მას დირექტივის ერთ-ერთ (ორი თუ სამი ასლიდან) ასლს, რომლებიც ვიზნერის კაბინეტის სეიფში ინახებოდა“. საიდუმლო ოპერაციების ახალ ცენტრში, აგრესიული ატმოსფერო სუფევდა. ვიზნერს სურდა საიდუმლო ოპერაციების განხორციელება შეზღუდვის გარეშე, კოდების ან „სხვა არსებული მეთოდების“ საშუალებით. ჰილენკოტერი და კენანი დათანხმდნენ.

ვიზნერი, პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს დირექტორი ევროპაში, საიდუმლო არმიების მშენებლობის მთავარი არქიტექტორი გახდა. „ფრენკ ვიზნერმა პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროდან თავის თანაშემწეს — **ფრენკ ლინდსეის** დაავალა ევროპაში საიდუმლო არმიების ქსელის კოორდინირება“, — აცხადებდა ბელგიური პრესა „გლადიოს“ საიდუმლო არმიების მხილების შემდეგ. ლინდსეიმ, ისევე, როგორც ვიზნერმა, აგენტის სპეციალური განათლება მიიღო მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას აშშ-ის სტრატეგიული სამსახურების სამმართველოში იუგოსლავიაში სამსახურის პერიოდში და უშუალოდ იცნობდა კომუნისტების ტაქტიკას. როგორც ხაზგასმით აღნიშნავდნენ ბელგიის „გლადიოს“ მამხილებლები, ის „უილიამ კოლბიმ სკანდინავიის ქვეყნებში გაგზავნა, თომას კარამესინესი — საბერძნეთში, სადაც მას დაეხმარებოდა ადგილობრივი საიდუმლო სამსახურები“.

**...აღნიშნულ თანამდებობაზე ვიზნერის ყოფნის პირველი წლის ბოლოს მისი ქვეშევრდომების რაოდენობამ 300 კაცს მიაღწია, მის განკარგულებაში იყო შვიდი რეზიდენტურა უცხოეთის ქვეყნებში, რომლებიც დაკავებული იყვნენ სხვადასხვა საიდუმლო ოპერაციაში. სამი წლის შემდეგ, 1951 წელს, პერსონალის რაოდენობამ 2812-ს მიაღწია, უცხოეთის ქვეყნებში რეზიდენტურის რაოდენობამ — 47-ს, რომლებშიც 3142 აგენტი მუშაობდა. ამავე პერიოდისთვის ბიუჯეტი 4,7 მილიონიდან 82 მილიონ დოლარამდე მოიმატა. ბედლ სმიტმა**, რომელმაც 1950 წლის ნოემბერში ჰილენკოტერი შეცვალა, 1951 წლის მაისში განაცხადა, რომ „ცსს-ს მიერ განხორციელებული საიდუმლო ოპერაციების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ეროვნული უშიშროების საბჭოს 10/2 დირექტივით გათვალისწინებულ რაოდენობას“. საიდუმლო ოპერაციების გავრცელება ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ სმიტიც კი დაინტერესდა პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს ბიუჯეტის მასშტაბებითა და ზრდის ტემპებით.

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პილოტებმა ბერტრან პიკარმა და ანდრე ბორშბერგმა SOLAR IMPULSE 2 აბუ-დაბიში დასვეს, რითაც დაასრულეს სამყაროს გარშემო 40-ათასკილომეტრიანი ფრენა მზის ბატარეებით. ტანდემი იმედოვნებს, რომ მათი მოგზაურობა სტიმულს მისცემს ინჟინერებს „მწვანე“ თვითმფრინავების შესაქმნელად.**

# წლის მთავარი მეცნიერული მოვლენები

ტრადიციულად, წლის შედეგების შეჯამებისას ერთ-ერთმა წამყვანმა სამეცნიერო-პოპულარულმა ჟურნალმა Popular Science-მა მკითხველს შესთავაზა მოკლე ნაკრები, მისი აზრით, წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.
მაშ ასე, 2016 სამეცნიერო-ტექნიკური წლის მიღწევები:



## პანდებს გადაშენების საფრთხე აღარ ემუქრებათ

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა სექტემბერში პანდები სიიდან „გადაშენება ემუქრებათ“ გადაიყვანეს გაცილებით უსაფრთხო სიაში „სოციალურად დაუცველი“, და არა მხოლოდ პანდები. წითელი წიგნიდან ასევე გაქრნენ ისეთი სასაცილო არსებები, რომელთა მიხედვით აკეთებდნენ სათამაშო დათუნიებს.



## უარი ბენზინსა და დიზელის საწვავზე კლიმატის სასარგებლოდ

გლობალურ დათბობას მივყავართ იქამდე, რომ მომდევნო თაობა აღმოჩნდება ყინულის დნობის, სასოფლო-სამეურნეო ნიადაგის გამოშრობის, ტყეების ხანძრისა და ძლიერი ქარიშხლების პირისპირ. მაგრამ ორეგონელი მოსამართლის — **ენ აიკენის** წყალობით, 21-კაციანმა ჯგუფმა მოიპოვა უფლება, ხელისუფლებას უჩივლოს სასამართლოში იმის გამო, რომ მას არ შეუძლია კლიმატის ამგვარი ცვლილებების ალაგმვა. ეს სტრატეგია შარშან ნიდერლანდებში ამუშავდა, როცა სასამართლომ დაადგინა, რომ „ხელისუფლებამ 2020 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით, 25%-ით უნდა შეამციროს მავნე ნივთიერებების გამოყოფა ატმოსფეროში”



## ვირუსი კიბოს წინააღმდეგ

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებმა იცოდნენ, რომ ვირუსებს შეუძლიათ, იმუნური სისტემა აიძულოს, შეუტიოს კიბოს, მაგრამ ვირუსების ამგვარი მოდიფიცირება მოითხოვდა დროს. 2015 წლის ბოლოს IMLYGIC გახდა FDA-ს (საკვებისა და წამლის ადმინისტრაცია) მიერ მოწონებული ვირუსული და კიბოს სამკურნალო პრეპარატი. ჰერპესის მოდიფიცირებულმა ვირუსმა უნდა უმკურნალოს მელანომას, რომელიც ლიმფოგენური და ჰემატოგენური გზებით სწრაფად იწყებს მეტასტაზირებას. მელანომა ერთ-ერთ ავთვისებიან სიმსივნეთა რიგს განეკუთვნება.



## SpaceX-მა რაკეტა წყალზე დასვა

აპრილში SpaceX-მა განახორციელა რაკეტის ისტორიული დაჯდომა ოკეანეში უპილოტო ხომალდზე. ეს იყო უდიდესი მოვლენა. მოძრავ პლატფორმაზე დაშვებას კომპანია მომავალშიც გამოიყენებს, რითაც კოსმოსში გასვლის საფასურს 30 პროცენტით შეამცირებს.

## ვირტუალური რეალობა ყველასთვის




მაშინ, როცა ვირტუალური რეალობის მაღალხარისხიანი გარნიტურები ძლიერ კომპიუტერებს მოითხოვს, “სონის” გარნიტურები მუშაობს PlayStation 4-თან. მათ ასაწყობად საჭირო არ არის ინჟინრის დიპლომი — დადგმის პროცესის სიმარტივე, გამოყენების სიიოლე და ხელმისაწვდომი ფასი არის მიზეზი იმისა, რომ Popular Science-მ ფსონი სწორედ ამ გარნიტურზე დადო.



## WhatsApp-ის გაშიფრვა მილიარდობით ადამიანს დაიცავს

ჯერ კიდევ აპრილში WhatsApp-მა ჩართო ხმოვანი და ტექსტური შეტყობინებებისა და ზარების სრული გაშიფრვის პროგრამა, რომლითაც არსებითად გაართულა მესამე მხარის ხელმისაწვდომობა მათზე.



## ბუნების შენარჩუნება

ზღვის სახეობების შენარჩუნების პროგრამაში შეიყვანეს ანტარქტიდასა და ატლანტის ოკეანეში მობინადრე პინგვინები, რვაფეხები და ვეშაპები.



## მეცნიერებმა გრავიტაციული ტალღები იპოვეს

ობსერვატორია LIGO-მ აღმოაჩინა წყვილი შავი ხვრელის გრავიტაციული ტალღები, რომლითაც ასტრონომებმა მიიღეს კოსმოსის კვლევის ახალი საშუალება.



## მზის სისტემაში შესაძლოა, მეცხრე პლანეტაც იყოს

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჩვენი მზის სისტემის საზღვარზე, შესაძლოა, იმალება გიგანტური პლანეტა, რომელიც ზომით ნეპტუნის ტოლია და 10-20-ჯერ უფრო შორსაა, ვიდრე პლუტონი. თუმცა პლანეტის არსებობა ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ ყველაფერი მის არსებობაზე მეტყველებს.




## დენგეს ვაქცინა

ყოველწლიურად 400 მილიონი ადამიანი იტანჯება დენგეთი. ეს არის ინფექციური ტრანსმისიური დაავადება, რომელიც ორი კლინიკური ფორმით მიმდინარეობს: დენგეს კლასიკური ცხელება და დენგეს ჰემორაგიული ცხელება. დაავადების გადამტანი კოღოებია. ინფექციის წყაროს კი წარმოადგენს ავადმყოფი ადამიანი, აგრეთვე — მაიმუნები და ღამურები. დენგეს ცხელების ეპიდემიურ კერებში უპირატესად ავადობენ ბავშვები და ჩასული არაიმუნური პირები. დაავადებას ახასიათებს სეზონურობა, განსაკუთრებით კი დაკავშირებულია წვიმიან პერიოდთან. დენგეს კლასიკური ფორმა რეგისტრირდება ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებში.

მას ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, ძლიერი თავის ტკივილი, გულისრევა, რაც ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება. წლეულს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ რეკომენდაცია გაუწია პირველ ვაქცინას დანგეს წინააღმდეგ. მისი გამოყენება დაიწყეს ცხელ ზონებში — ბრაზილიასა და ფილიპინებში.

მიკროქარხნები არა მხოლოდ გადაამუშავებს ძველი სმარტფონების ელექტრონულ ნარჩენებს, არამედ შექმნის ახალსაც მიღებული რესურსიდან. ელექტრონული ნარჩენები შეიცავს ოქროს, რკინას, ვერცხლს, პლატინას, პოლადიუმს, სპილენძს და ასევე, იშვიათ მიწა ელემენტებს, როგორიცაა უტრიუმი, ტერბიუმი, გადოლინიუმი, პრაზეოდიუმი. აღარაფერს ვამზობთ პლასტმასსა და მინაზე.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პროქსიმა ბ

პროქსიმა ბ — ეს არის დედამიწის უახლოესი ეგზოპლანეტა. მართალია, ჯერ არ ვიცით, ეს ნამდვილად არის თუ არა დედამიწა 2, მაგრამ, ამაზე ოცნება აკრძალული არ არის.



## მსოფლიოს გარშემო «მზეზე ამხედრებული»

პილოტებმა **ბერტრან პიკარმა** და **ანდრე ბორშბერგმა** Solar Impulse 2 აბუ-დაბიში დასვეს, რითაც დაასრულეს სამყაროს გარშემო 40-ათასკილომეტრიანი ფრენა მზის ბატარეებით. ტანდემი იმედოვნებს, რომ მათი მოგზაურობა სტიმულს მისცემს ინჟინერებს „მწვანე“ თვითმფრინავების შესაქმნელად.




## ოზონის ხვრელი იხურება

ოზონის ფენაში არსებული გიგანტური ხვრელი, რომელიც დედამიწას იცავს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, 2000 წლის შემდეგ შემცირდა 4 მილიონი კვ კმ-ით.

## ალტერნატიული ანტიბიოტიკი ტასმანიური ეშმაკის რძისგან



იქიდან გამომდინარე, რომ ბაქტერიები კაცობრიობის მიერ შექმნილი ანტიბიოტიკების მიმართ სულ უფრო მედეგი ხდება, ანტიმიკრობული პეპტიდები, რომლებიც აღმოჩენილია ტასმანიური ეშმაკის რძეში, შეიძლება იქცეს ახალ იარაღად ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ.

# იქნებ მომდევნო წელს მაინც...

**8 დეკემბერს დიდი ხელოვანის, „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორის — რეზო ჩხეიძის დაბადებიდან 90 წელი სრულდება. ამ საიუბილეო თარიღს მის გარეშე ვხვდებით. სახელმწიფო კაცი იყო და ცხოვრების ბოლო წლებშიც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ჰუმანიზმის დიდი მაგალითები მოგვცა.**



„არასრულწლოვანს, ქალს, 70 წელს გადაცილებულ მამაკაცს ციხეში რა უნდა, თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე არ ჩაუდენია?“ — მისწერა 2014 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას. მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა ამ დიდი ჰუმანური წინადადების განხილვა, იქნებ ახლა მაინც შევძლოთ.

სამების ტაძარში „ქართული ერთობის დარბაზის“ დაფუძნების დღეს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საზოგადოებას წარვუდგინეთ „მოქმედების მანიფესტი — ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, მომავლის საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ გვითხრა: „ჩემი თაობის მეგობართა ფართო წრე, ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე, ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. **ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლოთრთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილის, რეზო ამაშუკელს, ჯანსუღ ჩარკვიანსა** და არაერთ სხვა დიდ მოღვაწეს, ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენიოსმა — ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. მინდა, დიდხანს ვიცოცხლო, ვიყო თქვენ გვერდით, ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად“.

ამ სიტყვების შემდგომ ორი წელი იცოცხლა. დღეს არც ბატონი რეზოა ჩვენ შორის და არც ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, მაგრამ დარჩა თაობათა დიდი მოწოდება:

**„გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!“**

ამ განწყობით მოღვაწე ქართველებმა და საქართველოს მეგობრებმა ისტორიის მძიმე ქარტეხილებში გამოატარეს ჩვენი ქვეყანა. ბატონ რეზო ჩხეიძეს ჰქონდა სურვილი, დოკუმენტურ ფილმებად გვექცია „ქართული მთაწმინდა“, მადლიერები ვყოფილიყავით ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც მხრებით ზიდეს ქართული განწყობა. ეს სამომავლო საქმეა და დარწმუნებული ვართ, ხალხის, ხელისუფლების მხარდაჭერით ამას შეძლებს ბატონი რეზო ჩხეიძის მიერ დაარსებული და ქართველი ხალხისთვის საჩუქრად გადაცემული ტელევიზია „ქართული“. ამ ეტაპზე კი საშური საქმეა, დავიწყოთ ბატონი რეზო ჩხეიძის იდეის „მადლიერების დღეების“ აღნიშვნა, დავიწყოთ იგი ამ იდეის ავტორის, ბატონი რეზოსადმი მადლიერების დღით.

**7 დეკემბერს სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, ხოლო ბატონი რეზოს დაბადების დღეს, 8 დეკემბერს, მის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში ტარდება დიდი ხელოვანისადმი მადლიერების დღეები.**

კარგი გადაწყვეტილება მიიღო კინოთეატრ „საქართველოს“ მეპატრონემ, უცხოეთში მოღვაწე კეთილმა კაცმა — **თენგიზ აბესაძემ:** მის მიერ დიდი რუდუნებით რეკონსტრუირებულ და უკვე საერთაშორისო სტანდარტების კინოთეატრში ერთ-ერთ დარბაზს ბატონი რეზო ჩხეიძის სახელი მიენიჭება.

ჩვენ გვინდა, სრულიად საქართველოს, მის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ წარვუდგინოთ ბატონი **რეზო ჩხეიძის ბოლო წერილი „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც!“.**

ეს თხოვნა მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა — რამდენიმე დღეში ბატონი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა.

რას ითხოვდა დიდი ხელოვანი:

„მომდევნო, 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი 800 წლის იუბილის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეს მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა შევძლოთ, რომ დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ოქტომბერში, თბილისობის დღეებში. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. გენიალურმა შოთამ და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები“.

დღემდე ვერ შევძელით ამის შესრულება. არ არის ეს კარგი. არ არის კარგი, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა დიდ სახალხო სურვილად ქცეული დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება იმ ადგილზე, რომელზეც ის საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით აღიმართა. **იქნებ გაისად მაინც დავაბრუნოთ დავით აღმაშენებლის ძეგლი პირვანდელ ადგილზე; იქნებ გაისად მაინც შევძლოთ დიდი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის აღნიშვნა... იქნებ გაისად მაინც ჩავატაროთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ისე, როგორც ეს ბატონ რეზოს თავკაცობით ჰქონდა დაგეგმილი მეცნიერთა, ხელოვანთა, სახელმწიფო მოღვაწეთა დიდ ჯგუფს.**

ამ საქმეებს სჭირდება სამთა კავშირი: ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების. დარწმუნებული ვართ, ხელისუფლების თაოსნობით ეს დიდი საქმეები განხორციელდება.

**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი, ნინო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, რომან რურუა, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი, ნუგზარ ბაგრატიონი, ზურაბ ბაგრატიონი, გია ბაგრატიონი, მერაბ ანდრონიკაშვილი, პეტრე ჩხეიძე, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ენდი გოგლიჩიძე, გიორგი კანდელაკი, რამაზ ლომინაძე, ალექსანდრე ოჩიგავა, მერაბ თავაძე, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, დავით გველესიანი, გოგი ჯაოშვილი, ემილ მიქაია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, როლანდ კილაძე, ლაური ჯანაშია, ჯამლეთ ხუხაშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, რეზო ესაძე, გურამ ბათიაშვილი, გუჯა ბურდული, ლევან ფირცხალავა, ნონა ღამბაშიძე, ვასილ დავითაია, მიხეილ ანდღულაძე, ბაკურ გულუა, ინესა იამანიძე, ბადრი გვილავა, ვახტანგ გვარამია, დავით სახვაძე, მაია კვეზერელი-კოპაძე, მაყვალა კოღუაშვილი, ენრიკო ჯანელიძე, მალხაზ ხარაძე, ლაშა ნიქაბაძე, გრიგოლ შონია, ზაურ გამსახურდია, გიორგი სიგუა, კონსტანტინე ვერულაშვილი, ალექსი კობაიძე, ომარ ჟვანია,ვალერი ასათიანი,ვაჟა აზარაშვილი, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ვლადიმერ კანდელაკი, შოთა ზოიძე, დავით თევდორაძე, ირაკლი თოდუა, რევაზ ბალანჩივაძე, ანზორ ბალუაშვილი, რობერტ ბაბლუანი, ვახტანგ ხარჩილავა, თემურ ჩალაბაშვილი, გია ჯანბერიძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, მალხაზ დათუკიშვილი, სოსო ბაჩიაშვილი, ხათუნა ჩარკვიანი, ირინა თურქია, ციცინო თოდუა, შოთა ჩხეიძე, ოთარ მენაბდე, კობა კობალაძე, დათო ქობალია, პაატა გიორგაძე, ამირან აფციაური, ბადრი ქუთათელაძე, იოსებ არჩვაძე, მიხეილ ჯიბუტი, ლევან ღვინჯილია, ნინო ფორაქიშვილი, გიგა მჭედლიშვილი, ბონდო ჯიქია, ავთანდილ იოსელიანი, ნუგზარ დუჩიძე, გურამ დუმბაძე, ნათელა დუმბაძე, ელგუჯა მინაძე, ნოდარ ელიაშვილი, გივი ჯაფარიძე, მაილო ჯაში, ჯემალ მარგველიძე, თეიმურაზ ჯერაპოვი, თათა ენდელაძე, ზურაბ ერქვანია, თინათინ მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, დუგლას ზამთარაძე, ვახტანგ აბშილავა, თემურ ჭანტურიშვილი, ზაზა ლილუაშვილი, ნოდარ წულუკიძე, გულიკო გაბაიძე, გიზო გოგიტიძე, ზაურ გოგიტიძე, ასლან კომახიძე, გიორგი კუპრეიშვილი, დავით მამულაძე, ვალერი მოქერია, ჩიტო ომირიძე, რეზო რომანაძე, ზაურ სოლომონიძე, ანზორ თავართქილაძე, ლევან ნინიძე, ნუგზარ ნადარაია, ოთარ ხუხუნი, გოჩა აფშილავა, მერაბ შენგელია, თამთა ბერიაშვილი, ნათია ჯიმშელეიშვილი, რაჯი ფილიპია, ჯონი ბარამიძე, გივი გაგნიძე, შაქრო კვირკვია, კობა არაბული, ნუგზარ კვაშალი, ვადიმ ანასტასიადი, ზაქრო მამასახლისი, გელა მესტიაშვილი, თენგიზ აბესაძე, ოთარ ჟორდანია, ვახტანგ ჯორჯიკია, ვასილი კადენეცი, თემურ კაკოჩაშვილი, ლია გოგიტიძე, ნუნუ ჩიჯავაძე, ქეთევან ჩიხელიძე, მედეა ჩოგოვაძე, ასან აბაშიძე, დავით მორჩილაძე, კობა ხამაშურიძე, კონსტანტინე ვერულაშვილი, ზურაბ ხასია, გიორგი ჭინჭარაული, ზურაბ ბედია, ნოდარ ბერიძე, ვაჟა ბერიძე, ლონდერ ცაავა, ანზორ ცაგურია,ვახტანგ წივწივაძე, ანზორ წოწონავა, ნანული წერეთელი, თინა კაკუშაძე, დათო ყალიჩავა, მურთაზ ჭაბუკიანი, ვლადიმერ ფანგანი, გელა ფარჩუკიძე, შოთა შანშიაშვილი, ლაშა ფალიანი, ვასიკო ჩიგოგიძე, გივი წერეთელი, ალეკო ძოწენიძე, ალექსანდრე ჩხიკვაძე, ტარიელ დგებუაძე, ანზორ დანელია, მურმან ხახანაშვილი, რამაზ გოგისვანიძე, დავით რევიშვილი, გიული ჩხიკვაძე, გიორგი სიხარულიძე, ირინა ფურცელაძე, რუსუდან ბოლქვაძე, შორენა ჯანხოთელი, კახაბერ ჭიჭინაძე, ნათია რევაზიშვილი, ოთარ ჯიქია, რობინ უბილავა, ამირან აბესაძე, კობა ამირხანაშვილი, ალი ბაბაევი, შიო არსენიშვილი, თამარ ადამია, თამარ სიხარულიძე, კლარა ტონია, დალი სტურუა, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ლევან მხეიძე, მერაბ კილაძე, კორნელი კინწურაშვილი, არმაზ დაოაშვილი, ოთარ ხუფენია, რეზო ქარაზანაშვილი, გენრი კავლელიშვილი, თემურ კეკელიძე, რუსლან გვარაძე, ნანა სარიშვილი, მაყვალა ხორბალაძე, მზია დავითაშვილი, გიორგი გაგლოევი, ელენე ჯანჯალია, მანანა გაბუნია, ქეთევან ჩიქავა, თამარ ღვინაძე, გიორგი ჭინჭარაული, ვილენ ალავიძე, მერაბ ბაგრატაშვილი, ნიკოლოზ დადიანი, ნინო ცხოიძე, ირინე მუსელიანი, ანზორ დანელია, თამარ ლობჟანიძე, ეკა ყიფიანი, მიხეილ კონოსოვი, თათუზა ყურაშვილი, დიმიტრი კოპალიანი, გივი ყურელი, გივი ქუთათელი, ვახტანგ მიროტაძე, ლადო ცოფურაშვილი, ოთარ ჭოხონელიძე, რაინდი ჯავახაძე, პუსკუ ღოღობერიძე, გოგი გოგოლაშვილი, თეიმურაზ გოგრიჭიანი, ვალერი გორგიძე, ამირან ცერცვაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნუგზარ შავთვალაძე, ალექსანდრე სამთაძე, კარლო წულაია, ლერი უდესიანი, გიორგი შაშიაშვილი, ალეკო ჩხეიძე, გურამ ჩხეიძე, იგორ ჩხეიძე, სოსო ჩხეიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლაბორატორიული კვლევებიდან მეცნიერებმა შემდეგი დასკვნები გააკეთეს: მთავარი დამნაშავე ამ ყველაფერში არის ანტისხეული IGE, რომელიც პასუხისმგებელია ჩვეულებრივ ალერგიულ რეაქციებზე, ამიტომ საჭიროა პრეპარატი, რომელიც მოახდენს IGE-ს მოქმედების ბლოკირებას. წარმატება მეცნიერთა მხარეს იყო, რადგან საჭირო წამალი, დიდი ხანია, აფთიაქის თაროზე იდო. ეს არის პრეპარატი ომალიზუმაბი, რომელიც თავდაპირველად ასთმის სამკურნალოდ შეიქმნა.**

# ქალი, რომელსაც წყალზე ალერგია აქვს

**რეიჩელი, როცა იღვიძებს, სვამს შხამს (წყალი მისთვის ერთგვარი შხამია, მისი დაავადებიდან გამომდინარე), რომელიც მას წიწაკასავით უწვავს შიგნეულს. იმის მიხედვით, რა სიჩქარით ჩადის მის ყელში წყალი, გრძნობს, როგორ იფარება მისი სხეული შიგნიდან წყლულებით. მოგვიანებით ეს სისხლიანი წყლულები ექავება. ასე იწყება მისი დილა. დღისით ეს შხამი შეიძლება ციდანაც წამოვიდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეთ გასვლა დაივიწყოს, ხოლო აუზსა და ცურვაზე არც იოცნებოს. ერთხელ მან მხოლოდ შეახო ფეხის თითი წყალს და საშინელი ტკივილი განიცადა...**



არა, ეს არ არის რომელიმე წიგნის გმირის ისტორია, ეს რეალობაა — **რეიჩელ უორიკი** ნამდვილად არსებობს და ცხოვრობს წყლისადმი ალერგიით. წყალთან ნებისმიერი კონტაქტი (საკუთარი ოფლიც კი) ტკივილს იწვევს, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდება. ფაქტია, რომ ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის წყალი მნიშვნელოვანია, რომ დღის განმავლობაში აუცილებელია, სულ ცოტა, 6-8 ჭიქა წყლის დალევა. წყალი სიცოცხლეა. არამიწიერი სიცოცხლის ძებნაში კოსმოსის კვლევის ცენტრები უპირველესად წყალზე ამახვილებენ ყურადღებას. სხვა რომ არაფერი, ადამიანის სხეულის 60% წყლისგან შედგება. საშუალოდ ზრდასრული ადამიანის სხეული, რომელიც 70 კგ-ს იწონის, 40 ლიტრ წყალს შეიცავს.

**მაშ, როგორ ახერხებს ცხოვრებას რეიჩელი?**

მოდი, გავარკვიოთ ზოგი რამ: რეიჩელს მის სხეულში არსებული წყალი პრობლემას არ უქმნის; რეაქციას იწვევს წყლის კონტაქტი კანთან, და ის არ არის დამოკიდებული წყლის ტემპერატურაზე, სისუფთავეზე ან მასში მარილის შემცველობაზე. „იდეალური“ წყალიც კი (ასჯერ გაფილტრული, ყოველგვარი ქიმიური ნაერთების გარეშე) მასში მსგავს რეაქციას იწვევს. „ადამიანებთან ურთიერთობისას დაძაბულობას ვგრძნობ, რადგან ყოველთვის ერთსა იმავე შეკითხვებს მისვამენ: „როგორ ჭამ?“, „როგორ სვამ?“, „როგორ იღებ აბაზანას?“ — ამბობს რეიჩელი.

ტექნიკური თვალსაზრისით, რეიჩელის ეს მდგომარეობა ალერგია არ არის, რადგან ის გამოწვეულია იმუნური პასუხით იმაზე, რაც ორგანიზმშია და არ არის ორგანიზმის გადაჭარბებული რეაქცია რაიმე უცხოზე.

აი ერთ-ერთი ვერსია, თუ როგორ ხდება ეს: **წყალი ზემოქმედებს კანის გარე ფენაზე, რომელიც ძირითადად შედგება მკვდარი უჯრედებისგან და ცხიმიანი სუბსტანციისგან, რომელიც ტენიანობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. წყალთან კონტაქტმა შეიძლება ტოქსინების გამოყოფა გამოიწვიოს, რასაც ორგანიზმის იმუნური პასუხი მოჰყვება.**

მეორე ვერსიით, **წყალში იხსნება ის ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც შეიცავს მკვდარი უჯრედების ფენა, შედეგად ისინი ორგანიზმში ღრმად შეღწევას ახერხებს, სადაც ხდება კიდეც იმუნური რეაქცია.**

სინამდვილეშიც სწორედ ასეა: **კანის ქიმიური ხსნარით დამუშავება, რომელიც წყალს კანის ზედა ფენაში კარგად შეღწევის საშუალებას აძლევს, აუარესებს ავადმყოფის მდგომარეობას. ამასთანავე, თუ კანს ზედაფენას მთლიანად მოვაცლით, რეაქცია ნორმალურად წარიმართება.**

რაც უნდა იყოს მიზეზი, დერმატოლოგ **მარკუს მაურერის** თქმით, რომელმაც გერმანიაში დააარსა ფონდი „ალერგოლოგიის ევროპული ცენტრი“, ეს დაავადება ადამიანებს სიცოცხლეს უმწარებს.

რეიჩელი 12 წლის იყო, როცა დიაგნოზი დაუსვეს. დაბანის შემდეგ გამოაყარა და მიმართა ექიმს, მაგრამ ის გამსაკვლევად არ გაუგზავნიათ. მსგავსი დაავადებით შეიძლება იცოცხლო, მაგრამ ღირს კი ასეთი სიცოცხლე, როცა ვერც წვიმასა და ვერც თოვლში შინიდან ვერ გადიხარ?! ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის დაბანაში, რეიჩელს ქმარი ეხმარება. აბაზანას კი ის კვირაში ერთხელ იღებს. რომ არ გაოფლიანდეს, შილიფად აცვია ხოლმე და ერიდება ფიზიკურ დატვირთვას. როგორც მის მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანები, რეიჩელი ბევრ რძეს სვამს, რამდენადაც რძეზე მას ისეთი საშინელი რეაქცია არ აქვს, როგორც წყალზე. ამის ახსნა არც მეცნიერებს შეუძლიათ.

ამ ეტაპზე სტანდარტულ მკურნალობას წარმოადგენს ანტიჰისტამინური პრეპარატების მიღება.

**როგორ მუშაობს ის?**

თავდაპირველად კანის იმუნური უჯრედები, რომლებსაც მასტოციტებს უწოდებენ, გამოყოფს ჰისტამინებს. ნორმალური იმუნური რეაქციისას ჰისტამინები ძალიან სასარგებლოა — ამაღლებს სისხლძარღვების გამტარუნარიანობას, რაც სისხლის თეთრი სხეულაკების საკმარისი რაოდენობით გატარების საშუალებას იძლევა ორგანიზმის არასასურველი ბაქტერიებისგან დასაცავად. წყალთან რეაქციისას თავს იჩენს თანამდევი მოვლენები: სითხე გაიწოვება სისხლძარღვების კედლებიდან, რაც იწვევს კანის შეშუპებას.

ამასთანავე, ჰისტამინი ააქტიურებს „ქავილის რეცეპტორებს“, რომლის ერთადერთი ამოცანაა ქავილის გამოწვევა. შედეგად კანზე ჩნდება ბუშტუკები, რომლებიც, სულ გინდა, რომ მოიქავო. თეორიულად ანტიჰისტამინმა უნდა იმოქმედოს ნებისმიერ დროს, პრაქტიკულად კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

**2014 წელს რეიჩელი ბერლინში გაემგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო დოკუმენტური ფილმის გადაღებაში. ექიმებმა მას ანტიჰისტამინური პრეპარატების დიდი დოზის მიღება შესთავაზეს. თერაპიის შემდეგ მათ შეამოწმეს შედეგი, ჩასვეს რა რეიჩელი აუზში. წამალმა არ იმუშავა. „ამ ტესტის შემდეგ გიჟივით ვიქექებოდი“, — ამბობს რეიჩელი.**



წლების განმავლობაში ანტიჰისტამინები ერთადერთი ვარიანტი იყო სამკურნალოდ. 2008 წელს კი მაურერსა და მის კოლეგებს გაუჩნდათ იდეა:

ადამიანების, რომლებსაც ეს დაავადება აწუხებთ, უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ ჰისტამინს, ერთი შეხედვით ნორმალურია და იმდენი, რამდენიც ჯანმრთელ ადამიანს აქვს. ასე რომ, არის რაღაც სხვა, რაც მათ სწორი გზიდან გადახვევას იწვევს.

ლაბორატორიული კვლევებიდან მეცნიერებმა შემდეგი დასკვნები გააკეთეს: **მთავარი დამნაშავე ამ ყველაფერში არის ანტისხეული IgE, რომელიც პასუხისმგებელია ჩვეულებრივ ალერგიულ რეაქციებზე,** ამიტომ საჭიროა პრეპარატი, რომელიც მოახდენს IgE-ს მოქმედების ბლოკირებას. წარმატება მეცნიერთა მხარეს იყო, რადგან საჭირო წამალი, დიდი ხანია, აფთიაქის თაროზე იდო. ეს არის პრეპარატი **ომალიზუმაბი,** რომელიც თავდაპირველად ასთმის სამკურნალოდ შეიქმნა.



და აი 2009 წლის აგვისტოში მეცნიერებმა პრაქტიკულად შეამოწმეს თავიანთი იდეა. პაციენტი იყო 48 წლის ქალი, რომელსაც ჰქონდა სხვა სახის **ურტიკარია,** ანუ **ჭინჭრის ციება** (ალერგიული დაავადება, რომელიც ხასიათდება კანსა და ლორწოვან გარსზე ბუშტუკების გაჩენით).

დაახლოებით ერთკვირიანი მკურნალობის შემდეგ ქალს სიმპტომები მნიშვნელოვნად შეუმცირდა, თვის ბოლოს კი მთლიანად გაუქრა. მეცნიერები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ **ომალიზუმაბი** ეფექტს იძლევა ჭინჭრის ციების სხვადასხვა ფორმის მკურნალობისას.

შემდეგ მაურერის ერთ-ერთი პირველი პაციენტი იყო ახალგაზრდა პროფესორი, რომელსაც ალერგია ჰქონდა საკუთარ ოფლზე. **ომალიზუმაბით** ერთკვირიანი მკურნალობის შემდეგ ის სულ სხვა ადამიანად იქცა. აკვაგენური ჭინჭრის ციების დროსაც კი ეს პრეპარატი უსაფრთხო და შედეგიანია. მაგრამ ეს წამალი ასთმიანებისთვისაა და გამოიყენება „არადანიშნულებისამებრ“. და ეს იმიტომ, რომ ამ პრეპარატის ეფექტიანობა ჭინჭრის ციების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო დემონსტრირებული ფართომასშტაბიანი კლინიკური კვლევებით. ამიტომ სამედიცინო დაწესებულებათა უმეტესობა ამ წამალში ფულს არ გადაიხდის, სანამ სიტუაცია არ შეიცვლება. ამ პრობლემას წააწყდა რეიჩელი 2014 წელს, როცა გერმანელმა ექიმმა მას ურჩია ომალიზუმაბის მიღება. ამ წამლის შოვნა შეიძლება, ოღონდ მისი თვიური დოზა 1000 ევრო დაჯდება. რეიჩელს მოცდა მოუწევს, რადგან კვლევისთვის საკმარისი პაციენტების პოვნა, შესაძლოა, პრობლემა გახდეს.

„ჩვენ გვყავს სპეციალისტთა დიდი გუნდი, ყოველწლიურად მოგვმართავს ჭინჭრის ციებით დაავადებული 2000 ავადმყოფი. და მათგან მხოლოდ სამს თუ აქვს აკვაგენური ჭინჭრის ციება“, — ამბობს მაურერი. ამას ემატება ისიც, რომ პრეპარატზე პატენტის ვადა იწურება. შეზღუდულ დროში ამ წამალზე ბევრი ფულის გამომუშავება არ მოხერხდება, რადგან მყიდველი არც ისე ბევრია. შესაბამისად, არც კლინიკური კვლევებისთვის იქნება საკმარისი სახსრები. ამასთან, კომპანიის დარწმუნება იმაში, რომ კვლევა დააფინანსოს, ამაო გარჯაა.

**ნოვარტისი** (შვეიცარული ფარმაცევტული კომპანია, რომელიც ასთმის სამკურნალოდ აწარმოებს პრეპარატ ქსოლარს) ადასტურებს, რომ მის გეგმებში არ შედის მყიდველთა წრის გაფართოება ჭინჭრის ციებით დაავადებულებით.

ასე რომ, კვლევების შემდეგ, რომლებსაც ათწლეულები დასჭირდა, დაავადების დასამარცხებელ გზაზე წინააღმდეგობა აღმოჩნდა სუფთა ეკონომიკური ხასიათის ფორმალობა. როგორ ფიქრობთ, რას იზამდა რეიჩელი, თუკი ის ეფექტიან პეპარატს მიიღებდა ამ საშინელი დაავადებისაგან თავის დასაღწევად?

ყველაფერი მარტივია: „მე წავიდოდი აუზში საცურაოდ ან ვიცეკვებდი წვიმაში“, — ოცნებობს ის.

**ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის დაბანაში, რეიჩელს ქმარი ეხმარება. აბაზანას კი ის კვირაში ერთხელ იღებს. რომ არ გაოფლიანდეს, შილიფად აცვია ხოლმე და ერიდება ფიზიკურ დატვირთვას. როგორც მის მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანები, რეიჩელი ბევრ რძეს სვამს, რამდენადაც რძეზე მას ისეთი საშინელი რეაქცია არ აქვს, როგორც წყალზე. ამის ახსნა არც მეცნიერებს შეუძლიათ**





ალ. დიდებულიძე ლაბორატორიების მოწყობის სურვილით იმდენად იყო გატაცებული, რომ არ ერიდებოდა არავითარ სამუშაოს. ხშირად მთელ დღეს ატარებდა ფიზიკის ლაბორატორიაში და ხელმძღვანელობდა ახალი იარაღების შექმნისა და ძველთა შეკეთების საქმეს. მან თავისი ხელით შეღება ლაბორატორიის ავეჯი, მოაწყო ელექტროსადგური უნივერსიტეტის შენობის გასანათებლად (მაშინ ზაჰესი არ მუშაობდა). დააარსა უნივერსიტეტის აფთიაქი, მოაწყო პატარა ლითოგრაფია, სადაც იბეჭდებოდა უნივერსიტეტის პროგრამები, სასწავლო გეგმები და ლექციების კონსპექტები ქართულ ენაზე.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნივერსიტეტის პირველი პროფესორები

# ალექსანდრე დიდებულიძე

**როგორც ცნობილია, საქართველოს დედაუნივერსიტეტი ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე თბილისში იყვნენ პროფესორები ანდრია ბენაშვილი (გეოდეზიისა და ვარსკვლავთმრიცხველეობის დარგში) და ანდრია რაზმაძე (უმაღლესი მათემატიკის სპეციალისტი), იმის გამო, რომ ქართველთა შორის არ აღმოჩნდა ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გახსნა ერთი სემესტრით შეჩერდა. ანდრია რაზმაძემ დრო ითხოვა, რათა მომზადებულიყო ექსპერიმენტული ფიზიკის (ზოგადი ფიზიკის) კურსის წასაკითხად. ფიზიკის კათედრის შესაქმნელად ოდესიდან მოიწვიეს დოცენტი ალექსანდრე დიდებულიძე, ხოლო ბერლინიდან — დოქტორი ერენფესტი.**



**1924 წლიდან ფაკულტეტის სტუდენტთა მოწინავე ნაწილის ინიციატივითა და დიდებულიძის ხელმძღვანელობით დაარსდა სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური წრე. მისი მიზანი იყო საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა და ახალ მიღწევათა გაცნობა ტექნიკის სხვადასხვა დარგში**

ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის დოცენტი ალექსანდრე დიდებულიძე თბილისში 1919 წლის მარტში ჩამოვიდა. იგი არჩეულ იქნა ფიზიკის კათედრის გამგედ და პროფესორად. 1919 წლის ოქტომბრიდან ა. დიდებულიძე შეუდგა ლექციების კითხვას ფიზიკაში რუსულ ენაზე.

ალექსანდრე იოსების ძე დიდებულიძე დაიბადა 1882 წლის 4(16) დეკემბერს ქ. თბილისში. მამამისი სამხედრო პირი იყო, ხოლო დედა — მართა ალექსანდრეს ასული — სიმღერის მასწავლებელი. იგი იყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის — ალექსანდრე სულხანიშვილის ოჯახიდან.

ა. დიდებულიძესაც შესანიშნავი მუსიკალური ნიჭი გამოჰყვა. 1907-1909 წლებში იგი ქ. რიგაში მუსიკალურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა.

ალექსანდრეს ოჯახი მოწინავე და განათლებულ ოჯახად ითვლებოდა.

პირველდაწყებითი განათლება მეცნიერმა შინ მიიღო. 1894 წლის სექტემბერში იგი შეიყვანეს თბილისის რეალური სასწავლებლის პირველ კლასში, რომლის სრული კურსი 1903 წლის მაისში დაამთავრა. იმავე წლის ოქტომბერში უმაღლესი განათლების მისაღებად რიგაში გაემგზავრა. იქ იგი რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ განყოფილებაზე შევიდა. ინსტიტუტში სწავლის დროს ა. დიდებულიძემ დიდი ნიჭი გამოამჟღავნა და საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. 1910 წლის მაისში ალექსანდრემ წარჩინებით დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური განყოფილების სრული კურსი და მიიღო **ინჟენერ-ტექნოლოგის წოდება ჰიდროელექტრობის სპეციალობაში.**

1907 წელს ა. დიდებულიძე დაქორწინდა ოლღა ნიკოლოზის ასულ ჰაუზენზე (გერმანელ ქალზე). ალექსანდრესა და ოლღას შორის მტკიცე მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა.

ა. დიდებულიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1909 წლიდან, როდესაც იგი, ჯერ კიდევ დიპლომატი, დანიშნეს დამხმარე ასისტენტად რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ლაბორატორიაში.

სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე ალექსანდრე წინ სწრაფად მიიწევდა. 1910 წლის 6 ივნისს რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო კომიტეტმა იგი ელექტროტექნიკის კათედრაზე შტატის ასისტენტად აირჩია. ალ. დიდებულიძე 1914 წლის 1 ივლისიდან რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დავალებით შეთავსებით კითხულობდა ლექციებს რადიოტელეგრაფიასა და ტელეფონიაში.

**1915 წლის 10 ნოემბერს მას მიანიჭეს დოცენტის წოდება,** ხოლო 1916 წლის ნოემბერში აირჩიეს სახელმწიფო გამოცდების ჩამტარებელი კომისიის წევრად. პარალელურად იგი მუშაობდა მასწავლებლად საშუალო სასწავლებელში. სახელდობრ, 1912 წლის სექტემბრიდან 1915 წლის ივლისამდე ასწავლიდა ფიზიკას, კოსმოგრაფიასა და მათემატიკას რიგის რეალურ სასწავლებელში. 1911 წლის სექტემბერში ა. დიდებულიძე მიწვეულ იქნა მასწავლებლად რიგის სახელოსნო სასწავლებელში. 1916 წლის იანვრიდან დაინიშნა იმავე სასწავლებლის ინსპექტორად.

რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ევაკუაციის შემდეგ, 1915 წელს, დიდებულიძე გაემგზავრა მოსკოვში. **მოსკოვის სამრეწველო სასწავლებელში და შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში ალ. დიდებულიძე კითხულობდა ლექციებს ელექტროტექნიკაში**. ამასთან ერთად, ხელმძღვანელობდა ელექტროტექნიკურ ლაბორატორიას მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

1916 წლის დამლევს ალ. დიდებულიძე მოსკოვიდან ოდესაში გაემგზავრა. იქ იგი უაღრესად სასარგებლო მუშაობას ეწეოდა. **ალ. დიდებულიძე იყო ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი.**

დიდია, აგრეთვე, დიდებულიძის დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის კათედრისა და პოლიტექნიკური ფაკულტეტის მოწყობის საქმეში.

**ალ. დიდებულიძე ლაბორატორიების მოწყობის სურვილით იმდენად იყო გატაცებული, რომ არ ერიდებოდა არავითარ სამუშაოს. ხშირად მთელ დღეს ატარებდა ფიზიკის ლაბორატორიაში და ხელმძღვანელობდა ახალი იარაღების შექმნისა და ძველთა შეკეთების საქმეს. მან თავისი ხელით შეღება ლაბორატორიის ავეჯი, მოაწყო ელექტროსადგური უნივერსიტეტის შენობის გასანათებლად (მაშინ ზაჰესი არ მუშაობდა). დააარსა უნივერსიტეტის აფთიაქი, მოაწყო პატარა ლითოგრაფია, სადაც იბეჭდებოდა უნივერსიტეტის პროგრამები, სასწავლო გეგმები და ლექციების კონსპექტები ქართულ ენაზე.** შემდეგში მოხერხდა ორი ლითოგრაფიული დაზგის შოვნა, რომლებმაც კიდევ უფრო გააფართოვეს ბეჭდვის საქმე უნივერსიტეტში.

ლექციებს ალ. დიდებულიძე იმ დროს რუსულ ენაზე კითხულობდა, რადგან ქართულ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა. ამავე დროს იგი ინტენსიურად მუშაობდა ქართული ენის სათანადოდ შესწავლაზე. ალ. დიდებულიძის ლექციები თავისი მდიდარი შინაარსითა და საინტერესო დემონსტრაციებით ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელებზე.

აღსანიშნავია დიდებულიძის მოღვაწეობა თბილისის რუსულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც გაიხსნა 1917 წლის სექტემბერში ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტით. 1919 წ. 20 ოქტომბერს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ალ. დიდებულიძე აირჩია ორდინარულ პროფესორად ფიზიკისა და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრაზე. როგორც ამ ინსტიტუტის პროფესორს, დიდებულიძეს დაევალა ტექნიკური ფაკულტეტების ორგანიზაცია. სპეციალურ საგნებში პროფესორებისა და დოცენტების ნაკლებობის გამო 1919 წ. მოხერხდა მხოლოდ მექანიკური და ელექტროტექნიკური ფაკულტეტების გახსნა, 1920 წ. კი გაიხსნა საამშენებლო ფაკულტეტიც. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლება წარმოებდა რუსულ ენაზე. 1920 წ. 6 აპრილს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ორდინარული პროფ. ალ. დიდებულიძე. იმ დროს ინსტიტუტში მუშაობდნენ პროფესორები: ა. დიდებულიძე, ა. რაზმაძე, პ. მელიქიშვილი, ა. ბენაშვილი...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელსვე ინსტიტუტის დირექტორმა სახკომსაბჭოდან მიიღო განკარგულება — გაეხსნათ პარალელურად ქართული სექტორიც. ამის შემდეგ პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გაშალა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, როგორც ინსტიტუტის შიგნით, ისე გარეთაც.

1921 წლის 23 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ უფრო მეტად დატვირთვის გამო დიდებულიძე განთავისუფლებული იქნა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობისაგან, ხოლო 1924 წ. 7/I გამოვიდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობიდან.

**პ. მელიქიშვილს და ალ. დიდებულიძეს ერთდროულად დაევალათ უნივერსიტეტთან აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბება, რომელიც გაიხსნა 1921 წლის ბოლოს. მისი პირველი დეკანი იყო პროფ. პ. მელიქიშვილი, ხოლო ა. დიდებულიძეს დაევალა ლექციების წაკითხვა ფიზიკაში.**

**პროფ. დიდებულიძის უდიდესი დამსახურებაა უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბება და ორგანიზაცია.**

1921 წლისათვის უნივერსიტეტში არსებობდა პედაგოგიური, სამკურნალო და აგრონომიული ფაკულტეტები. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები კი თანდათან აქტუალურს ხდიდა უნივერსიტეტთან სხვა სპეციალობათა ფაკულტეტების შექმნის საკითხს, უპირველესად — პოლიტექნიკური ფაკულტეტისას. ქართველ ინჟინერ-ტექნიკოსთა წრეში ეს საკითხი სულ უფრო და უფრო ხშირად ისმოდა.

1921 წლის შემოდგომაზე განათლების სახალხო კომისარიატის წინადადებით უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ საგანგებო კომისია გამოყო პოლიტექნიკური ფაკულტეტის ორგანიზაციის პროექტის შესადგენად. კომისიაში შედიოდნენ: პროფ. ნიკო მუსხელიშვილი, პროფ. ალ. დიდებულიძე, პროფ. ანდრია რაზმაძე, პროფ. ანდრია ბენაშვილი, დოც. გიორგი ნიკოლაძე, დოც. არჩილ ხარაძე და საქართველოს ტექნიკური საზოგადოების წარმომადგენელნი, პროფესორები: დ. დიასამიძე, ივანე ყიფშიძე და სხვ. ამ კომისიის თავმჯდომარედ. ა. დიდებულიძე აირჩიეს. მასვე დაევალა მოხსენების პროექტის შედგენა. სახელმწიფო უნივერსიტეტთან უმაღლესი ტექნიკური ფაკულტეტის დამაარსებელი კომისიის მესამე სხდომაზე მოისმინეს დიდებულიძის მოხსენება. მისი აზრით, ადგილობრივი ძალების დახმარებით შეიძლებოდა გახსნილიყო პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებით: მექანიკური, საინჟინერო-საამშენებლო და სამთო-სამეტალურგიოთი. მაგრამ კომისიის წევრებმა გეგმა ფართოდ სცნეს და მხოლოდ ორი უკანასკნელის გახსნა ჩათვალეს შესაძლებლად. ითვალისწინებდა რა მექანიკოსთა აუცილებლობას ჩვენი ქვეყნისათვის, დიდებულიძე არ დაეთანხმა ამას და გამოთქვა შემდეგი აზრი: „კომისიამ დაადგინა, რომ მექანიკური ფაკულტეტი არ გაიხსნას. ჩემის აზრით, ამგვარი დადგენილება აიხსნება იმით, რომ კომისიის წევრებს (არა ინჟენრებს) საკმაოდ ვერ გაუთვალისწინებიათ ამ განყოფილების მნიშვნელობა. მექანიკურ განყოფილებაზე ორი დარგია: ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური. ამჟამად და უმეტესად კი მომავალში ჰიდროელექტრულ სადგურებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს რესპუბლიკისათვის. ჰიდროელექტრული სადგურების აშენება-მოწყობა და მათი გამგებლობა უსათუოდ უნდა დაეკისროს ინჟენერ-მექანიკოსს. მექანიკური განყოფილების მნიშვნელობა ქვეყნისათვის დიდია, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ყველა სახელმწიფოს ტექნოლოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში მექანიკური განყოფილება სავალდებულოა და ძირითად განყოფილებად ითვლება. ამგვარად, საქართველს ინჟენერ-მექანიკოსები უფრო მეტი დასჭირდება, ვიდრე სხვა ყველა სპეციალობის ინჟინერი“.

1921 წლის 16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომამ დაადგინა უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა. ეს დადგენილება კიდევ უფრო განმტკიცდა დიდებულიძის გამოსვლებით შემდგომ სხდომებზე. აი, რას ამბობდა იგი: „ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის პოლიტექნიკური ფაკულტეტი საჭიროა ისევე, როგორც აგრონომიული ფაკულტეტი. სოფლის მეურნეობის წარმატება მოითხოვს, რომ ამ ასპარეზზე მოღვაწე გაცნობილი იყოს ადგილობრივ პირობებს — ნიადაგს, ამინდს და სხვ. საქართველოში გაზრდილი მეურნე-აგრონომი სწავლის დროსვე შეისწავლის ყველა ამას და, დაამთავრებს თუ არა სწავლას, მაშინვე შეუდგება მუშაობას. უცხოეთში მომზადებულმა კი მუშაობის დროს უნდა შეისწავლოს აქაური პირობები და ეს შეაფერხებს მუშაობას. იგივე ითქმის ინჟენერ-ტექნიკოსთა მიმართაც. **პოლიტექნიკური ფაკულტეტი უნდა აკმაყოფილებდეს თავისი მოწყობილობით ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მოთხოვნილებებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ბუნების სიმდიდრენი, მდინარეების ძალა და ავაგოთ ჰიდრო-ელექტრო სადგურები“.**

**ვახტანგ პარკაძე,**
**1955 წ.**

**„ისტორიული მემკვიდრეობა“, №11, 2016 წ.**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კივის პლანტაციის გასაშენებლად უპირველეს და ძირითად სამუშაოს წარმოადგენს ნიადაგის პირველადი დამუშავება, რომლის სწორად და გულმოდგინედ ჩატარებაზე დიდადაა დამოკიდებული ნარგაობის წარმადობა, გახარება და ზრდა-განვითარება. ნიადაგის დამუშავების მიზანია მცენარის ფესვთა სისტემის სითბოთი, ჰაერით, ტენითა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფა. მთავარია მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, სარეველა მცენარეების მოცილება, წყლის მარაგის შენარჩუნება, ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

# კივის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია

**კივი (Actinidia sinensis) ერთ-ერთი ორიგინალური და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ხილია. სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მაგალითები, როცა ისეთი ეგზოტიკური მცენარე, როგორიც აქტინიდიაა, მოკლე დროში მსოფლიო მასშტაბით ასე ფართოდ გავრცელებულიყოს.**

საქართველო მდიდარია, როგორც ველური, ისე ხეხილ-კენკროვან მცენარეთა ძვირფასი ჯიშებით (ვაშლი, მსხალი, ატამი, კომში, ციტრუსოვნები და სხვ.), რომლებიც ფართოდაა გავრცელებული თითქმის ყველა რეგიონში. ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ მათ სხვა ხილი კონკურენციას გაუწევდა, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო მეხილეობაში ფართოდ გავრცელებულმა ჩინურმა აქტინიდიამ (კივი) თავისი გემოვნებითია და ძვირფასი ქიმიური შემადგენლობით ჩვენთანაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქტინიდიის მსხვილნაყოფა კულტურული ჯიში **ჰაივარდი**, რომელიც გამოიყვანეს ახალ ზელანდიაში 30-წლიანი სელექციური მუშაობის შედეგად. ამჟამად ის მსოფლიოშია გავრცელებული. **აქტინიდიის ნაყოფის მაღალმა არომატულობამ, მდიდარმა ქიმიურმა შემადგენლობამ (C, P, B, B1, B2, A) და მინერალური მარილების უხვმა შემცველობამ განაპირობა ჩვენში მისი სამრეწველო ჯიშების შემოტანა. ნაყოფი გამოიყენება, როგორც ნედლი სახით, ისე გადასამუშავებლადაც — სხვადასხვა სასმელისა და პროდუქტის დასამზადებლად. კივი ძვირფასი საშუალებაა კიბოსა და იოდის ნაკლებობით გამოწვეული იმუნური დაავადებების სამკურნალოდ თუ პროფილიქტიკისთვის.**

აქედან გამომდინარე, საქართველოში შემოტანილი აქტინიდიის ჯიშების სამეურნეო თვისებების შესწავლა ცალკეული ეკოლოგიური პირობების შესაბამისად აქტუალურია.

## აქტინიდიის გამრავლება

აქტინიდია ერთ-ერთი ადვილად გასამრავლებელი მცენარეა. მისი სარგავი მასალის მიღება, ძირითადად, მწვანე, ნახევრად გახევებული და გახევებული ტოტების დაფესვიანებითა და თესლიდან მიღებული ნერგებით ხდება. ზოგიერთ ქვეყანაში აქტინიდიას მაღალი ჯიშური თვისებების მქონე სარგავ მასალას ქსოვილთა სელექციის გზითაც იღებენ.

*** აქტინიდია, როგორც სხვა ხეხილოვანი კულტურები, მრავლდება გენერაციულად — თესლით და ვეგეტატიურად — გადაწვენით, მყნობითა და დაკალმებით.**

* აქტინიდიას ვეგეტაციური გამრავლება ძირითადად ხდება:

**1. მომწიფებული ყლორტების კალმით; 2. მოუმწიფებელი ყლორტების კალმით; 3. გადაწიდვით (ზამთრის) კალმით გამრავლებას საკმაო საწარმოო მნიშვნელობა აქვს. სარგავი კალმების დამზადება ხდება აქტინიდიის ზრდის შეწყვეტის შემდეგ, შემოდგომით ფოთოლცვენის დაწყებიდან, გაზაფხულზე წვენის მოძრაობის დაწყებამდე. ამ დროს მერქანი მომწიფებულია და საზრდო ნივთიერებათა უდიდეს მარაგს შეიცავს.**

* სარგავი კალამი ისე უნდა ავიღოთ, რომ გამოყენებული იქნეს ყლორტის ერთი კვირტთშორისი ერთი ცალი კვირტით ან რამდენიმე კვირტთშორისი ერთი ან ორი კვირტით.

## პლანტაციის გაშენება და განოყიერება

კივის პლანტაციის გასაშენებლად უპირველეს და ძირითად სამუშაოს წარმოადგენს ნიადაგის პირველადი დამუშავება, რომლის სწორად და გულმოდგინედ ჩატარებაზე დიდადაა დამოკიდებული ნარგაობის წარმადობა, გახარება და ზრდა-განვითარება. ნიადაგის დამუშავების მიზანია მცენარის ფესვთა სისტემის სითბოთი, ჰაერით, ტენითა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფა. მთავარია მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, სარეველა მცენარეების მოცილება, წყლის მარაგის შენარჩუნება, ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება.

**პლანტაციის დაგეგმვისთანავე წარმოებს 40-50 სმ დიამეტრისა და ასეთივე სიღრმის ორმოების ამოღება. დარგვამდე ორმოში ყრიან ჰუმუსით მდიდარ მიწას.**

პოლიეთილენის პარკებში გამოყვანილი აქტინიდიის ნერგები ირგვება წინასწარ მომზადებულ ორმოებში. ტერასაზე მცენარესა და მცენარეს შორის მანძილი უნდა იყოს ოთხი მეტრი; ვაკე ადგილებში რიგებს შორის — ხუთი მეტრი, მცენარეებს შორის კი — ოთხი მეტრი. ამ შემთხვევაში ერთ ჰექტარზე თავსდება 500 მცენარე.

**კივის დარგვის საუკეთესო ვადად ითვლება შემოდგომაზე ოქტომბერი-ნოემბერი, გაზაფხულზე კი — მარტი, წვენის მოძრაობის დაწყებამდე. იმის გამო, რომ აქტინიდია ორსახლიანი მცენარეა, დარგვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მდედრობითი და მამრობითი მცენარეების თანაფარდობა დამტვერიანების პროცესის მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით. ყველაზე უკეთეს შეფარდებად შეიძლება ჩაითვალოს 6-7 მდედრობით მცენარეზე 1 მამრობითი.**

კივის კულტურის განოყიერების აგროტექნიკურ კომპლექსში დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების სწორ გამოყენებას, დოზების შერჩევას, შეტანის ვადებს, მინერალური და ორგანული სასუქების შეთანაწყობას, ე.ი. იმის განსაზღვრას, თუ რომელი სასუქები უნდა იყოს კივის ნარგაობაში გამოყენებული და ა.შ.; სასუქების შეტანის ტექნიკა და შეტანის ვადები დამოკიდებულია მათ ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ თვისებებზე, მცენარის კვების მოთხოვნილებაზე.

**კივის მწარმოებელ ქვეყნებში, ნიადაგის მდგომარეობის მიხედვით, ყოველ 1000 მ ფართობზე მოქმედი ნივთიერებებიდან სასუქების შემდეგი დოზებია რეკომენდებული: ფოსფორიანი სასუქები – 20-30 კგ, კალიუმიანი სასუქები — 15-20 კგ, ხოლო ორგანული სასუქი (ტორფი, ნაკელი, ტყის ნეშომპალა) — 4-6 ტონის ოდენობით.**

**ჯიშებისა და ფორმების დახასიათება.** აქტინიდიის მრავალი ჯიშია ცნობილი, რომელთა უმრავლესობა ხასიათდება ნაყოფის მაღალი ბიოქიმიური მაჩვენებლებით, ნაყოფის სიდიდითა და ყინვაგამძლეობით. სამწუხაროდ, აქტინიდიის ჯიშები ნაკლებადაა შესწავლილი და აღწერილი, როგორც ჩვენში გავრცელებული, ასევე მსოფლიოში წარმოდგენილი.

**ჰაივარდი** მიღებულია ახალ ზელანდიაში, არის მხვიარა ძლიერ მზარდი მცენარე, მსხმოიარობაში შედის III-IV წელს, ერთწლიანი ნაზარდები მწვანე-ყავისფერია; ფოთლები, ძირითადად, მრგვალი ფორმისაა, წაწვეტებული, ზოგჯერ ბლაგვი ბოლოთი; ყვავილები ხშირად შეკრებილია თანაყვავილედად (2-3), ზოგჯერ ერთეულია. ნაყოფი მრგვალია, მომრგვალო ელიფსოიდური ფორმის, დაფარულია ნაზი ბუსუსებით. ნაყოფის საშუალო წონაა 90 გ, რბილეული ფხვიერია, კრიალა ღია ფერის, ტკბილი-მომჟავო გემოსი. სხვა ჯიშებთან შედარებით ნაყოფი ინახება დიდხანს. ადვილად მრავლდება კალმით, მავნებელ-დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლეა.

**ბრუნო** მიღებულია ახალ ზელანდიაში, მხვიარაა, ერთწლიანი ნაზარდები მუქი ყავისფერია. საშუალო ზრდის მცენარეა. მსხმოიარობაში შედის III-IV წელს, შედარებით ფერტილურია, გააჩნია ინტენსიური მწვანე ფოთლები, გვალვის მიმართ შედარებით გამძლეა. ყვავილები თეთრი, კრემისფერი შეფერვისაა. ნაყოფები საშუალო ზომისაა (საშუალოდ 65 გ), ცილინდრული ფორმის, კანი მოწითალო მწვანე ფერისაა, კრიალა; წვნიანი, მომჟავო-მოტკბო გემოსი. მწიფდება ოქტომბრის ბოლოს, შენახვისუნარიანობა საშუალოა.

**მონტი** მიღებულია ახალ ზელანდიაში 1950 წელს, ძლიერ მხვიარაა, ერთწლიანი ნაზარდები უფრო ღია ფერისაა, ვიდრე სხვა ჯიშებისა. ფოთლები ჩვეულებრივ მომრგვალო ფორმისაა, წამახვილებული ან ბლაგვი წვეროთი. ყვავილები თეთრი, კრემისფერია, ხშირად შეკრებილია თანაყვავილედად (2-3), ზოგჯერ ერთეულია. ნაყოფი საშუალო ზომისაა (65 გ), ელიფსური ფორმის, კანი ღია ყავისფერია, დაფარულია უხეში ბუსუსებით. რბილობი მოწითალო-მწვანე ფერისაა, მომჟავო-მოტკბო გემოსი. მწიფდება ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში.

ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია ჯიშები: **გრინსილი, გრეისი, ჯონსი** და სხვ.; ასევე საქართველოში გამოყვანილი სხვადასხვა ჯიში და ფორმა.



**აქტინიდიის ნაყოფის მაღალმა არომატულობამ, მდიდარმა ქიმიურმა შემადგენლობამ (C, P, B, B1, B2, A) და მინერალური მარილების უხვმა შემცველობამ განაპირობა ჩვენში მისი სამრეწველო ჯიშების შემოტანა. ნაყოფი გამოიყენება, როგორც ნედლი სახით, ისე გადასამუშავებლადაც — სხვადასხვა სასმელისა და პროდუქტის დასამზადებლად. კივი ძვირფასი საშუალებაა კიბოსა და იოდის ნაკლებობით გამოწვეული იმუნური დაავადებების სამკურნალოდ თუ პროფილაქტიკისთვის**

**გასხვლის ვადები.** იმის გამო, რომ აქტინიდიას ადრე გაზაფხულზე ახასიათებს წვენის ინტენსიური მოძრაობა, მძიმე მაფორმირებელი გასხვლები, უმჯობესია, ჩატარდეს მცენარის მოსვენების პერიოდში. თბილ რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლი) შესაძლებელია გასხვლები ჩატარდეს ნაყოფის აღების შემდეგ, ნოემბრის მეორე ნახევრიდან დეკემბრის პირველ ნახევარში; ცივ ზონებში კი — ადრე გაზაფხულზე (თებერვალ-მარტში). რეკომენდებულია აქტინიდიის მწვანე გასხვლების ჩატარება სავეგეტაციო პერიოდში 2-3-ჯერ, მცენარის ზრდა-განვითარების თავისებურებებიდან და მიკროეკოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე.

**მსხმოიარე მცენარის პირველი მწვანე გასხვლა უნდა ჩატარდეს ივნის-ივლისში; მეორე — 40-50 დღის შემდეგ. მწვანე გასხვლებისას საჭიროა გამოვიყენოთ ბაღის მაკრატლები, რადგან ხელით ყლორტების გადატეხას თან სდევს მსხმოიარე ყლორტების დაჟეჟვა, დახლეჩა, რაც ყოვლად დაუშვებელია. ნასხლავი მწვანე მასა უნდა დაიჭრას 20-25 სმ სიგრძის ღეროებად და გამოყენებულ იქნეს მულჩად.**

**კრეფის ვადა.** კრეფის ვადები დიდადაა დამოკიდებული ნაყოფის სიმწიფის ხარისხზე. განასხვავებენ ასაღებ, ტექნიკურ (ტექნოლოგიურ), სამომხმარებლო და ფიზიოლოგიურ სიმწიფეს. ზოგჯერ სამომხმარებლო და ტექნიკური სიმწიფე ერთმანეთს ემთხვევა.

კივის ნაყოფი იკრიფება არა სამომხმარებლო, არამედ ტექნიკური სიმწიფის პერიოდში. ჰექტარზე შესაძლებელია დამზადდეს 20-25 ტონა ნაყოფი. საქართველოს სუბტროპიკული ზონის სხვადასხვა მიკროეკოლოგიური ზონის მიხედვით, მოსავლიანობა შესაძლებელია მერყეობდეს ჰექტარზე 10-20 ტონის ფარგლებში.

მსოფლიოს კივის მწარმოებელი ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება და რეკომენდაციები აყენებს აღნიშნული კულტურის სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების გაშენების აუცილებლობას და მიზანშეწონილობას, რაც მეურნეობის რენტაბელობისა და მათი ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ წყაროს წარმოადგენს. კივის პლანტაციების რენტაბელურობა იზრდება, აგრეთვე, მათ საბურველქვეშ სათოხნი სასოფლო-სამეურნეო, ბაღჩეული კულტურების თესვა-მოყვანის შესაძლებლობებით და ასევე მეფუტკრეობის განვითარებით.

**რეზო ჯაბნიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

**მოთოკეთ ემოციები და გადაწყვეტილებები ცივი გონებით მიიღეთ. შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობები კოლეგებსა და ახლობლებთან. კარგი პერიოდია ვერძისა და ქალწულის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**7-13 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

საუკეთესო პერიოდია მოლაპარაკებების გასამართავად და მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელის მოსაწერად, თუ სხვა სამუშაო ადგილზე გადასვლას შემოგთავაზებენ, უარი არ თქვათ.

თუ ამ პერიოდში საწინააღმდეგო სქესის სასიამოვნო გარეგნობის წარმომადგენელს გაიცნობთ, არ იჩქაროთ მასთან გულწრფელი საუბარი და ურთიერთობის გაღრმავება, მალე დარწმუნდებით, რომ ის ადამიანი არ არის, რომელსაც ეძებთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში — ეს დაამშვიდებს თქვენს ნერვულ სისტემას.

**დადებითი დღე: 12 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

პროფესიულ სფეროში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისგან, განსაკუთრებით ფინანსურ საკითხებზე, თავი შეიკავეთ.

მარტოხელა კუროებს გრძნობა გაუღვივდებათ იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც, კარგა ხანია, იცნობენ. ურთიერთობის გაღრმავებას შეიძლება ქორწინებაც მოჰყვეს.

გადაღლილობის შედეგად შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეგექმნათ, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ და დაიცვათ კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 8 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ელოდეთ ცვლილებებს პროფესიულ სფეროში. მოიპოვეთ ინფორმაცია და ახლავე დაიწყეთ მზადება ამ ცვლილებებისთვის.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას.

მარტოხელა ტყუპებმა უარი არ უნდა თქვან საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობის გაღრმავებაზე, რადგან არ არის გამორიცხული, ის სწორედ ის პიროვნება აღმოჩნდეს, რომელსაც დიდი ხანი ეძებდნენ. დიდია ქრონიკული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 11 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 დეკემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მოგიწევთ სწრაფი რეაგირება ცვლილებებზე. მხოლოდ ასე შეძლებთ პოზიციების შენარჩუნებას. კარგი პერსპექტივა გაუჩნდებათ იმ კირჩხიბებს, რომლებიც დაკავებულნი არიან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ ჯიუტად არ შეეცდებით ყველა საკითხზე თქვენი თვალსაზრისის დაცვას.

იაქტიურეთ, მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად, ნაკლებად მოძრავი ცხოვრება ჯანმრთელობის პრობლემას შეგიქმნით.

**დადებითი დღე: 12 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 დეკემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

შესაძლოა, გაგიჩნდეთ სამუშაო ადგილის შეცვლისა და კარიერის კიბეზე მაღლა ასვლის სურვილი, მაგრამ სჯობს, ახლა მოითმინოთ და პროფესიულ სფეროში წინსვლაზე ფიქრი ახალი წლის დასაწყისიდან განაგრძოთ.

კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად სამოგზაუროდ გაემგზავრებით, ეს თქვენს ურთიერთობას განამტკიცებს.

გადაღლილობის გამო დიდია ალბათობა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები შეგექმნათ. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 11 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 დეკემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ამ პერიოდში გაგიმტკიცდებათ საკუთარი ძალების რწმენა და ბევრი პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. ჯერ დაწყებული საქმეები დაასრულეთ და ახალ პროექტებზე შემდეგ იფიქრეთ.

მარტოხელა ქალწულებს შეიძლება თავი შეახსენოს ადამიანმა, რომელთანაც წარსულში სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ უნდა დაფიქრდნენ — ღირს კი ამ ურთიერთობის განახლება?

დიდია ტრავმირების ალბათობა, გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას. ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 7 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 დეკემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

შეეცადეთ, თქვენი ენერგია შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად გამოიყენოთ. კარგი პერიოდია უცხოელ პარტნიორებთან ერთად ახალი საქმის დასაწყებად. ოღონდ თავი აარიდეთ ფინანსურ ავანტიურებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა უთანხმოების გარეშე წარიმართება. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

დიდია ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 8 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 დეკემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

საქმე თავზე საყრელად გექნებათ და მათ დასასრულებლად ბევრი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

დაქორწინებული მორიელები სჯობს, არ შეეცადონ რაიმეს შეცვლას საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. ამან შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს.

კვების რაციონში შეიტანეთ მეტი ხილი და ბოსტნეული. ეს დაგეხმარებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემების მოგვარებაში.

**დადებითი დღე: 13 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა არასტაბილური იქნება. ერთ დღეს, შესაძლოა, მოულოდნელად მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, მეორე დღეს კი შემოსულ თანხაზე მეტი დახარჯოთ.

დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვების გამო მოსალოდნელია უთანხმოება საყვარელ ადამიანთან, ურთიერთობის გარკვევის მცდელობამ კი, შესაძლოა, კიდევ უფრო დაძაბოს ვითარება.

შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა, დიდია ოსტეოქონდროზის გამწვევების ალბათობა.

**დადებითი დღე: 10 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 დეკემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

პროფესიულ სფეროში წარმატების მისაღწევად ერთდროულად რამდენიმე საქმეს ნუ შეეჭიდებით. შესაძლოა, მიიღოთ დახმარება იმ ადამიანისგან, რომელიც აქამდე ჩრდილში იმყოფებოდა.

დაქორწინებულმა თხის რქებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახის უფროს წევრებს, დაეხმარონ მათ პრობლემების მოგვარებაში.

ვირუსული დაავადება რომ არ შეგეყაროთ, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები და გაიმყარეთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 11 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 დეკემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებიან ადამიანები, რომლებიც თქვენს იდეებს იზიარებენ. თქვენი მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და შეიძლება პრემიით დაგაჯილდოვონ ან დაგაწინაურონ.

თქვენს ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს ისეთი მოვლენა, რომელიც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას თავდაყირა დააყენებს. გადაწყვეტილება მიიღეთ გონების და არა გულის კარნახით.

ამ პერიოდში მოწყვლადია ბრონქები. დაავადების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება, თუ შეასრულებთ სუნთქვით სავარჯიშოებს.

**დადებითი დღე: 9 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 დეკემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

თუ ჩაფიქრებული გაქვთ სამუშაო ადგილის შეცვლა, ამისთვის ახლა კარგი პერიოდია. კოლეგების მიმართ შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა და მათ გაკრიტიკებას თავი დაანებეთ.

თქვენი ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან გამოცდას გადის სიმტკიცეზე, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ მასთან.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 9 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 დეკემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასაოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 7-13 დეკემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**7 დეკემბერი** — რეკომენდებულია სათბურის მცენარეების მოვლა-მორწყვა, ნიადაგის გამდიდრება მინერალური სასუქით.

**8 დეკემბერი** — კარგი დღეა მიწის გასაფხვიერებლად, მარადმწვანე მცენარეების მოსავლელად. რეკომენდებული არ არის ბოლქვიანი მცენარეების (ნიორი, ტიტა) დარგვა.

**9 დეკემბერი** — კარგი დღეა სათბურში მცენარეების დასათესად, განსაკუთრებით ისეთი მცენარეებისა, რომელთა ზედა ნაწილს საკვებად ან სამკურნალოდ ვიყენებთ (გოგრა, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, მზესუმზირა).

**10 დეკემბერი** — კარგ შედეგს გამოიღებს მღრღნელებთან ბრძოლა შესაბამისი ქიმიური ნივთიერებებით.

**11 დეკემბერი** — მათთვის, ვისაც მოსავლის აღება დააგვიანდა, ოპტიმალური დღეა, ისეთი კულტურების მოსავლის ასაღებად, როგორიცაა ლობიო, სოია, წიწაკა, ყაბაყი.

**12 დეკემბერი** — კარგი დღეა მცენარეების დასარგავად და გადასარგავად.

**13 დეკემბერი** — მალე დადგება სავსემთვარეობა, ამიტომ რეკომენდებული არ არის მცენარეების აკაფვა და აცრა.



ჩემპიონები და პრიზიორები


ძალა ერთობაშია

# საქართველოს უდიდესი გამარჯვება კარატეში

**ევროპის ჩემპიონები გახდნენ:**
1. ხარება ქავთარაძე (თბილისი)
2. ერიკ ოგანეზოვი (თბილისი)
3. ნიკა ნავროზაშვილი (თბილისი)
4. გიზო ომაძე (კასპი)
5. დავით გრძელიძე (ქუთაისი)
6. გიორგი ყარაულაშვილი (თელავი)
7. გიორგი კახაშვილი (თელავი)

**მეორე ადგილზე გავიდნენ:**
1. ჯეიხუნ ალიევი (მარნეული)
2. ირაკლი ბაღნაშვილი (თბილისი)
3. შალვა სეთურიძე (კასპი)
4. გიორგი ზედგინიძე (თბილისი)
5. ვალერი საფოევი (თბილისი)
6. გოგა ტურაბელიძე (ქუთაისი)

**მესამე ადგილზე გავიდნენ:**
1. გიორგი კეზევაძე (თბილისი)
2. ჰამლეტ აზიზიანი (თბილისი)
3. ბექა ზედგინიძე (თბილისი)
4. მარიამ ბუკია (თბილისი)



გიორგი ემინაშვილი და გოჩა კაკაბაძე

**2016 წლის 26-27 ნოემბერს პოლონეთში ჩატარდა ევროპის ღია ჩემპიონატი კიოკუშინკაი (კონტაქტურ) კარატეში. მასში 16 ქვეყნის 430 სპორტსმენი მონაწილეობდა.**

საქართველოს ნაკრები დაკომპლექტდა კიოკუშინკაი (კონტაქტური) კარატეს ორი ფედერაციის 25 სპორტსმენით. იკო ტეზუკას კიოკუშინკაი კარატეს საქართველოს ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი ემინაშვილი) 5 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, ხოლო საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა კაკაბაძე) — 20 სპორტსმენით. ჩემპიონატი ჩატარდა სხვადასხვა ასაკობრივ და წონით კატეგორიაში, როგორც დიდებში, ისე — პატარებში.

ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული და ბრძოლებიც ძალიან დაძაბული და სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. ქართველმა სპორტსმენებმა რთულ და შეუპოვარ ბრძოლებში მოიპოვეს 7 ოქროს, 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

საქართველომ 7 ოქროს მედლით და, საერთო ჯამში, 17 საპრიზო ადგილით ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და დაიკავა გუნდური პირველი ადგილი, ხოლო ჩემპიონატის საუკეთესო მებრძოლად დასახელდა ქართველი სპორტსმენი — გიორგი კახაშვილი.

# პენტაგონსა და რუსეთს შორის შავმა კატამ გაირბინა

**კონგრესმა პენტაგონს რუსეთთან თანამშრომლობა აუკრძალა. თავდაცვის სამინისტროს ახალ ბიუჯეტში თანხები, რომელიც რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის გასაღრმავებლად იყო გამოყოფილი, გაწერილი აღარ აქვს. თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყოფა, თუ პენტაგონი კონგრესს აცნობებს, რომ რუსეთმა უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია შეწყვიტა. მიღებული დოკუმენტის თანახმად, რუსეთთან ტექნოლოგიურ სფეროში თანამშრომლობაც იზღუდება. გამონაკლისი მხოლოდ რუსული წარმოების სარაკეტო ძრავებზე დაიშვება.**

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც მოქალაქეებსა და სხვა სახელმწიფოების მთავრობებზე რუსეთის ფარული გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური სტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტს მხარი წარმომადგენელთა პალატის 390 წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 30 კანონმდებელი გამოვიდა.

93-გვერდიან დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციის საშუალებით ხალხებსა და მთავრობებზე ფარულ გავლენას ახდენს. კანონპროექტის თანახმად, დაზვერვის სამსახურის დასაფინანსებლად 2017 წელს 70 მილიარდ დოლარზე მეტი გამოიყოფა. აშშ-ის სენატმა დოკუმენტი წლის ბოლომდე უნდა განიხილოს.



# ლავროვი: ნატოს რუსეთზე ზემოქმედება სურს

**სერგეი ლავროვის თქმით, ნატო აღმოსავლეთ ფლანგს აძლიერებს, რომლითაც რუსეთზე სამხედრო და პოლიტიკური ზემოქმედება სურს. კალინინგრადის ოლქში „ისკანდერის“ ტიპის სარაკეტო კომპლექსების შეყვანა ნატოს დესტრუქციული ქმედებებით არის გამოწვეული. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. რუსეთის პირველმა დიპლომატმა ალიანსი რუსეთის საზღვრებთან ჩატარებული სამხედრო სწავლებებისთვისაც გააკრიტიკა.**



იტალიურ გაზეთ Corriere della Sera -სთან ინტერვიუში ლავროვი საუბრობს, რომ ნატო და აშშ ხელოვნურად ცდილობენ მსოფლიოში დაძაბულობის შექმნას. „იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ და ნატო შეგნებულად წევენ ტემპერატურას ისედაც დაძაბულ რეგიონებში“, — ამბობს ლავროვი ინტერვიუში. მისივე განცხადებით, „ცივი ომის დასრულების შემდგომ პირველად ხდება ასე გლობალურად სამხედრო პოტენციალის, არსენალის ზრდა. ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის მზადყოფნა ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე“. ლავროვის თქმით, ნატოს სამხედრო წერტნები, რომლებსაც ალიანსის წევრები ახორციელებენ, აღიქმება „ღია პროვოკაციად“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მითურ „აღმოსავლეთის საფრთხეზე“ აპელირებით აშშ და ნატო ცდილობენ, ევროპაში შექმნან პლაცდარმი, მოემზადონ და განათავსონ სამხედრო არსენალი და ასე მოიპოვონ უპირატესობა გლობალური კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ რუსეთის ხელისუფლება იძულებულია, ოპერატიული ადაპტირება მოახდინოს ამ მეტად ცვალებადი პოლიტიკური პროცესების ფონზე, რათა აღკვეთოს ყოველგვარი დესტრუქციული მოქმედებები კონტინენტზე. რუსეთი იძულებულია, გააძლიეროს თავდაცვითი მექანიზმები და დაიცვას ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. ლავრომა ხაზი გაუსვა, რომ ამ ზომებს რუსეთი ახორციელებს მხოლოდ თავის ტერიტორიაზე, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894